რედაქტორისგან

ეს წერილი, ამონარიდია ერთი ამერიკელი მასწავლებლის ბლოგიდან, რომელიც მან სოციალურ ქსელში გაავრცელა. კაილი შვარცმა თავის მოსწავლეებს სთხოვა დაემთავრებინათ ფრაზა: **„მე მინდა ჩემმა მასწავლებელმა ჩემს შესახებ იცოდეს...“**

პატარების პასუხებმა აჩვენა, რომ ჩვენ, თითქმის არ ვიცნობთ მათ და, ნაკლებად ვესაუბრებით მათთვის მნიშვნელოვან თემებზე.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ მე არ მაქვს სახლში ფანქარი, რომელიც საჭიროა დავალებების შესასრულებლად“.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, როგორ მენატრება მამა, რომელიც ბოლოს მაშინ ვნახე, როცა 3 წლის ვიყავი. სწორედ ამ დროს დაადეპორტირეს ის ამერიკიდან მეხიკოში“.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ არ მყავს მეგობარი, რომელთან ერთადაც ვითამაშებდი“.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ ძალიან მიყვარს სკოლა“.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ ჩემი უფროსი ძმა ძილის დროს ისე ხვრინავს, რომ ვერაფრით ვახერხებ დაძინებას“.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ ზოგჯერ ჩემი დავალებები შეუსრულებელი მრჩება, ვინაიდან დედა ხშირად არ არის სახლში და ვერავინ მეხმარება მათ მომზადებაში“.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, როგორი სევდიანები არიან ბავშვები და უკეთ შეეძლოს ჩვენი გაგება“.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, როგორ ბრაზდებიან „კარგი“ მოსწავლეები, თუ მათ „ცუდების“ გვერდზე დასვამენ გაკვეთილზე“.

„მინდა ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ წუხელ დედა-ჩემი ძალიან ცუდად გახდა და საავადმყოფოში მოგვიწია წაყვანა“.

„ჩემმა მასწავლებელმა მინდა იცოდეს ვიეტნამური და ის შეძლებდა მელაპარაკოს იმ ენაზე, რომელიც მე მავიწყდება“.

„ჩემმა მასწავლებელმა მინდა იცოდეს, როგორ მინდა წიგნების წაკითხვა. მხოლოდ ერთი წიგნი მაქვს და ისიც უკვე წავიკითხე“.

„ჩემი მასწავლებელი მინდა იცნობდეს ჩემს მშობლებს“.

ძნელია, თითოეული მოსწავლის საფიქრალს ასეთ „დეტალებში“ გაჰყვე, მაგრამ აუცილებელია, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი, სწორედ იმ დეტალებში იმალება, რომელზეც ხშირად წარმოდგენაც არ გვაქვს და რაც სინმადვილეში, ყველაზე მთავარია.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N2(39), 2015

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** მანანა ბოჭორიშვილი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, გიორგი გახელაძე, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, თამარ მოსიაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, ცვატა ბერძენიშვილი, ნინო ლომაძე, ნინო ლაბარტყავა, ზაქარია გიუნაშვილი, დავით ბოლქვაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

4 მაია ფირჩხაძე
ქაოსის როლი სინერგეტიკულ პროცესებში და განათლების სისტემის ინოვაციები



სამყაროს აღქმისა და შეცნობის პროცესები ერთ დიდ კალეიდოსკოპს ემსგავსება, რომლის ღერძიც ისე სწრაფად ტრიალებს, რომ ინფორმირების ნაცვლად ინფორმაციულ ვაკუუმს გვიქმნის და იქ, სადაც აწყობილი სისტემა უნდა იყოს, ქაოსსა და უწესრიგობას ვაწყდებით. შედეგად ჩნდება კითხვები: რამ გამოიწვია ქაოსის წარმოშობა? კანონზომიერია თუ შემთხვევითი ეს პროცესები? შეიძლებოდა თუ არა ამ სირთულეების თავიდან აცილება? როგორი შეიძლება იყოს მოსალოდნელი შედეგები?

8 მანანა ბოჭორიშვილი
სასწავლო პროგრამების დანერგვის დონეები

კარგმა მასწავლებელმა ზუსტად იცის, როგორ შეარჩიოს კონკრეტული თემის სწავლების შესაბამისი მეთოდი; ამაზე დაყრდნობით როგორ გაუმკლავდეს სწავლების პროცესში წარმოქმნილ სიტუაციებსა და პრობლემებს ისე, რომ არ გადაუხვიოს სასწავლო პროგრამას.

16 თამარ მოსიაშვილი
რელიგიის ისტორიის სწავლა და რელიგიის შესწავლა

სკოლებისა და რელიგიური ორგანიზაციების თანამშრომლობა დაუსრულებელი დისკუსიის საგანია. ამ დისკუსიების დროს ხშირად მოისმენთ მოსაზრებას, რომ სკოლაში მხოლოდ ჭეშმარიტი რელიგია უნდა ასწავლონ.

53 ნინო ლაბარტყავა
მშობელთა და ბაღის აღმზრდელთა დამოკიდებულება დაწყებით კლასებში სწავლის დაწყების ასაკისა და სასკოლო მზაობის განმსაზღვრელი ფაქტორებისადმი

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა მშობლებისა და პედაგოგების შეხედულებების შესწავლა საქართველოში სკოლაში სწავლის დაწყების ასაკის თაობაზე; დადგენა იმისა, თუ რას მოიაზრებდენ მშობლები და პედაგოგები სასკოლო მზაობაში, რა მეთოდებს იყენებდნენ საბავშვო ბაღის აღმზრდელები ბავშვებში სკოლისა და ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი უნარების გასავითარებლად.

გამოცდილება

12 ქეთევან ოსიაშვილი
როგორ შევუნარჩუნოთ ბავშვს სკოლისა და სწავლისადმი ინტერესი

მას შემდეგ, რაც ადამიანმა მოზარდი თაობის სწავლა-განათლებაზე დაიწყო ზრუნვა, სასწავლო პროცესით ბავშვის დაინტერესება კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ საფეხურზე ერთ-ერთი აქტუალური საკითხი უნდა ყოფილიყო. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს სწავლის როგორც ქცევის საკმაოდ რთული ბუნება.

გლობალური განათლება

32 ნინო ჭიაბრიშვილი
მულტიკულტურული განათლების რაობა

მულტიკულტურული განათლების შესწავლის საგანია, რა გავლენას ახდენს რასა, ეთნოსი, კლასი, სქესი, რელიგია, ენა, სქესობრივი ორიენტაცია მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. ის ამ ფაქტორებზე ეფექტური ზემოქმედების გზებსაც სწავლობს.

შინაარსი

40

მოსაზრება

ანა ჯანელიძე

24 **ადრეული განათლების ხარისხი**

ადრეული განათლების ხარისხთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომებისა და კვლევების მიმოხილვა დაგვეხმარება, ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ და ხელი შევუწყოთ სკოლამდელი განათლების ხარისხის შესახებ მსჯელობის დაწყებას.

27-30

მოსაზრება

ზაქარია გიუნაშვილი

24 **სტატისტიკის ელემენტები, რომლებიც პრაქტიკაში გამოგვადგება**

სასკოლო მათემატიკის კურსში ძირითადი ყურადღება ექცევა აღწერითი სტატისტიკის მიმართულებას, რომლის ძირითადი მიზანია ამა თუ იმ ვითარებასთან დაკავშირებული მონაცემების რიცხვითი მახასიათებლების დადგენა.

ნინო ლომიძე

24 **განათლების მიზნებსა და დანიშნულებაზე**

საგნის სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელოს. მასში აუცილებლად უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო საპროგრამო ნაწარმოებები. აქვეა მოცემული ამ ტექსტების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო შინაარსობრივი თუ საანალიზო-სამსჯელო ტიპის კითხვები, მითითებები, მასალა, დავალების/სავარჯიშოს ინსტრუქციები.

რესურსი

ეკატერინე ყიფიანი

20 **პასიური აგრესია სკოლის მოსწავლეებში, მისი ამოცნობა და დაძლევა**

როგორ მოიქცევით გაკვეთილზე, თუ მოზარდი მერხზე კაკუნს დაიწყებს გაკვეთილის მსვლელობის დროს, თან თუ იცით, რომ ის განზრახ ეძებს თქვენი გაბრაზების მიზეზს?

36 მაია ჯალიაშვილი

სწავლა – მოგზაურობა აღმოჩენების სამყაროში

სკოლამ და მასწავლებელმა იმგვარი გარემო უნდა შექმნან, რომ სწავლების პროცესი იქცეს თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობად აღმოჩენების სამყაროში.

ცვატა ბერძენიშვილი

51 **ჰიპერაქტიური და ყურადღების დეფიციტის მქონე მოსწავლეები**

ფსიქოლოგთა უმეტესობა თანხმდება, რომ ჰიპერაქტიურ მოსწავლეთა უმთავრესი პრობლემა მათ მიერ არა უბრალოდ ფიზიკური აქტიურობის კონტროლს, არამედ ყურადღების მართვასა და შენარჩუნებას უკავშირდება. ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ ამ პრობლემის მქონე ბავშვების გამოსავლენად შეიმუშავა დიაგნოსტიკური კატეგორია ADHD – „ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი"

დავით ბოლქვაძე

54 **ალტერნატიული შეფასება სასწავლო პროცესში**

ალტერნატიული შეფასება ქმნის უკეთეს შესაძლებლობებს მოსწავლესა და მასწავლებლის ეფექტური უკუკავშირისათვის, ადგენს სასწავლო მეთოდების ეფექტურობის ხარისხს, გამოკვეთს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ალტერნატიული შეფასება მოსწავლეს უფრო მონდომებულს ხდის, ხოლო მასწავლებელს აძლევს საშუალებას მთავარი ყურადღება გაამახვილოს სწავლის არა პროდუქტ ზე, არამედ პროცესზე.

მაია ფირჩხაძე

ქაოსის როლი სინერგეტიკულ პროცესებში და განათლების სისტემის ინოვაციები

ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ და ცვალებად სამყაროში, სადაც, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების განვითარების კვალობაზე, იმდენად სწრაფად ვითარდება მოვლენები, რომ თავად ამ მოვლენათა გარკვევაც კი პრობლემა ხდება დროის სიმცირის გამო. მივაღწევთ თუ არა მიზანს, აღმოჩნდება, რომ ის, რისთვისაც ვილვწოდით, უკვე ისტორიის ნაწილად იქცა და ახალი შემხვედრი ტალღისთვის უნდა მოვემზადოთ. სანამ ჩვენი აღქმის სისტემები ამ ახალი ცვლადის შესწავლას და გააზრებას მოასწრებენ, ყველაფერი თავიდან დასაწყები ხდება, რადგან შემდეგი ნაკადი უკვე მოგვდგომია კარს. საბოლოოდ, სამყაროს აღქმისა და შეცნობის პროცესები ერთ დიდ კალეიდოსკოპს ემსგავსება, რომლის ღერძიც ისე სწრაფად ტრიალებს, რომ ინფორმირების ნაცვლად ინფორმაციულ ვაკუუმს გვიქმნის და იქ, სადაც აწყობილი სისტემა უნდა იყოს, ქაოსსა და უწესრიგობას ვაწყდებით. შედეგად ჩნდება კითხვები: რამ გამოიწვია ქაოსის წარმოშობა? კანონზომიერია თუ შემთხვევითი ეს პროცესები? შეიძლებოდა თუ არა ამ სირთულეების თავიდან აცილება? როგორი შეიძლება იყოს მოსალოდნელი შედეგები?

მეცნიერებაში ქაოსი ბოლო დრომდე ასოცირდებოდა შემთხვევით პროცესებთან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არსებობს ისეთი სიტუაციებიც, როდესაც ქაოსი სრულიადაც არაა შემთხვევაზე დამოკიდებული, რადგან იგი თავად სისტემის შინაგანი თვისებაა, ზოგადად არსებულია და წარმოიშობა ყველგან და ყოველთვის (1). ამიტომ უკანასკნელ ათწლეულში არსებითად შეიცვალა შეხედულება ქაოსის ბუნებაზე და მის როლზე ბიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის სისტემების მუშაობაში.

ფუნქციურად ქაოსი, როგორც ნებისმიერი რთული სისტემა, უმარტივეს წესებზეა დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემაც უმარტივესი ფორმულიდან გამომდინარეობს, მის მცირედ ცვლილებასაც კი მივყავართ უსასრულო ქაოსამდე, რომელიც ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო არაპროგნოზირებადი ხდება. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ქაოსი იმთავითვე შეიცავს მოწესრიგების მოთხოვნილებას და აუცილებლობას. გამოკვლევების თანახმად, წესრიგი და ქაოსი სრულიადაც არ არიან განსხვავებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული ცნებები.

ადამიანი ქაოსის საკითხით მითოსური ხანიდან ინტერესდება და ეს არ არის მხოლოდ ცნობისმოყვარეობის შედეგი – არსებობისთვის მას აუცილებლად სჭირდება გარემომცველ სამყაროზე როგორც ქაოსზე ან წესრიგზე წარმოდგენის შექმნა. წესრიგი და ქაოსი ონტოლოგიური სტრუქტურების (ყოფიერების, ანუ არსებობის სტრუქტურების) ფუნდამენტური კონცეპტებია და მათი გააზრების გარეშე ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია.

გარკვეული ქაოსურობა კოსმიურ სივრცესაც ახასიათებს, მაგრამ მას „მუდმივობის“ დიდი ველიც აქვს, ამიტომ ადამიანისთვის, როგორც კოსმოსის ნაწილისთვის, ქაოსის ფაქტორს გარკვეული მნიშვნელობა ნამდვილად აქვს. უფრო მეტიც, ერთგვარი „ქაოსურობის ნორმა“, ანუ გარკვეული შუალედური რეჟიმი ქაოსსა და წესრიგს

შორის ადამიანის დამახასიათებელ თვისებადაც განიხილება. თუმცა ქაოსური მდგომარეობა ყოველთვის არ ნიშნავს „უკიდურეს, გამოუვალ მდგომარეობას“, უბრალოდ, საჭიროა კრიტიკულად გავაანალიზოთ მოვლენები (2). სირთულე ამ მხრივაც შეიძლება წარმოიშვას, რადგან, როგორც მოვლენათა კრიტიკული გაანალიზება ცხადყოფს, კრიტიკულობაც არაა დაზღვეული ქაოსურობისაგან. იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ქაოსისა და წესრიგის ზღვარზე მყოფი მდგომარეობა, რომელიც ახალი სისტემის წარმოშობას მოითხოვს. მოცემული პრობლემის კვლევამ წინ წამოსწია კრიტიკულობის თვითორგანიზების თეორია (3), რომლის თანახმადაც, თვითორგანიზებად და თვითმართვად პროცესებში ქაოსს თავისი ფუნქციები და როლი აქვს და თავისთავად მივყავართ ერთი სისტემიდან მეორეზე გადამრთველი „მექანიზმის“ აუცილებლობამდე. მართალია, ეს „მექანიზმი“ რთული სისტემების მოწესრიგებას უწყობს ხელს, მაგრამ, ამავდროულად, თვითორგანიზებისას ამავე ქაოსის წიაღში სპონტანურად წარმოიქმნება და პარალელურად მიმდინარეობს ქვესისტემების სინქრონიზაციაც. შედეგად კი ვიღებთ ახალ დისციპლინას – სინერგეტიკას, მრავალი სისტემის გაერთიანებას, რომელშიც თვითორგანიზაციის მეშვეობით ქაოსიდან წესრიგის წარმოშობის პროცესები მიმდინარეობს (4).

ქაოსის წარმოშობის, თვითორგანიზაციის და თვითმართვის საკითხები ძალიან საგულისხმო და მნიშვნელოვანია განათლების სისტემისთვის: ადამიანის თავის ტვინში მიმდინარე კოგნიტური პროცესები მოწმობს, რომ ქაოსური დინამიკის გარეშე შეუძლებელია სწავლა/დასწავლა, რადგან ადამიანის ტვინში სხვაგვარად არ ხდება ვერბალიზაცია (5). ამავე დროს, ქაოსის შესწავლით დავადგენთ კანონზომიერებას იმ სისტემებშიც, რომლებიც აბსოლუტურად ქაოსურად მიგვაჩნია და გავარკვევთ პედაგოგიური სისტემების ორგანიზების არსსაც, რადგან ეს სფერო გვაძლევს იმ ადამიანურ რესურსს, რომელმაც უნდა შეძლოს, ზოგადად, ქაოსის მოწესრიგება.

განათლების სისტემა თავისი შინაარსით რთული სტრუქტურაა, რომელიც მოიცავს მმართველობის ორგანოებს, მართვის სტილს, პედაგოგიურ მოდელებს და პრაქტიკულ სასკოლო ცხოვრებას. მართალია, განათლების სისტემის მდგრადობის საკითხი თავისთავადაც ძალიან საინტერესოა, მაგრამ, როგორც ყველა სხვა რთული სისტემა, არც განათლების სფეროა დაზღვეული ქაოსური პრობლემებისგან. ამიტომ ამ სისტემის ნორმალური მართვა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა მმართველობაში სახელმწიფოს და კონკრეტული ორგანიზაციების წილი თანაბრად იქნება წარმოდგენილი. პრობლემების წარმოშობის საწყის სტადიაშივე თუ დავიწყებთ ცვლილებებს და შევიტანთ ქაოსის გარკვეულ ნორმას, მაშინ ყველა რგოლში შეიძლება დამყარდეს წესრიგი ქაოსის ბუნების შესაფერისად (6). წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მუდმივი ქაოსი, ასევე მის აღსაკვეთად მიმართული ტოტალური ჩარევა საგანმანათლებლო პროცესში თანაბრად გამოიწვევს სისტემის დეგრადაციას.

საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირების და განვითარების, ისევე როგორც ბიოლოგიური სისტემის განვითარების აღსანიშნავად არსებობს ცნება „ქაოსურობის ნორმა“. სახელმწიფოს როლი ასეთ პირობებში არა მხოლოდ საგანმანათლებლო დასწესებულებების უსასრულო სისტემის ფორმირებაა (რომელიც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია), არამედ ამის მიღწევა სხვადასხვა სისტემის ვარიაციების საშუალებით, რითაც მივიღებთ უფრო მოქნილ სასწავლო პროცესებს, სახელმძღვანელოებს, მეთოდური ლიტერატურის შესწავლის და არჩევის საშუალებებსა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს.

> **სწავლის პროცესი – ესაა უმჭიდროესი კავშირი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ეს არაა ცოდნის გადატანის უბრალო პროცესი. იგი ისეთი შემოქმედებითი პირობების შექმნას გულისხმობს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის გადაცემისა და ათვისებისადმი ინტერესის გაღვიძებას.**

გასაგებია, რომ განათლების ვარირებას როგორც ქაოსის ნორმას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს უსასრულო და, რაც მთავარია, არ უნდა არღვევდეს თავად „ქაოსურობის ნორმას“. მაგალითად, სხვადასხვა საგნის

> **მივაღწევთ თუ არა მიზანს, აღმოჩნდება, რომ ის, რისთვისაც ვიღვწოდით, უკვე ისტორიის ნაწილად იქცა და ახალი შემხვედრი ტალღისთვის უნდა მოვემზადოთ.**

სწავლებისას „ნორმირებული ქაოსი“ გამოხატება იმით, რომ სხვადასხვა ფორმით და მეთოდით აუცილებლად უნდა იქნეს მიღწეული შედეგი და ეს შედეგი უნდა შეესაბამებოდეს აზროვნების საფეხურებს – ცოდნის დონეებს. არ უნდა მოხდეს ფუნდამენტური მეცნიერებების წილის შემცირება ახალი, ხშირად არცთუ აუცილებელი საგნების სანაცვლოდ. ამიტომ კვლევა-ძიება ამ მიმართულებით, სწავლების ახალი გზებისა და ფორმების მოძიება აუცილებლად უნდა წარმოებდეს, მაგრამ მუდმივად უნდა გვახსოვდეს ქაოსის „ნორმა“ .

ქაოსის როგორც თვითორგანიზაციისა და თავითგანახლების ფაქტორის შესწავლა კონკრეტული პედაგოგიური მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელია. საკითხის კვლევისას გამოიკვეთება თავად პედაგოგიური მოდელების მიზნის დადგენის პრობლემა. მკვლევარები ამ მოდელებს ძირითადად ორ ნაწილად ყოფენ: „მკაცრ“ (ავტორიტარულ) და „რბილ“ (დემოკრატიულ) მოდელებად. პირველი შემთხვევის დროს პედაგოგიური მიზნები ყოველთვის კონკრეტულია და ყველაფერი მიმართულია მიზნის მისაღწევად, მეორე შემთხვევაში კი სისტემებს უფრო ზოგადი მოდელის ხასიათი აქვს და მიზნისკენ სხვადასხვა გზით და საშუალებით მიდის (7). მართალია, ზოგიერთი ფილოსოფიური სკოლა საერთოდ უარყოფს მიზნის კატეგორიებს, მაგრამ პედაგოგიურ მეცნიერებაში მიზანს მკვეთრად გამოხატული, განსაზღვრული ადგილი უკავია – რაც უფრო გამოკვეთილია მიზანი, მით უფრო ეფექტურია სასწავლო პრაქტიკა.



განათლების „ავტორიტარული“ მოდელი აიძულებს მოსწავლეს და მასწავლებელს, აუცილებლად მიაღწიონ წინასწარ განსაზღვრულ მიზნს, მაგრამ იძულება ყოველთვის არაა ეფექტური საშუალება. „დემოკრატიული“ მოდელის დროს კი შესაძლებელია „დაუგეგმავი გადასვლებიც“, რადგან აქ უმთავრესი დანიშნულება აქვს არა ტექნოლოგიებს, არამედ სწავლის სტრატეგიებს, რომლებიც გამომდინარეობს პრობლემის შინაარსისგან და შეესაბამება მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. ამით შეიძლება ერთგვარი ქაოსური სიტუაცია შეიქმნას სისტემის მუშაობაში. ამიტომ აუცილებელია, თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში გამოიკვეთოს სასწავლო პარამეტრების თავისუფლების პრინციპი, რითაც თავიდან ავიცილებთ მოსალოდნელ გართულებებს.

თანამედროვე სკოლა ვერ გაექცევა გარკვეულ ქაოსურობას, რადგან, როგორც ვხედავთ, იგი არსებით როლს ასრულებს სასწავლო პროცესში. ამიტომ „სასკოლო ქაოსების“ კი არ უნდა შეგვეშინდეს, არამედ ბუნებრივ პროცესად უნდა ჩავთვალოთ. მალე ეს „უწესრიგობა“ ბუნებრივად გადავა წესრიგში და უფრო უკეთეს წესრიგში, ვიდრე მას შესაფერისი ნორმებით განვსაზღვრავთ. ამას ხელს უწყობს განმავითარებელი სწავლების სისტემები, რომლებიც სწავლის თითქმის ყველა მხარეს მოიცავს. სწორად შერჩეული სტრატეგიის დროს არც ისე მნიშვნელოვანია, რა ფორმა, საშუალება, მეთოდი გამოიყენება. მთავარია, ისინი ეხმარებოდნენ სუბიექტს გზის არჩევაში. ასეთი მოდელების არჩევა გაცილებით კვალიფიციურ კადრებსა და გაცილებით დიდი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს, ვიდრე ეს ხდება „ავტორიტარული“ მოდელების დროს. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ მომავალი სწორედ ასეთი გზით სიარულია (8).

მკვლევარები, რომლებიც აანალიზებენ სწავლებას, გამოყოფენ სამ საფეხურს: ა) სწავლება ქაოსის საზღვრამდე, როდესაც ხდება იდეების გენერაცია; ბ) შემოქმედებითი აზროვნების სტიმულაცია სხვადასხვა მიმართულებით; გ) მოსწავლეები ისმენენ სხვების აზრს და ამის საფუძველზე გამოიმუშავებენ მოსაზრებებს. აქ მასწავლებლის როლი გულისხმობს არა მხოლოდ ცოდნის „გაფართოებას“ და მსჯელობების შეფასებას, არამედ მთლიანი პროცესის ზედამხედველობას და სწავლის პროცესის დონეების მიხედვით „მართვას“. ასეთ დროს ათვისების ხარისხი გაცილებით მაღალია. სტიმულიც იზრდება, რადგან სწავლის ამ სტრატეგიის დროს ხდება არა ქაოსის აღკვეთა, არამედ წესრიგსა და ქაოსურობას შორის შუალედური ურთიერთობის მოძებნა და

მოსწავლეებიც უფრო ნაყოფიერად მუშაობენ. თუმცა ფაქტია, რომ ეს ნაყოფიერება მიღწეულია სტერეოტიპების გვერდის ავლით და პრობლემების სულ სხვა მხრიდან დანახვით (9).

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ჯ. დევის-სივერის კვლევები („ქაოსი კლასში"), რომლის საფუძველს წარმოადგენს თვითორგანიზების თეორია. იგი იკვლევს სიტუაციებს „ქაოსის ზღვარზე". კვლევის თანახმად, ქაოსი ხელს უწყობს ახალი წესრიგის დამკვიდრებას და არსებითია, რომ ამ ახალი წესრიგის დამკვიდრება ხდება არა გარე ძალების ჩარევით, არამედ მას აქვს სპონტანური (ქაოსური) ხასიათი.

სად გადის ზღვარი წესრიგსა და უწესრიგობას შორის? რა შეიძლება მისცეს ადამიანს „ქაოსის ზღვარზე" სწავლების სტრატეგიამ? ჯ. დევის-სივერის თანახმად, ესაა საკუთარი თავის ძიების, შინაგანი მოტივების ფორმირების და სწავლის მიზნის გამოკვეთის გზა, მოსწავლეთა თვითშემეცნებისა და თვითგანათლებისკენ სწრაფვის საშუალება.

რა არ შეუძლია მისცეს „ქაოსის ზღვარზე" სწავლებამ მოსწავლეს? გარანტიები, დაცულობა, მომავლის გარკვეულობა (რადგან არსებული სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც განვითარების სპონტანური ხაზი). ადამიანი მუდმივად არჩევანის წინაშე დგას ასეთ დროს, რადგან აქტიურდება, საზოგადოდ, არჩევანის პრობლემა. ამის დასაძლევად კი საჭიროა განვითარების ვარიანტების ანდა მიახლოებითი დიაპაზონების დანახვა, ამა თუ იმ ვარიანტის შედეგების განსაზღვრა და ქმედებების შეფასება (10). ასეთი ქაოსური სიტუაცია შეიძლება დავახასიათოთ როგორც კონსტრუქციული ქაოსი, რომელშიც მკვეთრადაა გამოხატული პროცესები: თვითდასწავლა, სწავლა მასწავლებლის ზედამხედველობით და ურთიერთსწავლება. მასწავლებლები თავისუფლები არიან თავიან ქმედებებში – ერთმანეთთანაც და მოსწავლეებთანაც. ამ დროს სწავლების მთავარ მექანიზმს წარმოადგენს კონსტრუქციული ქაოსის სიტუაცია (11).

მაშასადამე, მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც „ქაოსის ზღვარზე", მიგვიყვანს ყველა ზემოხსენებულ შედეგთან, თუ გამოვიყენებთ კონსტრუქციული ქაოსის ელემენტებს. სწავლის პროცესში კონსტრუქციული ქაოსის და, საზოგადოდ, სინერგეტიკული პროცესების როლის შესწავლისას გამოიკვეთება ქაოსის ამგვარი როლი და მისი ფაქტორი თვითორგანიზაციისა და „თვითგანათლების" პროცესში. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს სწავლების მიმართ სისტემური მიდგომების გამოყენების ნაყოფიერებას (12).

ასეთი გზა განვითარების ფართო პერსპექტივას გვთავაზობს, რადგან იაზროვნო სინერგეტიკულად – ნიშნავს იაზროვნო არასწორხაზოვნად, ალტერნატიულად და შეძლო მოვლენათა მიმართულების ადეკვატური ცვლილება, ხოლო ასწავლო სინერგეტიკულად – ნიშნავს აღზარდო არასწორხაზოვნად, ალტერნატიულად მოაზროვნე ადამიანები, ტალანტები, რომლებიც უკეთესს გახდიან სამყაროს. ქაოსი როგორც გზა ინოვაციისკენ, როგორც სისტემის თვითორგანიზების ფაქტორი, სინერგეტიკული პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ქაოსი როგორც სამყაროს ემპირიული მოცემულობა, როგორც მუდმივი ცვლადი, როგორც სიკეთე და ბოროტება, როგორც წესრიგი და უწესრიგობა, ორგანიზაცია და დეზორგანიზაცია – თვითგანახლებისკენ მსწრაფი მოთხოვნილებაა. ეს გამოწვევა თამამად უნდა მიიღოს განათლების სისტემამ და მომავლის სამსახურში ჩააყენოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწავლის პროცესი – ესაა უმჭიდროესი კავშირი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ეს არაა ცოდნის გადატანის უბრალო პროცესი. იგი ისეთი შემოქმედებითი პირობების შექმნას გულისხმობს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის გადაცემისა და ათვისებისადმი ინტერესის გაღვიძებას. ესაა ღია დიალოგი და შესაბამისი უკუკავშირი, პრობლემური სიტუაციების გადაჭრისას თანამშრომლობა. ასეთი თანამშრომლობით მასწავლებელი ისწავლის, როგორ დაინახოს და შეაფასოს მოსწავლის საჭიროება, როგორ აღმოაჩინოს, რა იმალება მოსწავლის უკან და როგორ გაუგოს მას. ასეთი „თავისუფლების" პრინციპი თანამედროვე საგანმანათლებლო მოდელებში ხაზგასმით უნდა იყოს გამოკვეთილი და არც ამით გამოწვეული ქაოსი უნდა ჩაითვალოს საფრთხედ, რადგან ის, რაც ქაოსის ზღვარზეა, ორგანიზდება თვითორგანიზებისა და თვითგანათლების გზით და კონსტრუქციული ქაოსით. საგანმანათლებლო მოდელებში დაშვებული „ქაოსური" პრინციპების ეფექტურობას კი „სინერგეტიკული დიალოგის" (არათანაბარ სისტემებში არასწორხაზოვანი პროცესების მართვის ხელოვნება) არსებობა უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Лоскутов А.Ю. Очарование хаоса. – УФН. Т.180. – №12. – 2010. – С. 1305–1329;
2. Голдбергер Э. Лэ, Ригни Д.Р., Уэст Б. Дж. Хаос и фракталы в физиологии человека // В мире науки. – 1990. – № 4. – С. 25–327; Климонтович Ю. Л. Энтропия и информация открытых систем. – УФН. – Том 169. – 1999. – С. 443–452 ;
3. Бак П., Чем К. Самоорганизованная критичность // В мире науки. – 1991. – № 3. – С. 16–24; Князева Е.Н., Курдюмов С.П. Коэволюция сложных социальных структур: баланс доли самоорганизации и хаоса. http://spkurdymov.hsrod.ru;
Дробышева Л., Пугачева Е. Обучение на «грани хаоса» // Высшее образование в России, 2006, № 4, с.91-95;
Фриман Дж.У., Динамика мозга в восприятии и сознании: творческая роль хаоса // В сб. «Синергетика и психология». Вып.3. "Когнитивные процессы", Издательство «Когито-Центр", 2004;
Малинецкий Г.Г., Потапов А.Б. Нелинейная динамика и хаос. Основные понятия. – М.: КомКнига, 2006. – 240 с;
Арнольд В. И. "Жесткие" и "мягкие" математические модели. М., 2000;
Дахин А. Н. Педагогическое моделирование: сущность, эффективность и неопределенность // Педагогика. 2003. N 4;
Арнольд В. И. იქვე; Князева Е. Н., Курдюмов С. П. Основания синергетики: Режимы с обострением, самоорганизация, темпомиры. М., 2002;
Хуторской А. В. Современная дидактика. СПб., 2001; Амонашвили Ш. А. Идея школы Щетинина // Школа сотрудничества. М., 2000;
Davis-Seaver, J. "Promoting Critical Thinking at the University Level", National Forum of Teacher Education - Electronic, Vol. 8, №.3; Пугачева Е.Г. В поисках языка научного общения и понимания // Высшее образование в России. 2003. №4. С. 96-100;
Davis-Seaver, J. იქვე., Пугачева Е.Г. О социологичности мышления студентов // Высшее образование в России. -№2. – 2003. С.86-90;
Пугачева Е.Г., Соловьенко К.Н. Самоорганизация социально-экономических систем. Иркутск: Изд-во БГУЭП, 2003. – 172 с.; Тоффлер Э. Футурошок. М.: Изд-во «Прогресс», 1973;
Образование взрослых: цели и ценности / Под ред. Г.С.Сухобской, Е.А.Соколовской, Т.В. Шадриной. – СПб.: ИОВ РАО, 2002. – 188с;
Пугачева Е.Г. В поисках языка научного общения и понимания // Высшее образование в России. 2003. №4. С. 96-100;
4. Гордон. Диалоги. Синергетика. https://www.youtube.com/watch?v=-ZN_4BAfLM4;
Гордон- Диалоги: Нелинейный мир. https://www.youtube.com/watch?v=e3iBmSX2MZQ ; Горбатюк В.Ф. Модель обучения на основе системного подхода и синергетики // Методология и технологии высшего образования в информационном обществе: материалы докладов Международной научно-практической конференции, 6 сентября 2011 года / под ред. академика РАО;
5. Гордон, იგივე; Хакен Г. Тайны природы. Синергетика: учение о взаимодействии: пер. нем. – М.-Ижевск: Институт компьютерных исследований, 2003. – 320 с; Морено Я.Л.. Социометрия. Экспериментальный метод и наука об обществе. – М.: Академический проект, 2004. – 320 с; Горбатюк В.Ф. Модели системы обучения в условиях внедрения технологий e-learning. Вестник Таганрогского государственного педагогического института. Физико-математические и естественные науки. – Таганрог: Изд. отд. ГОУВПО «Таганрог. гос. пед. ин-т», 2011. – №1. – 199 с., С. 116–122; Горбатюк В.Ф. Некоторые результаты применения мета-проектного обучения при изучении физики и дисциплин специализации в педагогическом вузе. Интегративный подход в психолого-педагогической подготовке современного учителя. Сб. науч. трудов / под ред. проф. В.Т. Фоменко. – Таганрог: Изд. Таганрог. гос. пед. ин-та, 2010. – 316 с., С.93–102; Горбатюк А.Н., Горбатюк В.Ф. Модель процесса обучения в вузе с использованием технологий e-learning. Вестник Таганрогского государственного педагогического института. Физико-математические и естественные науки. – Таганрог: Изд. Таганрог. гос. пед. ин-та, 2009. №1. – 194 с., С. 49–53; Горбатюк В.Ф. Модель обучения на основе системного подхода и синергетики // Методология и технологии высшего образования в информационном обществе: материалы докладов Международной научно-практической конференции, 6 сентября 2011 года / под ред. академика РАО Г.А. Берулавы, Сочи: Изд-во Международного инновационного университета, 2011. – 352 с., С. 294–299; Горбатюк В.Ф. Основы создания обучающих средств мультимедиа: учебное пособие / отв. ред. проф. И.А. Стеценко. – Таганрог: Изд-во Таганрог. гос. пед. ин-та имени А.П. Чехова, 2011. – 200 с; Князева Е.Н. Одиссея научного разума. Синергетическое видение научного прогресса. – М., 1995, – 228 с; Колесников А.А., Прикладная синергетика: основы системного синтеза. – Таганрог: Изд-во ТТИ ЮФУ, 2007. – 384 с.

მანანა ბოჭორიშვილი

სასწავლო პროგრამების დანერგვის დონეები

რეზიუმე

სხვადასხვა ქვეყანაში ზოგადი განათლების მიღება რეგულირდება სასწავლო გეგმით, რომელზე დაყრდნობითაც მასწავლებლები ქმნიან სასწავლო პროგრამებს კონკრეტული კლასისათვის. სასწავლო პროგრამების დანერგვის პროცესი ინდივიდუალურია. ამ ინდივიდუალობას განსაზღვრავს მასწავლებლისა და კლასის თავისებურებები. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების განზოგადების შემდეგ განათლების სპეციალისტებმა გამოყვეს სასწავლო პროგრამების დანერგვის სამი დონე. ამ სტატიაში მიმოვიხილავთ სასწავლო პროგრამების დანერგვის დონეებს, მასწავლებლის ექსპრესიული მიზნების როლს და ლატენტური სასწავლო პროგრამის მნიშვნელობას.

საკვანძო სიტყვები: იმიტაციური დონე, შუალედური დონე, კოგნიტურ-გენერაციული დონე, ექსპრესიული მიზნები, ლატენტური სასწავლო პროგრამა.

შესავალი

კარგმა მასწავლებელმა ზუსტად იცის, როგორ შეარჩიოს კონკრეტული თემის სწავლების შესაბამისი მეთოდი; ამაზე დაყრდნობით როგორ გაუმკლავდეს სწავლების პროცესში წარმოქმნილ სიტუაციებსა და პრობლემებს ისე, რომ არ გადაუხვიოს სასწავლო პროგრამას. სასწავლო პროგრამების შექმნა და დანერგვა ერთნაირად შრომატევადია პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის. სწორად ორგანიზებული მოქმედებები საშუალებას აძლევს მას, განახორციელოს სასწავლო პროგრამით დასახული ექსპრესიული მიზნები და ამოცანები (ეისნერი, 1998). პედაგოგიკა ვითარდება გამოცდილებასთან ერთად. მასწავლებლის განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მის უნარს, დამოუკიდებლად და სპონტანურად მიიღოს გადაწყვეტილება გარკვეული სიტუაციიდან გამომდინარე და ყოველთვის გაითვალისწინოს მოსწავლისა და სასწავლო პროგრამის ინტერესები და მიზნები. სასწავლო პროგრამის დანერგვის პროცესის მრავალფეროვნებაზე მსჯელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ პროცესში სწავლების დონეებად დაყოფის მიდგომები.

ძირითადი ნაწილი

სასწავლო პროგრამის დანერგვის პროცესში სწავლებას გარკვეულ დონეებად (ტანერი & ტანერი, 1995) განიხილავენ. გამოყოფენ სამ ძირითად დონეს.

პირველი დონეა იმიტაციური დონე. იგი მოიცავს რუტინულ, მეთოდურ ქმედებებს. აღნიშნული ქმედებები განპირობებულია კონკრეტული სახელმძღვანელოთი და ინსტრუქტაჟით.

მეორე დონე, ანუ შუალედური, უფრო მაღალპროფესიულ დონეს შეესაბამება და მოიცავს მეთოდურ და მოდიფიცირებულ სწავლებას.

მესამე დონე კრეატიულ-გენერაციულია, ყველაზე მაღალი პროფესიონალიზმით ხასიათდება და

გულისხმობს ინტერპრეტირებულ სწავლებას, რომელიც მასწავლებლისგან მოითხოვს როგორც სკოლის მიზნების გათვალისწინებას, ისე მოსწავლის საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც.

მასწავლებელი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციასა და შედეგის მიღებაში.

იმიტაციური დონე – მასწავლებელი, რომელიც მუშაობს ამ დონეზე, უბრალოდ, ხელმძღვანელობს კლასს. იგი მიმართავს ისეთ რუტინულ ქმედებებს, როგორიცაა ბავშვების მუდმივი დასაქმება სხვადასხვა დავალების მიცემით; ასევე ინარჩუნებს დისციპლინას კლასში. ამ დროს მოსწავლეებს ძირითადად აძლევენ მარტივ პრაქტიკულ სავარჯიშოებს. მასწავლებლებისთვის იდეასა და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება მეთოდოლოგიური სირთულეა, რადგან იგი სცდება წინასწარ განსაზღვრული გეგმის ფარგლებს და პედაგოგისგან მოითხოვს სწავლების მეთოდის ინტერპრეტირებას კლასში არსებული მდგომარეობის შესაბამისად. მასწავლებლები ძირითადად ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციულ მითითებებს. ამ სახის ინსტრუქტაჟი ხელს უწყობს კლასში მასწავლებლის როლის შესუსტებას და მის დაყვანას რუტინულ ელემენტებამდე. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში მასწავლებლის პედაგოგიური როლი დაკნინებულია. ზოგჯერ მისი ფუნქცია დადის მხოლოდ გარკვეული მოქმედებების ტექნიკურ შესრულებამდე, როგორებიცაა: ტესტების და დავალებების დარიგება და შეგროვება, შედეგების დოკუმენტირება, მოსწავლეების დაკავება სავარჯიშოების შესრულებით და ა.შ.

მასწავლებლები უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი ტესტებისთვის მოსწავლეების მომზადებაზე. ისინი მიმართავენ სწავლების ყველაზე ბანალურ მეთოდს, როგორიცაა საგამოცდო საკითხების პირდაპირი სწავლება. ამ დროს არ ხდება სწავლების მეთოდის შერჩევა მოსწავლეების ცოდნის დონის შეფასების საფუძველზე. პედაგოგი არ ცდილობს შეიტანოს გონივრული კორექტივები სასწავლო პროცესში. ასევე არ ხდება მოსწავლეთა სუსტი მხარეების გამოვლენა, რის მიხედვითაც უნდა მოდიფიცირდეს სწავლების მეთოდიკა.

შუალედურ დონეზე მასწავლებელი ახდენს სწავლების მეთოდის მოდიფიცირებას მოსწავლეთა პროფესიული შეფასების საფუძველზე; ადაპტირდება პირველი დონისთვის დამახასიათებელი სწავლების სტრატეგია კლასში არსებული სიტუაციის მიხედვით. ხშირად პედაგოგები ტოვებენ სასწავლო პროგრამის გარკვეულ ნაწილს, პერიოდულად ამატებენ დამატებით მასალას ან მიმართავენ სწავლების სხვა მიდგომას ბაზისური მეთოდის პარალელურად. მასწავლებლისგან არ უნდა ველოდოთ რაიმე დიდ ინოვაციას – სასწავლო პროგრამაში მას შეაქვს საშუალო დონის მოდიფიკაცია. ზოგჯერ მასწავლებლებს სასწავლო პროგრამა ხელს უშლის პედაგოგიური კვალიფიკაციის გამომჟღავნებაში. ეს ეხება ისეთ სკოლებში მომუშავე პედაგოგებს, სადაც ხელმძღვანელობა მათგან მოითხოვს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების ზედმიწევნით ზუსტ გამოყენებას. ამ შემთხვევაში მასწავლებლები შეზღუდულნი არიან – არ შეუძლიათ შეიტანონ შესწორებები სასწავლო პროგრამაში. მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ შესთავაზონ სკოლის ხელმძღვანელობას ალტერნატიული სასწავლო პროგრამა.

კოგნიტურ-გენერაციული დონე, ანუ მესამე დონე წარმოადგენს პედაგოგიური პროფესიონალიზმის უმაღლეს სტანდარტს. აღნიშნულ დონეზე სწავლება ხორციელდება სკოლის ყველაზე ამბიციური მიზნის მისაღწევად. ამიტომ კლასის აქტივობები ძალიან მაღალი ხარისხისაა და კონცენტრირებულია არა მარტო აკადემიურ და ინტელექტუალურ განვითარებაზე, არამედ სოციალური და მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და შეხედულებების ჩამოყალიბებაზეც. სასწავლო პროგრამის განხორციელება ფოკუსირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ ნიჭსა და ინტერესებზე, რაც ხელს უწყობს აზროვნების, კომუნიკაციისა და კვლევის უნარების განვითარებას. იდეასა და პრობლემაზე ორიენტირებული საკლასო აქტივობები იგეგმება და ხორციელდება მასწავლებლის მიერ, მოსწავლის ბუნების, მოთხოვნილებებისა და საზოგადოებრივი ღირებულებების გათვალისწინებით. სასწავლო პროგრამა ორგანიზებულია სხვადასხვანაირად და ყოველთვის შეესაბამება ასაკობრივ ჯგუფსა და ბავშვის განვითარების დონეს. პედაგოგი ჯერ აფასებს კლასის შესაძლებლობებს და შემდეგ ირჩევს სწავლების მეთოდს. შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ყურადღება ექცევა, რამდენად შეესაბამება სწავლების შერჩეული მეთოდი მოსწავლეების განვითარების დონეს, ინტერესებსა და მისწრაფებებს, ასევე, რამდენადაა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა. როდესაც მასწავლებელი ხვდება, რომ ვერ აღწევს დასახულ მიზანს, მაშინ მას საკუთარ გამოცდილე-

> **„რადგან სასწავლო პროგრამა უფრო მეტია, ვიდრე დაწერილი ინსტრუქციები, მისი განხორციელება დამოკიდებულია პედაგოგის დამოუკიდებელ გონივრულ გადაწყვეტილებებზე.“**

> **კარგმა მასწავლებელმა ზუსტად იცის, როგორ შეარჩიოს კონკრეტული თემის სწავლების შესაბამისი მეთოდი; ამაზე დაყრდნობით როგორ გაუმკლავდეს სწავლების პროცესში წარმოქმნილ სიტუაციებსა და პრობლემებს ისე, რომ არ გადაუხვიოს სასწავლო პროგრამას.**

ბაზე, თეორიულ ცოდნასა და სხვადასხვა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ცვლილებები შეაქვს სწავლების მეთოდში. ამგვარად, პედაგოგს აქვს ისეთი მაღალი დონის კვალიფიკაცია, რომ შეუძლია, დამოუკიდებლად აირჩიოს სასწავლო მასალა და მეთოდები.

ყველაფერი, რისი გაკეთებაც მიზანშეწონილია სკოლაში, ყოველთვის არ გამომდინარეობს სასწავლო პროგრამის გეგმიდან. ეისნერმა (1998) საკლასო ოთახში მიმდინარე მოვლენებს, რომლებსაც არ გააჩნია გამოხატული გეგმა ან მიზანი, **ექსპრესიული მიზნები უწოდა**. სიტყვა „მიზანი" ამ შემთხვევაში ცოტა დამაბნეველია, რადგან არ იგულისხმება წინასწარ დაგეგმილი მოვლენა. წარმოვიდგინოთ პედაგოგი, რომელიც კლასში ახორციელებს ახალ და დაუგეგმავ მოქმედებას, რომელიც განპირობებულია რაიმე გარემოებით. ცალკეული მოსწავლის ან კლასის გაუთვალისწინებელი სასწავლო მიმართულებით წაყვანა დამოკიდებულია მასწავლებლის ინტუიციაზე, აღებული გეზის შეცვლის აუცილებლობაზე, გაჩენილი პრობლემის გამოსწორების სურვილზე ან მოსწავლეებში ინტერესის გაღრმავების მიზანზე. ექსპრესიული მიზანი - ეს არის სწავლების პროცესში ახალი და ღირებული ელემენტების ჩართვა, რომლებიც წინასწარ არ იყო დაგეგმილი.

ექსპრესიული მიზნები მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესში, რადგან სასკოლო პროგრამას ანიჭებს მნიშვნელოვან მოქნილობას და აგრეთვე ითვალისწინებს პედაგოგის პროფესიული გადაწყვეტილების მიღების უნარს. ამ გზით მასწავლებელს შეუძლია გაუმკლავდეს კლასში წარმოქმნილ მოულოდნელ სიტუაციებს. ექსპრესიული მიზნებით ასევე შესაძლებელია სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზება მოსწავლეების ინტერესებისა და მოთხოვნილების გათვალისწინებით.



კრეატიულ-გენერაციული პედაგოგიკა ეფუძნება ექსპრესიულ მიზნებს – ამ დროს ხდება კლასში არსებული პრობლემების შეფასება და ამ პრობლემების გადასაჭრელი მოქმედებების განხორციელება.

მაგალითად, განვიხილოთ ისტორიის პედაგოგი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სწავლების როლური თამაშის მეთოდი გამოიყენოს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს დაევალათ სცენარის შექმნა, მასწავლებელმა აღმოაჩინა, რომ მათ ძალიან გაუჭირდათ დიალოგების შეთხზვა. ამ შემთხვევაში პედაგოგს შეუძლია აირჩიოს რამდენიმე მიმართულება:

1. თავი დაანებოს აღნიშნულ დავალებას და გადავიდეს გეგმით გათვალისწინებულ სხვა საკითხზე;
2. ყურადღება არ მიაქციოს იმ ფაქტს, რომ მოსწავლეებს უჭირთ დიალოგების დაწერა და მოითხოვოს აღნიშნული დავალების შესრულება;
3. გადავიდეს ექსპრესიულ მიზანზე, ანუ შეეცადოს წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრას სხვადასხვა მეთოდით, მაგალითად, სთხოვოს მშობლიური ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ერთიანი თანამშრომლობა მოსწავლეებში წერის პრობლემის გადასაჭრელად.

ამ შემთხვევაში დიალოგის დაწერა არ წარმოადგენს ისტორიის საგნის მთავარ მიზანს, მაგრამ მასწავლებელს აქვს საშუალება, გამოასწოროს შექმნილი მდგომარეობა. ექსპრესიული მიზნების წარმოშობა საშუალებას აძლევს პედაგოგს, გაუმკლავდეს წარმოქმნილ სირთულეებს. სწავლების პროცესი მიმართულია კონკრეტული მიზნისკენ, მაგრამ იგი თვითონაც განაპირობებს ახალი მიზნების წარმოშობას. სასწავლო პროცესში

წარმოქმნილი ექსპრესიული მიზნები ყოველთვის გამომდინარეობს მოსწავლის ინტერესებიდან და აძლევს მას მნიშვნელოვან საგანმანათლებლო შედეგს. აღსანიშნავია, რომ ექსპრესიული მიზნების წარმოშობა არ ანიჭებს პედაგოგს სრულ თავისუფლებას. მას არ აქვს უფლება, რადიკალურად გადაუხვიოს გეგმიდან. არ შეიძლება სასწავლო პროგრამის ნორმატიული განრიგის უარყოფა, თუნდაც ეს გამოწვეული იყოს მოულოდნელად შექმნილი სიტუაციით.

სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, რამდენად **მანიფესტირებადია** პროგრამა და რამდენად შეესაბამება იგი დასახულ მიზანს. ამიტომ სასწავლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ზუსტად განსაზღვრულ მასალასა და ქმედებებს, რომლებიც შეესაბამება საზოგადოებრივ ღირებულებებსა და მოთხოვნებს.

ნებისმიერი სასწავლო პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია **ლატენტურ** და შეუცნობელ პროცესებთან, რომლებიც ბავშვებს ასწავლის მნიშვნელოვან საკითხებს. მაგალითად, როდესაც მოსწავლეებს ვასწავლით გამრავლების ტაბულას, შეიძლება შევაყვაროთ ან შევაძულოთ მათემატიკა და სწავლის პროცესი, ასევე, შეიძლება განვუვითაროთ ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა.

სასწავლო პროგრამის შემქმნელები მრავალი წლის განმავლობაში მოხიბლულნი იყვნენ ლატენტური სასწავლო პროგრამის ცნებით. იგი აფართოებს სასწავლო პროცესის მნიშვნელობას, რადგან სცდება მისი მიზნების, შინაარსის, თანმიმდევრობისა და შეფასების სისტემის ტრადიციულ ფარგლებს. განათლების სისტემაში არსებული ადრეული პროგრესული მიმდინარეობა მიმართული იყო სასკოლო პროგრამების გაფართოებისკენ (სხვადასხვა უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებების, მისწრაფებების განვითარებისკენ). ამიტომ ლატენტური სასწავლო პროგრამა გახდა სასწავლო პროგრამების პროგრესულად მოაზროვნე შემქმნელების ძირითადი ორიენტირი.

ამასთანავე, წარმოიშვა კითხვები სასწავლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით. მაგალითად, რა გავლენა აქვს სკოლას მოსწავლის განწყობასა და ცოდნის შეძენის სურვილზე? რას აკეთებს სკოლა იმისათვის, რომ ბავშვებს ჩამოუყალიბოს საკუთარი თავის პატივისცემა, გავლენა მოახდინოს დასვენების ჯანსაღ წესზე, მიმართოს მათი ქმედებები საზოგადოებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ? ჯონ დიუი ლატენტურ სასწავლო პროგრამას უწოდებდა **კოლატერალურ** სწავლებას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას. იგი წერდა: „როცა აღიარებენ, რომ მოსწავლე სწავლობს მხოლოდ გარკვეულ საგნებს სკოლაში, ეს ალბათ ყველაზე დიდი პედაგოგიური შეცდომაა“. კოლატერალური სწავლება – ეს არის შეხედულებების, დამოკიდებულებების, მიდრეკილებებისა და გემოვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ლატენტური სასწავლო პროგრამა, რომელიც მეტწილად დამოკიდებულია მასწავლებლის პედაგოგიურ მონაცემებზე.

დასკვნა

რა განაპირობებს სასწავლო პროცესის წარმატებას? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. რაც უნდა სრულყოფილი და დახვეწილი იყოს სასწავლო პროგრამის შინაარსი, მის პრაქტიკულ განხორციელებას განაპირობებს სწავლების მეთოდი და პედაგოგიკა. მარტივად რომ ვთქვათ, პედაგოგიკა – ეს არის ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, რასაც სასწავლო პროგრამა მოჰყავს მოქმედებაში.

მასწავლებლის კვალიფიკაცია მდგომარეობს მის უნარში, სხვადასხვა კუთხით შეაფასოს კლასისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და ამის საფუძველზე წარმართოს სასწავლო პროცესი. ექსპრესიული მიზნების გაჩენა დამოკიდებულია პედაგოგის გონივრულ გადაწყვეტილებაზე, სწავლების პროცესში ჩართოს დაუგეგმავი ეფექტური მოქმედებები, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარეობს და ემსახურება საგანმანათლებლო მიზანს.

რადგან სასწავლო პროგრამა უფრო მეტია, ვიდრე დაწერილი ინსტრუქციები, მისი განხორციელება დამოკიდებულია პედაგოგის დამოუკიდებელ გონივრულ გადაწყვეტილებებზე. ასეთი მასწავლებლები მოქმედებენ სასწავლო პროგრამის განხორციელების კრეატიულ-გენერაციულ დონეზე. მათ შესწევთ უნარი, შეაფასონ და გაითვალისწინონ კლასში არსებული პრობლემები და ვითარებები და ამის მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილებები. მათ ასევე კარგად ესმით ლატენტური სასწავლო პროგრამის მნიშვნელობა, რომელიც თან ახლავს სასწავლო პროცესს და შეუცნობლად ახდენს გავლენას მოსწავლის დამოკიდებულებაზე სხვადასხვა საკითხის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Eisner, E. (1998). The educational imagination. New York: Macmillan Co.
2. Tanner, D. & Tanner, L. (1995). Curriculum development. New York: Macmillan Co.

თამარ მოსიაშვილი

რელიგიის ისტორიის სწავლა და რელიგიის შესწავლა

„იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, სადა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია: დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირის საძირკვლიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის“.

„შინაური მიმოხილვა“, 1881, მარტი ილია ჭავჭავაძე

> **მე მომწონს ჩვენი კანონმდებლობა, ჩვენი კანონი ყველა მოქალაქეს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს. თუ კანონი დაცული იქნება, არ მოხდება მოქალაქეთა სეგრეგაცია სკოლებში რელიგიური ნიშნით.**

შესავალი

რელიგიური ორგანიზაციებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთობა მნიშვნელოვანი საკითხია და რიგ შემთხვევებში უკავშირდება სახელმწიფოში დემოკრატიის ინდექსს.

ქვეყნები ამ საკითხს განსხვავებულად არეგულირებენ. რელიგიურ ორგანიზაციებსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შორის თანამშრომლობა რეგულირდება ქვეყნის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების განვითარებაზე პასუხისმგებლობას, როგორც წესი, სახელმწიფო იღებს, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც პასუხისმგებლობას სახელმწიფოსთან ერთად რელიგიური ორგანიზაციებიც ინაწილებენ. სკოლებისა და რელიგიური ორგანიზაციების თანამშრომლობის წესები გვაძლევს ინფორმაციას სახელმწიფოს წყობის შესახებ, კერძოდ: ა) სახელმწიფოს კანონები ემყარება და ასახავს რელიგიურ რწმენას; ბ) სახელმწიფო და რელიგიური ორგანიზაციები გაყოფილია, მაგრამ ერთი რელიგია დომინირებს; გ) სახელმწიფოში თანაარსებობენ სხვადასხვა რელიგიები, არსებობს რელიგიური შემწყნარებლობა და რწმენის თავისუფლება (ჯერალდინ ვან ბუერნი, ბავშვები და რელიგია, სოლიდარობა, 2007, N10).

სკოლებისა და რელიგიური ორგანიზაციების თანამშრომლობა დაუსრულებელი დისკუსიის საგანია. ამ დისკუსიების დროს ხშირად მოისმენთ მოსაზრებას, რომ სკოლაში მხოლოდ ჭეშმარიტი რელიგია უნდა ასწავლონ. ზოგი თვლის, რომ მართალია, მათი რწმენაა ჭეშმარიტი, მაგრამ სხვა აღმსარებლობებიც უნდა ისწავლებოდეს. ზოგი თვლის, რომ უმრავლესობის რელიგიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. არსებობს მოსაზრება, რომ განათლებულმა ადამიანმა ყველა რელიგია უნდა იცოდეს. ათეისტებს, აგნოსტიკოსებს, სეკულარისტებს მიაჩნიათ, რომ რელიგია არ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, რადგან მოხდება დომინანტური რელიგიის ინდოქტრინიზაცია.

ბავშვის უფლებათა კონვენციაში ბავშვის უფლება, ჰქონდეს ან მიიღოს რელიგიური აღმსარებლობა ან რწმენა საკუთარი შეხედულებით, აღნიშნული არ არის. კონვენცია მხოლოდ ირიბად კრძალავს ძალისმიერი მეთოდებით ბავშვის აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვას.

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი) აღიარებს, რომ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს თავისი კულტურით, რელიგიით, ენით (მუხლი 30).

ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ, როგორაა დარეგულირებული რელიგიური ორგანიზაციებისა და სკოლების ურთიერთობა სამხრეთ კავკასიაში, თურქეთსა და ირანში და კეთილდღეობისა და დემოკრატიის მაღალი ინდექსის მქონე ავსტრიაში.

სამხრეთ კავკასია

საქართველო

საქართველოში მოსახლეობის 84% მართლმადიდებელი ქრისტიანია, 9,9% – მუსლიმი, 3,9% – სომხური ეკლესიის წევრი, 0,8% – კა-

თოლიკე, 0,4% – იეზიდი, 0.1% – იუდეველი. საქართველოში ისლამის ორივე მიმდინარეობის აღმსარებლები ცხოვრობენ: ქვემო ქართლში შიიტური, ხოლო აჭარაში – სუნიტური ისლამის აღმსარებლები (საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერა).

საქართველო სეკულარული ქვეყანაა. კონსტიტუცია აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, კონსტიტუციაში ასევე ხაზგასმულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9).

კანონი ზოგადი განათლების შესახებ მკვეთრად მიჯნავს რელიგიურ ორგანიზაციებსა და საჯარო სკოლებს. კანონის მიხედვით, აკრძალულია რელიგიური ინდოქტრინიზაცია, პროზელიტიზმი. თუმცა დასაშვებია საჯარო სკოლებში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნა და ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისკენ (კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 13.2).

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის მოსახლეობის 93.40% ისლამის აღმსარებელია, მათგან 85% – შიიტური, ხოლო 15% – სუნიტური ისლამის აღმსარებელია 3.1% ქრისტიანია (აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაცია).

აზერბაიჯანი სეკულარული სახელმწიფოა (კონსტიტუცია, 1995, მუხლი 18). რწმენის თავისუფლების შესახებ აზერბაიჯანის კანონის მიხედვით (მუხლი 6), სკოლა გამოყოფილია რელიგიური ორგანიზაციებისგან, ხოლო სკოლაში თეოლოგიურ, რელიგიურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ სწავლებას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო და არა აღმსარებლობითი ხასიათი. ამასთან ერთად მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს რელიგიური განათლება. ამ მიზნით რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ შექმნან საგანმანათლებლო ასოციაციები და ასწავლონ მოქალაქეებს მათ კუთვნილ შენობებში, მათ კუთვნილებაში არსებული რესურსების გამოყენებით.

სომხეთი

2011 წლის სახელმწიფო აღწერის შედეგების მიხედვით, სომხეთის მოსახლეობის 98% ეთნიკურად სომეხია, მათგან 92% სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელია. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, სომხურ ეკლესიასთან მიკუთვნებულობა ატარებს უფრო კულტურულ, ვიდრე რელიგიურ ხასიათს (სომხეთის კანონი აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ).

სომხეთის კონსტიტუცია იცავს რელიგიურ თავისუფლებას. კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო სკოლები სეკულარულია. სკოლებში რელიგიის ისტორია ისწავლება. ამ საგანს სახელმწიფოს მიერ მომზადებული მასწავლებლები ასწავლიან. სომხური ეკლესიის ისტორია კურიკულუმის ნაწილია. ბევრი სკოლა დაწყებით საფეხურზე ასწავლის მსოფლიო რელიგიებს, ხოლო საბაზოზე – სომხური ეკლესიის ისტორიას. სკოლაში რელიგიური რიტუალების ჩატარება და სწავლება რელიგიური ორგანიზაციების მიერ აკრძალულია.

სამხრეთ კავკასიის სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო სეკულარულია და სკოლები რელიგიური ორგანიზაციებისგან გამიჯნულია. თუმცა კვლევებში შეიძლება მოვიძიოთ რელიგიური დისკრიმინაციის ფაქტები, მათ შორის – ისეთ ჰომოგენურ სახელმწიფოშიც, როგორიც სომხეთია (StepanDanielyan, AraGazaryan, 2012). ამ საკითხს ამ სტატიაში არ მიმოვიხილავთ.

რა ხდება მეზობელ თურქეთსა და ირანში?

თურქეთი

თურქეთში ისლამის აღმსარებელთა რაოდენობა 99.8%-ია (სხვა წყაროების მიხედვით, ისლამის აღმსარებელთა რაოდენობა უფრო მცირეა და 96.4 %-ს აღწევს). თურქეთში ძირითადად სუნიტები (72%) ცხოვრობენ, ხოლო შიიტების რაოდენობა დაახლოებით 25%-ს აღწევს. სხვა აღმსარებლობის (მართლმადიდებლები, სომხური ეკლესიის მიმდევრები) წარმომადგენლები 0.2%-ს შეადგენენ.

თურქეთი სეკულარული ქვეყანა გახდა 1924 წელს მიღებული კონსტიტუციური ცვლილებისა და ათათურქის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად. რელიგიური ორგანიზაციები განდევნილნი იყვნენ საჯარო სკოლებიდან.

თითოეულ მოქალაქეს საკუთარი რელიგიური არჩევანი აქვს. რელიგია ათეისტის ცხოვრების ნაწილიცაა. მას სწამს, რომ რელიგიის არსებობას ლოგიკური არგუმენტები არ გააჩნია. ხოლო მორწმუნეს საკუთარი აღმსარებლობა მიაჩნია უფლისკენ სავალ ჭეშმარიტ გზად.

1956 წელს ახალმა მთავრობამ საჯარო სკოლებს წარუდგინა რელიგიის შემსწავლელი კურსი, 1980 წელს ეს კურსი გარდაიქმნა რელიგიის კულტურისა და რელიგიური ეთიკის საგნად. მოსწავლეები თავდაპირველად ისლამსა და მის ინტერპრეტაციას სწავლობდნენ და შემდეგ – სხვა რელიგიებს. ეს კურსი შეესაბამებოდა განათლების მოთხოვნებს, კერძოდ, მოსწავლეების კრიტიკულ და აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში.

რელიგიის სკოლაში დაბრუნების დინამიკა ასეთია:

1949 წელს მეოთხე და მეხუთეკლასელებისთვის მომზადდა ისლამის სწავლების არჩევითი კურსი. მშობლებს შეეძლოთ, სურვილის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაციისთვის მიემართათ თხოვნით.
1950 წელს კურსი სავალდებულო გახდა.
1956 წელს რელიგიის შემსწავლელი კლასების რიცხვს შეუერთდა მეექვსე და მეშვიდე კლასები. 11 წლის შემდეგ, 1967 წელს - მეცხრე და მეათე კლასები.
1974 წელს მეოთხედან მეათე კლასის ჩათვლით ეთიკის გაკვეთილები სავალდებულო გახდა.
1982 წელს ეთიკისა და რელიგიის სწავლების გაკვეთილები გაერთიანდა და ეწოდა რელიგიის კულტურისა და ეთიკის განათლება.

დღეს რელიგიის სწავლების საკითხი თურქეთში აქტუალურია. სკოლებში მოსწავლეები ლოცულობენ, რელიგიურ რიტუალებს ატარებენ. რელიგიის კულტურისა და ეთიკის გაკვეთილები ძირითადად სუნიტურ სწავლებას ემსახურება.

ირანი

2011 წლის მონაცემებით, ირანში მოსახლეობის 99.4% მუსლიმია, მათგან 90% – შიიტი, ხოლო 10% – სუნიტი, სხვა რელიგიური ჯგუფები – დაახლოებით 0.4%.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ისლამი სახელმწიფო რელიგიაა. განათლების სექტორზე ისლამის გავლენა მაღალია. სკოლების „ისლამიზაცია“ ბოლო 30 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. 1979-2012 წლებში შეიცვალა კანონმდებლობა, კურიკულუმი, ისლამის როლის გაზრდის მიზნით რამდენჯერმე ხელახლა დაიწერა სახელმძღვანელოები. ცვლილებების მიზანი ისლამური კულტურის სკოლაში დანერგვა იყო. რელიგიამ შეცვალა გოგონების ჩაცმულობა, სკოლებში დაინერგა ლოცვები, ტარდებოდა პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის ღონისძიებები. მოხდა კურიკულუმის რეფორმირება ისლამური ღირებულებების შესაბამისად (Mehran, 1990; Mehran, 1998; Mohsenpour, 1988; Shorish, 1988). 1987 წელს პარლამენტმა მიიღო რეფორმატორული კანონი, რომელიც ხაზს უსვამდა სკოლებში სწავლებისას შიიტური აღმსარებლობის როგორც სახელმწიფო რელიგიისა და დედამიწაზე წმინდა რელიგიის რეპრეზენტაციას. 1987 წლიდან სკოლების მისია გახდა ახალი მუსლიმების, მტკიცე მორწმუნეებისა და ისლამური საზოგადოების მსახურთა აღზრდა (Paivandi, 2006).

ირანის ისლამურ რევოლუციამდე რელიგიის სწავლებას სკოლაში გარკვეული დრო ეთმობოდა. რელიგიის შესწავლაზე დახარჯული დროის ცვლილების დინამიკა ასეთია: რევოლუციამდე რელიგიის სწავლებას ეთმობოდა სასწავლო დროის 6.4%, რევოლუციის შემდეგ - 12.7%. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს დრო 25%-მდეც კი გაიზარდა (Saeed Paivandi , 2008).

2008 წელს Freedom House-მა შეისწავლა 2006-2007 წლებში გამოცემული 95 სახელმძღვანელო. კვლევის მიხედვით, სახელმძღვანელოები შედგენილია შიიტური რელიგიის პერსპექტივიდან.

რელიგიის გავლენა იგრძნობა არა მხოლოდ სოციალურ მეცნიერებებში, ისტორიაში, სპარსულ ლიტერატურაში, არამედ ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოებშიც.

- შესწავლილ იქნა 412 გაკვეთილი. ღმერთის, მოციქულის, რელიგიური და ისტორიული პირების შესახებ ინფორმაცია მოცემულია გაკვეთილების 38%-ში.
- შეწავლილ იქნა 3115 ილუსტრაცია, 645 ასახავს რელიგიურ, კულტურულ, პოლიტიკურ ლიდერებსა და მეცნიერებს.
- მოცემულია ინფორმაცია ომებზე, კონფლიქტებსა და წამებულებზე. სამშობლოსა და რწმენისთვის სიცოცხლის შეწირვა სახელმძღვანელოების ერთ-ერთი მთავარი თემაა.
- სოციალურ მეცნიერებებში საკითხები (ოჯახი, სოციალური ჯგუფები, სოციალიზაცია, პოლიტიკური სისტემები) განხილულია ისლამის ჭრილში.
- ისტორიის სახელმძღვანელოები საზოგადოებრივ ცვლილებებს რელიგიის პრიზმაში განიხილავს.

რელიგიის სწავლება ავსტრიაში

როგორ ხდება რელიგიური ორგანიზაციებისა და საჯარო სკოლების ურთიერთობა ისეთ ქვეყანაში, როგორიც ავსტრიაა?

თანამედროვე ავსტრია მულტიკულტურული ქვეყანაა. მოსახლეობის 64,1% კათოლიკეა, 3.8% – ლუთერანი, 12% – ათეისტი. ავსტრიაში ცხოვრობს 340 000 მუსლიმი (ძირითადად თურქები) და 180 000 მართლმადიდებელი (ძირითადად სერბები).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრია მკაცრად სეკულარული ქვეყანა გახდა. თუმცა სეკულარიზმის ჩარჩოებში ქვეყანამ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო: ავსტრიის ყველა მოქალაქეს საშუალება აქვს ისწავლოს ის რელიგია, რომელიც სურს. რელიგიის მასწავლებელი რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელია, ხოლო სწავლის ხარჯებს ფარავს ავსტრიის სახელმწიფო. ამ მიზნით მიიღეს კანონი ბავშვთა რელიგიური განათლების შესახებ (Law on the Religious Education of Children). კანონის მიხედვით, 14 წელს მიღწეულ მოზარდს შეუძლია დამოუკიდებლად შეარჩიოს ის რელიგია, რომლის შესწავლაც უნდა, ხოლო 14 წლამდე ასაკის ბავშვისთვის რელიგიას მშობელი ირჩევს. დგება რელიგიის კლასები; თუ მსურველი ცოტაა, მაშინ რამდენიმე სკოლა ერთიანდება. რელიგიის სწავლება რომ სკოლაში განხორციელდეს, აუცილებელია, რელიგიური გაერთიანება აღიაროს ავსტრიის სახელმწიფომ.

რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება სკოლაში რელიგიის სწავლების შესახებ

- როცა რელიგია გავლენას ახდენს კურიკულუმზე ან მასწავლებელი რელიგიურ თემებს იყენებს გაკვეთილზე, რელიგიური შეხედულებები და მეცნიერული ცოდნა ერთიანდება. მეცნიერება კი რელიგიისგან დამოუკიდებელია. მეცნიერებისა და რელიგიის განვითარების გზები სრულიად განსხვავებულია.
- რელიგიის სწავლების დროს აქტუალურია ცივილიზაციათა კონფლიქტი, დღევანდელობის მთავარი გამოწვევა კი ცივილიზაციათა დიალოგია.
- რელიგია დაფუძნებულია რწმენაზე, ხოლო მეცნიერების სწავლება შეუძლებელია საკითხის კრიტიკული განხილვის გარეშე. რწმენას კრიტიკულად ვერ განიხილავ, არგუმენტირებულად ვერ დაასაბუთებ რელიგიური აღმსარებლობის დოგმებს.
- მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მულტიკულტურულია. რელიგიური ორგანიზაციების გავლენა სკოლებზე იწვევს რელიგიურ, გენდერულ და ეთნიკურ დისკრიმანაციას.

რატომ ვკამათობთ ამდენს რელიგიური ორგანიზაციებისა და სკოლების თანამშრომლობის შესახებ?

თითოეულ მოქალაქეს საკუთარი რელიგიური არჩევანი აქვს. რელიგია ათეისტის ცხოვრების ნაწილიცაა. მას სწამს, რომ რელიგიის არსებობას ლოგიკური არგუმენტები არ გააჩნია. ხოლო მორწმუნეს საკუთარი აღმსარებლობა მიაჩნია უფლისკენ სავალ ჭეშმარიტ გზად.

მე მომწონს ჩვენი კანონმდებლობა, ჩვენი კანონი ყველა მოქალაქეს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს. თუ კანონი დაცული იქნება, არ მოხდება მოქალაქეთა სეგრეგაცია სკოლებში რელიგიური ნიშნით.

სკოლებში რელიგიის სწავლების ხარისხი ქვეყნის დემოკრატიის ხარისხის პირდაპირპროპორციულია. ქვეყნების დემოკრატიის ინდექსი, რომელსაც ყოველწლიურად ადგენს ჟურნალ „ეკონომისტის“ კვლევითი ჯგუფი, ქვეყნებს ანაწილებს ოთხი რეჟიმიდან ერთ-ერთში: სრული დემოკრატია, არასრული დემოკრატია, ჰიბრიდული რეჟიმი და ავტორიტარული რეჟიმი

გთავაზობთ 2014 წლის მონაცემებს:

ირანი	1.98
აზერბაიჯანი	2.83
სომხეთი	4.13
საქართველო	5.82
თურქეთი	5.12
ავსტრია	8.54

რეგიონში საქართველო ლიდერობს, თუმცა 10-ქულიან სკალაზე მისი ადგილი მოკრძალებულია. არასრული დემოკრატიის ქვეყნების რიცხვში რომ მოხვდეს, 0.22 ქულა აკლია – შესაძლოა, სწორედ ის ქულა, რომელსაც ქვეყანაში სეკულარიზმის გაძლიერება და საქართველოს მოქალაქეობაზე ორიენტირებული ქვეყნის მშენებლობა მოგვიტანს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. კანონი ზოგადი განათლების შესახებ
3. სოლიდარობა 2007 №10 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=52&lang=geo, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი I ცხრილი 24
4. Administrative Department of the President of the Republic of Azerbaijan PRESIDENTIALLIBRARY, RELIGION
5. Law of the Republic of Azerbaijan "On Freedom of Religious Belief"
6. Protection of the Rights of Children from Religious and Ethnic Minority Groups in Armenia, Field study with children and young people in Armenia, Council of Europe, 2014
7. StepanDanielyan, AraGazaryan, HovhannesHovhannisyan, ArturAvtandilyan, 'Issues of Religious Education in public Schools of the Republic of Armenia, Yerevan, 2012
8. World Factbook, Central Intelligent Agency, 2007 http://www.worldbulletin.net/haber/116510/religious-education-in-turkey, ნანახია 2015 წლის 22 მარტს https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/ir.html, ნანახია 2015 წლის 22 მარტს Religious Education in Europe Oslo University 8th September 2005, Peter Schreiner ICCS Comenius-Institut/Germany Democracy Index, Economist 2014 http://www.sudestada.com.uy/Content/Articles/421a313a-d58f-462e-9b24-2504a37f6b56/Democracy-index-2014.pdf, ნანახია 2015 წლის 18 მარტს.

ეკატერინე ყიფიანი

პასიური აგრესია სკოლის მოსწავლეებში, მისი ამოცნობა და დაძლევა

ბევრი მასწავლებელი ჯერ კიდევ არ აღიარებს იმ აზრს, რომ ყველა ბავშვი ნიჭიერია. ხშირად მოსწავლეს მოარგებენ ხოლმე იარლიყს სახელწოდებით „დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე“ და ყველას ავიწყდება, რომ ესეც იმ ნიჭიერ მოსწავლეთაგანია, რომლებიც გარშემო ჰყავთ.

როგორ მოიქცევით გაკვეთილზე, თუ მოზარდი მერხზე კაკუნს დაიწყებს, თან თუ იცით, რომ ის განზრახ ეძებს თქვენი გაბრაზების მიზეზს?

სოციალური ურთიერთობის დროს უარყოფითი დამოკიდებულებების ერთობლიობას და წინააღმდეგობის ფარულად გაწევას პასიურ აგრესიას უწოდებენ. ზოგი ამგვარ ქმედებებს ქცევით დარღვევებს მიაკუთვნებს. მათი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა: დაწყებული შესასრულებელი დავალების უგულებელყოფით დამთავრებული არასასურველი განზრახვებით, როდესაც ვინმეს გაბრაზება აქვთ გამიზნული.

პასიური აგრესიის მქონე ინდივიდების ამოცნობა ოთხი ძირითადი ნიშნით შეიძლება: ისინი უსამართლოდ ან სულელურად იქცევიან, თავს მოუსვენრად გრძნობენ ახალი გამოცდილების შეძენის დროს, არასდროს გამოხატავენ პირდაპირ მტრობას და ჩასაფრებულ მოქმედებას ანიჭებენ უპირატესობას.

პასიური აგრესიის ოთხ კატეგორიას გამოყოფენ:

შენიღბული სიტყვიერი მტრობა. მაგ., ჭორაობა, ქილიკი, ხუმრობა, რომლის უკანაც მტრული განწყობა იმალება და რომელსაც ხშირად მოსდევს სიტყვები: „ეს მხოლოდ ხუმრობა იყო“, მუდმივი დაცინვა, იდეების, გადაწყვეტილებების, მდგომარეობის პერმანენტული გაკრიტიკება.

ფარული მტრობა ურთიერთობის დროს. მაგ., იშვიათი საუბარი, ფარული ქმედება, სოციუმისგან გამიჯვნა, ნათქვამის ან ნამოქმედარის უარყოფა, ორპირობა, უარყოფითი ან გამაოგნებელი სიურპრიზები, სამიზნე პირის ნივთების მიმართ ან საყვარელი ადამიანებისადმი მტრობა.

საქმისადმი მიმართული ფარული მტრობა. ზოზინი, უსაქმურობა, დავიწყება, ინფორმაციის დამალვა ან დაგვიანება, პირადი პასუხისმგებლობის უარყოფა, ცრუ მობოდიშება, სხვებისთვის გადაბრალება, პირობის დარღვევა, წინააღმდეგობის გაწევა, სიჯიუტე, თავიდან არიდება, არაეფექტურობა, გართულება, დავალების დაუსრულებლობა ან განადგურება.

სხვებისადმი მიმართული მტრობა საკუთარი თავის დასჯის გზით. წარუმატებლობის გამოვლენა, ჯანმრთელობაზე წუწუნი, თავის მსხვერპლად წარმოჩენა, ვინმეზე მუდმივი დამოკიდებულება, ნარკომანია, საკუთარი თავის დაზიანება, თავის მოკატუნება სხვების თანაგრძნობის მოსაპოვებლად.

მოკლედ, პასიური აგრესია არის ბრაზის, მტრობის გამოვლენა და, თუ საჭიროა, უმწეობის ნიღბის მორგება. სინამდვილეში კი ადამიანები, ვისაც პასიური აგრესია ჩვევად ექცა, ელიან მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას, სხვების კონტროლს

და უარყოფითი ქმედებებით გამოწვეულ ემოციურ კმაყოფილებას.

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება ბავშვებში პასიური აგრესიული ქცევების აღმოჩენას და მათ პრევენციას.

ბევრი მასწავლებელი ჯერ კიდევ არ აღიარებს იმ აზრს, რომ ყველა ბავშვი ნიჭიერია. ხშირად მოსწავლეს მოარგებენ ხოლმე იარლიყს სახელწოდებით „დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე“ და ყველას ავიწყდება, რომ ესეც იმ ნიჭიერ მოსწავლეთაგანია, რომლებიც გარშემო ჰყავთ. ვერც მასწავლებლებს გაამტყუნებთ. ასეთ ბავშვებს ზოზინი ჩვევად ჰქცევიათ, განზრახ ივიწყებენ დავალებების შესრულებას და მთელ დღეს უსაქმურობაში ატარებენ. ისინი ხშირად წყენას მალავენ გულში თანაკლასელის ან მასწავლებლების მიმართ, თანაც ისე, რომ ეს ვერავინ შეამჩნიოს. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს აშკარა აგრესიული ქცევის აღმკვეთი ღონისძიებების გატარებას, მაგრამ არაფერია ნათქვამი პასიური აგრესიის მქონე მოსწავლეებზე ან მასწავლებლებზე, რადგან ამ ემოციური მდგომარეობის მქონე პირები კარგად ნიღბავენ ბრაზს და მშვიდი ადამიანის ნიღაბს ეფარებიან. არა მარტო მასწავლებლებს, არამედ ბავშვებსაც უნდა შეეძლოთ ამგვარი ნეგატიური განწყობის ამოცნობა.

ფარული მტრობის შემთხვევები საკმაოდ ხშირია სკოლებში. აქ განვიხილავთ იმ პასიურ აგრესიულ ქცევებს, რომლებიც ხშირად შეიმჩნევა სასწავლო დაწესებულებებში და მასწავლებლების წონასწორობიდან გამოყვანას განაპირობებს.

დროებითი მორჩილება

ამ ტიპის პასიური აგრესიული ქცევის დროს მოსწავლე სიტყვიერად ემორჩილება მასწავლებელს, მაგრამ მისი ქცევა საწინააღმდეგოს აჩვენებს: ის განზრახ აყოვნებს დავალების შესრულებას.

ასე, მაგალითად: ლალი მეორე კლასშია და ძალიან უყვარს ხელოვნება, მაგრამ არ სიამოვნებს სხვა გაკვეთილებზე დასწრება. როცა მასწავლებელი აცხადებს, რომ უნდა აალაგონ ხელოვნების გაკვეთილზე გამოყენებული ინვენტარი და სხვა გაკვეთილისთვის მოემზადონ, ის თავს უქნევს თანხმობის ნიშნად, მაგრამ აგრძელებს კოლაჟზე მუშაობას. ცოტა ხნის შემდეგ მისი თანაკლასელები სხვა გაკვეთილისთვის უკვე მზად არიან, ლალი კი ნელა დებს ჩანთაში წებოს, მერე ზოზინით აბრუნებს მაკრატელს თავის ადგილზე. მასწავლებელი განმეორებით აფრთხილებს, რომ გაასუფთაოს მერხი. ის კი ისევ ჩალაგების პროცესშია, თან ეუბნება, რომ გაწმენდს, აბა, რას იზამს. მოსწავლეებს ეცინებათ. მასწავლებელი ბრაზდება და ხმას უწევს. ლალი კი გულში ფიქრობს, რომ მასწავლებელი გაბრაზების ღირსია, რაკი ასე ადრე დაამთავრებინა საყვარელი საქმიანობა.

განზრახ გამოგონილი უუნარობა

მოსწავლეების ქცევა ემორჩილება მასწავლებლის მოთხოვნებს. ისინი ასრულებენ არასასურველ დავალებას, მაგრამ არასრულყოფილად ან უხარისხოდ, წინასწარი განზრახვის საფუძველზე.

კახას საბუნებისმეტყველო საგნებსა და მათემატიკაში აქვს მაღალი მოსწრება, მაგრამ არ უყვარს წერითი დავალებების შესრულება, ამიტომ შემოქმედებითი წერის გაკვეთილისთვის მან გამოიგონა ასეთი ოხუნჯობა: თითქოს ემორჩილება მასწავლებელს, სინამდვილეში კი აბრაზებს მას. მასწავლებელმა მოსთხოვა ათგვერდიანი თხზულების ნაბეჭდი სახით ჩაბარება და ხაზებს შორის განსაზღვრული ინტერვალის დაცვა. კახამ 20 სიტყვა გადაანაწილა 10 გვერდზე, თითოეულზე ერთმანეთის ქვეშ განსაზღვრული ინტერვალის დაცვით განთავსებული ორი სიტყვით. შემდეგი დავალების განსაზღვრის დროს მასწავლებელმა მითითებას დაამატა სიტყვების რაოდენობა. კახამ ეს პირობაც თავისებურად შეასრულა: უცნაური სიტყვებით შეავსო ფურცლები, თუმცა მათი რაოდენობა მითითების თანახმად შეარჩია. მასწავლებელმა მეორედაც უსაყვედურა, რომ დავალება არ ჩაითვლებოდა შესრულებულად. მან კი გააპროტესტა: „მე თქვენი მითითება ზუსტად დავიცავი. გარდა ამისა, ეს თუ შემოქმედებითი წერის გაკვეთილია, მეც ხომ შემოქმედებითად მივუდექი დავალებას“.

წინააღმდეგობების მატება

ზოგჯერ მოსწავლე აღარ ემორჩილება უფროსების მოთხოვნებს და მათ მიმართ მტრულ

განწყობას გამოხატავს. უარს ამბობს სხვის დახმარებაზეც. ასეთი შემთხვევა უმოქმედობის დანაშაულის ტოლფასია.

ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებელი მოსწავლეს მობილურს ართმევს გაკვეთილზე მისი არამიზნობრივი გამოყენების გამო. მოსწავლე მტრულად განეწყობა მასწავლებლის მიმართ. მოგვიანებით შესაძლოა მასწავლებლის სკამი აღმოჩნდეს დასვრილი ან ფეხმოტეხილი. მოსწავლემ იცის ეს, მაგრამ არ ეუბნება მასწავლებელს, რადგან ურჩევნია, რომ მას რაიმე გაუფუჭდეს.

ფარული შურისძიება

მოსწავლეს მასწავლებლის მიმართ აქვს მტრული განწყობა და ელოდება ხელსაყრელ შემთხვევას სამაგიეროს გადასახდელად.

მარის კომპიუტერი ძალიან უყვარს, მაგრამ ვერ იტანს მის მასწავლებელს, რადგან ერთხელ მასწავლებელი უხეშად მოექცა: უთხრა, რომ დაბრუნებოდა შესასრულებელ დავალებას და შეეწყვიტა კომპიუტერზე კლასგარეშე საქმიანობა. როდესაც ბოლომდე შეისწავლეს ვებგვერდის დიზაინი, მარიმ გადაწყვიტა მისთვის „მაგალითი“ ეჩვენებინა. მან მასწავლებლის სახელით შექმნა ვებგვერდი, ჩასვა მისი სურათი და გამოაქვეყნა ცრუ ინფორმაცია. შემდეგ გვერდი ინტერნეტში განათავსა და სკოლის ამხანაგებსაც შეატყობინა მის შესახებ. მოგვიანებით მასწავლებელს სკოლის დირექციის და სხვა მოსწავლეების წინაშე მოუხდა თავის მართლება და უდანაშაულობის დამტკიცება. მარი კი შორიდან ტკბებოდა მომხდარით. რაკი პირველ შემთხვევაში მისი დანაშაული არ გამჟღავნდა, შემდეგ მსგავსი ვებგვერდები არასასურველი ნაცნობების სახელითაც შექმნა.

თავის დამცირება

ეს პასიური აგრესიის ყველაზე ცუდი და პათოლოგიური ფორმაა, რადგან მოზარდი ზიანს აყენებს არა მარტო გარშემო მყოფებს, არამედ საკუთარ თავსაც. თანაც შედეგი კვალს ტოვებს მის ცხოვრებაზე.



მშობლები არცთუ იშვიათად შვილის ნაცვლად თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას, სად გააგრძელოს მან სწავლა-განათლება. მოზარდების მომავალი ცხოვრება სწორად არჩეულ პროფესიაზეა დამოკიდებული, მაგრამ ისინი მშობლებთან კამათს და ჩხუბს ერიდებიან. სხვების მიერ არჩეულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის დროს მოზარდები არ სწავლობენ და ვერც სამსახურს შოულობენ ამ სფეროში, რაკი საკუთარი თავის რწმენა ეკარგებათ უნივერსიტეტში დაბალი აკადემიური მოსწრების გამო.

იყო შემთხვევა, როდესაც მოზარდმა მშობლების მიერ არჩეულ ფაკულტეტზე შესატან საბუთებში ჩაწერა, რომ მას არ აინტერესებდა ეს მიმართულება, მხოლოდ მშობლების დაჟინებული მოთხოვნის

გამო აკეთებდა ამას. შედეგად მშობლებიც შერცხვნენ და ბავშვმაც უარყოფითი პასუხი მიიღო სასწავლებლის ადმინისტრაციისგან.

მოზარდები ერიდებიან გრძნობების და ბრაზის გამოხატვას იმის შიშით, რომ ურთიერთობები გაუფუჭდებათ. ამის გამო

- არ ესმით, ვერ ხედავენ ან ვერ გაიგეს;
- მდუმარე რეაქცია;
- გაბუტვა და გაქცევა;
- ჭორაობა.

არ აჰყვეთ პროვოკაციას, ანუ უარი თქვით იმ საპასუხო რეაქციის განხორციელებაზე, რასაც მათი ქცევა

ელოდეთ და დათანხმდით უარყოფას. ის აუცილებლად უარყოფს, რომ გაბრაზებულია. თქვენი მიზანია, ფარდა ახადოთ მის ფარულ ნეგატიურ გრძნობებს, რომლებიც შესაძლოა თვითონ გათვითცნობიერებულიც არ ჰქონდეს; მაგრამ თუ უარყოფს ამას, დათანხმ-

> **ამგვარი მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ თქვენ მშვიდად უზიარებთ მოსწავლეს საკუთარ მოსაზრებას, არც თავის მართლება გიწევთ და არც თავის დაცვა იმისათვის, რომ მას ბრაზი შეამჩნიეთ. ამ გზით მიაწოდებთ გაბედულ და ძლიერ გზავნილს იმის შესახებ, რომ პასიური აგრესია აღარ გაგრძელდეს და ურთიერთობამ სასიკეთოდ შეიცვალოს სახე.**

უყალიბდებათ პასიური აგრესიული ქცევები. ფარული აგრესია თითქოს დროებით იცავს მათ, მაგრამ მისი შედეგები ხანგრძლივად ახდენს გავლენას მოზარდების ცხოვრებაზე.

ჩვენ უნდა ავირჩიოთ ის სტრატეგია, რომელიც დაგვეხმარება აღნიშნული ქცევების დინამიკის შეჩერებაში. მასწავლებლებს უნდა ევალებოდეთ მსგავსი ქცევების იდენტიფიკაცია და აღმოფხვრა. ამისთვის საჭიროა ბრაზის მიზეზის ამოცნობა და პასიური აგრესიის გადამისამართება უფრო გულწრფელი და აშკარა ბრაზის გამოსახატავად.

პასიური აგრესიის გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც დაგეხმარებათ საფრთხის ამოცნობაში:

- ზიზინი;
- მოულოდნელი უზრდელური ქცევები;
- მოჩვენებითობა, რომ

მყისიერად გაიძულებთ. თქვენ იცით, რომ მოზარდი განზრახ იქცევა უზნეოდ. გაიმეორეთ გულში რამდენჯერმე: „ის პასიური აგრესიული მოსწავლეა და მე არ ავყვები მის გამოწვევას!“ ან „მე არ უნდა დავუყვირო და არც სარკასტული გამოთქმა უნდა წამომცდეს, რადგან ეს მხოლოდ გაამწვავებს პრობლემას!“

მოახდინეთ პრობლემის სახელდება. პასიური აგრესიის მქონენი ერიდებიან ემოციების აშკარად გამოვლენას. მათ არ სურთ, რომ ვინმემ წყენა შეამჩნიოთ. ერთ-ერთი ძლიერი იარაღი ამ დროს არის პასიური აგრესიის გადაყვანა ღია აგრესიაში. ამიტომ გულახდილად - მაგრამ არა გაკიცხვის მიზნით - უნდა უთხრათ მოსწავლეს, რომ თქვენი მოთხოვნების შემდეგ გაბრაზება შეამჩნიეთ.

დით. უთხარით, რომ თქვენ ასე მოგეჩვენათ. არ დაუწყოთ კამათი. ნუ მოსთხოვთ აღიარებას.

ამგვარი მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ თქვენ მშვიდად უზიარებთ მოსწავლეს საკუთარ მოსაზრებას, არც თავის მართლება გიწევთ და არც თავის დაცვა იმისათვის, რომ მას ბრაზი შეამჩნიეთ. ამ გზით მიაწოდებთ გაბედულ და ძლიერ გზავნილს იმის შესახებ, რომ პასიური აგრესია აღარ გაგრძელდეს და ურთიერთობამ სასიკეთოდ შეიცვალოს სახე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. How to recognize and deal with passive-aggressive people; Post published by Preston Ni M.S.B.A. on May 18, 2014 in Communication Success
2. Strategies to identify and change hidden hostility in a relationship; Post published by Signe Whitson L.S.W. on May 04, 2013 in Passive Aggressive Diaries
3. Passive Aggressive Behaviors in School; Post published by Signe Whitson L.S.W. on Aug 26, 2014 in Passive Aggressive Diaries

ანა ჯანელიძე

ადრეული განათლების ხარისხი

შესავალი

ადრეული განათლება, როგორც წესი, 6 წლამდე ასაკის ბავშვების სკოლამდელ განათლებასა და მათზე ზრუნვას გულისხმობს. სამწუხაროდ, ადრეული განათლების ხარისხი ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იშვიათად ექცევა. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ხარისხის პრობლემა წინ წამოიწევს ხოლმე, ძირითადად საუბრობენ ელემენტარულ ფიზიკურ უსაფრთხოებასა და უვნებელ კვებაზე. საფრთხის შემცველი გარემოს დაუშვებლობა, ცხადია, უპირველესია, თუმცა სამწუხაროა, რომ სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების ხარისხის განხილვა მხოლოდ ამ კონტექსტში ხდება. თუკი ელემენტარული უსაფრთხოების ნორმები არ იქნება დაცული, ბუნებრივია, შეფერხდება მსჯელობა ხარისხის სხვა ასპექტებზე, რომლებიც განათლების პროცესსა და შედეგს უკავშირდება.

ადრეული განათლების ხარისხთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომებისა და კვლევების მიმოხილვა დაგვეხმარება, ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ და ხელი შევუწყოთ სკოლამდელი განათლების ხარისხის შესახებ მსჯელობის დაწყებას.

რა არის ადრეული განათლების ხარისხი და რატომ არის ის მნიშვნელოვანი?

ადრეული განათლების ხარისხი კომპლექსური საკითხია, რომლის შესახებაც შეთანხმებული პოზიცია არც სამეცნიერო წრეებში და არც პოლიტიკურ დონეზე არ არსებობს. უკანასკნელი წლების სამეცნიერო ნაშრომებში ხშირად აღინიშნება, რომ ხარისხი კულტურული კონსტრუქციაა; ის, რაც მაღალი ხარისხის მაჩვენებლად შეიძლება იყოს მიღებული ერთ საზოგადოებაში, შესაძლოა ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნეოდეს სხვაგან. პრობლემური შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკის დონეზე შემუშავებული ადრეული განათლების ხარისხის სტანდარტებიც, რადგან ისინი ხშირად შექმნილია ისეთი ადამიანების მიერ, რომლებსაც ნაკლები წარმოდგენა აქვთ განათლების პროცესის შესახებ და ხარისხის საკითხს უდგებიან პოლიტიკის, ეკონომიკის ან ბიზნესის თვალთახედვიდან. ამ ფონზე ადრეული განათლების ხარისხის თემით დაინტერესებული ბევრი მკვლევარი ემხრობა განათლების პროცესის კონტექსტუალიზებულ (როგორც კულტურული, ისე ისტორიული თვალსაზრისით) ხედვას და გვთავაზობს, პოსტმოდერნული პერსპექტივიდან მივუდგეთ „ხარისხის“ მრავალფეროვნების საკითხს. მიუხედავად აღნიშნული პოზიციისა, არსებობს ძირეული პრინციპები, რომელთა გარეშე ხარისხიანი ადრეული განათლების წარმოდგენა რთული იქნებოდა.

ბავშვის ადრეული განვითარებისა და განათლების მკვლევარი მარტინ ვუდჰედი აღნიშნავს, რომ „ხარისხი შედარებითია, მაგრამ არა შემთხვევითი“[1]. სანამ ამ ძირეული პრინციპების განხილვაზე გადავალთ და სხვადასხვა მიდგომას მიმოვიხილავთ, განვიხილოთ ძირითადი

არგუმენტები, რომლებიც ხაზს უსვამს ადრეული განათლების ხარისხის მნიშვნელობას. აღნიშნული არგუმენტები შეგვიძლია დავაჯგუფოთ სამი პერსპექტივის (ბავშვის განვითარების, ბავშვის უფლებების და სოციოეკონომიკური) მიხედვით. ბავშვის განვითარების პერსპექტივიდან, ადრეული ასაკი ადამიანის განვითარების უმნიშვნელოვანესი პერიოდია, როდესაც საფუძველი ეყრება პიროვნების ფიზიკურ, სოციალურ და ინტელექტუალურ განვითარებას. არახელსაყრელი პირობები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სათანადოდ სტიმულირებას ან, უარეს შემთხვევაში, ხელს უშლის მას, ზეგავლენას ახდენს ადამიანის შესაძლებლობებზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში[2]. კვლევები ადასტურებს, რომ „ხარისხიანი" ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას და მის აკადემიურ და სოციალურ წარმატებას მომავალში. ამასთანავე, არსებობს მტკიცებულებებიც, რომ როდესაც ადრეული განათლების ხარისხი დაბალია, ბავშვის განვითარებისთვის ის შეიძლება ხანგრძლივი უარყოფითი შედეგის მომტანი იყოს. ამდენად, ადრეული ასაკის პოტენციალის ბავშვების სასარგებლოდ მაქსიმალურად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი განათლება ხარისხიანი იყოს.

მეორე არგუმენტი საფუძველს იღებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციიდან. ბავშვის უფლებების პერსპექტივიდან, ყველა ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს ხარისხიანი ადრეული და დაწყებითი განათლება. მნიშვნელოვანია ბავშვების აწმყო, მათი ყოველდღიური რეალობები და გარემოებები, რომლებიც ხელს უნდა უწყობდეს მათი ინტერესების რეალიზებას, პოზიტიური იდენტობის, მიკუთვნებულობის და კეთილდღეობის განცდის ჩამოყალიბებას.

მესამე პერსპექტივა, რომელიც უფრო აქტუალურია პოლიტიკის დონეზე, გულისხმობს ადრეულ განათლებაში სახელმწიფოს მიერ ინვესტირებული რესურსების ეფექტიანობას როგორც ინდივიდებისთვისაც, ასევე საზოგადოებისთვის. ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ხარისხის გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ადრეულ განათლებას მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგების მოტანა შეუძლია არა მხოლოდ უშუალო ბენეფიციარებისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც (მაგალითად, შემცირებული სახელმწიფო დანახარჯები სოციალურ დახმარებაზე, კრიმინალზე და ა.შ.).

რა არის მნიშვნელოვანი ბავშვებისთვის?

როგორც უკვე აღინიშნა, ადრეული განათლების ხარისხის ასპექტები კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს. მიუხედავად ამისა, ადრეული განათლების მკვლევარი ლილიან კათზი აყალიბებს რამდენიმე საკითხს, რომლებიც საფუძვლად უნდა ედოს ადრეული განათლების ხარისხის ინდიკატორებს[3]. მნიშვნელოვანია, რომ კათზი ქვემოთ მოცემული ელემენტების ფორმულირებას სწორედ ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე ახდენს:

- **უსაფრთხოების განცდა** – ადრეულ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური უსაფრთხოების განცდა. ბავშვი

> **სტანდარტიზებული პროგრამები წინასწარ იდენტიფიცირებული მიდგომებით, თემებითა და აქტივობებით ზღუდავს აღმზრდელს, იმოქმედოს ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე. აღმზრდელს, რომელიც თავად არ არის შემოქმედებითი და კრიტიკული, სავარაუდოდ, გაუჭირდება ბავშვებში შემოქმედებითობისა და აზროვნების უნარების სათანადოდ ხელშეწყობა.**

უნდა გრძნობდეს, რომ ის უყვართ, პატივს სცემენ და გულწრფელად აინტერესებთ მისი გრძნობები და მოქმედებები.

- **ოპტიმალური თვითშეფასება** – ყველა ბავშვს, მიუხედავად გარემო პირობებისა და შესაძლებლობებისა, უნდა ჰქონდეს ოპტიმალური თვითშეფასება. თვითშეფასებას მუდმივად უნდა ასაზრდოებდნენ და ხელს უწყობდნენ ზრდასრულები, ოჯახის წევრები და თანატოლები.
- **შეგრძნება, რომ ცხოვრება მნიშვნელოვანია** – მნიშვნელოვანია, ბავშვებს ჰქონდეთ შეგრძნება, რომ ცხოვრება საინტერესო, დამაკმაყოფილებელი და ავთენტურია. ამის მისაღწევად აუცილებელია, ბავშვებს შეეძლოთ მისდიონ საკუთარ ინტერესებს, დასახონ და შეასრულონ რეალური ამოცანები, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანი და სახალისოა. ეს არ ნიშნავს, რომ ადრეულ ასაკში ბავშვისთვის ღირებულია მხოლოდ გართობა. ადრეული განათლება ფრთხილად დაგეგმილ და კარგად შერჩეულ აქტივობებს გულისხმობს, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებს, განავრცონ საკუთარი ცოდნა და უნარები, ახლებურად აღიქვან და შეისწავლონ გარემო ზრდასრულების ხელშეწყობით.
- **მხარდაჭერა გამოცდილების გააზრებისთვის** – ბავშვებს ესაჭიროებათ სხვა ადამიანების დახმარება, რომ გაიაზრონ საკუთარი გამოცდილება. ადრეული განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სწორედ ის არის, გაარკვიოს ბავშვის წარმოდგენები საკუთარი გამოცდილებისა და სამყაროს შესახებ და ამ წარმოდგენებიდან გამომდინარე, ხელი შეუწყოს ბავშვის შემეცნების პროცესს.
- **ავტორიტეტული ზრდასრულები** – მნიშვნელოვანია, რომ ზრდასრულები არ იყვნენ უკიდურესად ავტორიტარულები ან პირიქით, ყველაფრის დამთმობები. ბავშვებს სჭირდებათ ავტორიტეტული ზრდასრულები, რომლებიც გარკვეულ ძალაუფლებას ფლობენ, თუმცა მუდამ მზრუნველნი არიან, მხარს უჭერენ ბავშვს და ეხმარებიან დაწესებული საზღვრების (მაგ., მისაღები და მიუღებელი ქცევა) მნიშვნელობის გააზრებაში.
- **სასურველი როლური მოდელები** – ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, ურთიერთობა ჰქონდეთ ისეთ ადამიანებთან (ბავშვებსა და ზრდასრულებთან), რომლებიც მათთვის პოზიტიური მაგალითის მიმცემნი იქნებიან. მიუხედავად კულტურული განსხვავებებისა, ალბათ შესაძლებელია შეთანხმება იმ ძირეულ თვისებებზე, რომლებსაც ყველა ბავშვისთვის ვისურვებდით, მაგალითად, სხვებზე ზრუნვის უნარი, გულწრფელობა, განსხვავებულის მიმღებლობა, სწავლის სიყვარული და ა.შ. ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია გვერდით ისეთი ზრდასრულების ყოლა, რომლებსაც ექნებათ მყარი პოზიციები იმის შესახებ, თუ რისი კეთება, ცოდნა, ფლობა და რაზე/ვისზე ზრუნვა არის მნიშვნელოვანი.

რა განსაზღვრავს ადრეული განათლების ხარისხს?

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული რვა ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგების შედარების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავს ადრეული განათლების ხარისხს[4]. ქვემოთ მოცემული ფაქტორები დალაგებულია მათი მნიშვნელობის მიხედვით:

- მშობლების როლი და ჩართულობა;
- ურთიერთობების ხარისხი, განსაკუთრებით – ბავშვებსა და ზრდასრულებს შორის;
- მკაფიო და რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამა;
- მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;
- ადეკვატური და ორგანიზებული ფიზიკური სივრცე;
- სტაბილური რუტინა;
- თანამშრომელთა მომზადება და ტრენინგი;
- ბავშვის აქტიური როლი და თამაშის მნიშვნელობა.

აღნიშნული ფაქტორები შესაძლოა გარკვეულწილად პრობლემური იყოს, რადგან ზოგიერთი მათგანი ერთმანეთს გადაფარავს. მაგალითად, კვლევები ადასტურებს, რომ თანამშრომელთა მომზადება და ტრენინგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ურთერთობების ხარისხს ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის. ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების ორგანიზებულ ჩარჩოს აყალიბებს ვუდჰედიც (1996), რომელიც ფაქტორების კლასი-

> **მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ადრეული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას სისტემურად მიუდგეს, პირველ რიგში – აღმზრდელთა პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებითა და მათთვის მისაღები და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნით.**

ფიკაციას სამი ტიპის მიხედვით ახდენს: საწყისი ინდიკატორები, პროცესის ინდიკატორები და შედეგის ინდიკატორები. ვუდ-ჰედის მიხედვით:

- ხარისხის საწყისი ინდიკატორებია (ყველაზე მინიმალური სტანდარტები, რომელთა განსაზღვრა და გაზომვა, როგორც წესი, ყველაზე მარტივია):
  - შენობა და ეზო (ერთ ბავშვზე გამოყოფილი შიდა და გარე სივრცე, გათბობა, სინათლე, ტუალეტი და ა.შ.);
  - აღჭურვილობა და მასალები (ავეჯი, სათამაშოები, სასწავლო მასალები, წიგნები და ა.შ.);
  - თანამშრომელთა გუნდი (კვალიფიკაციები, გამოცდილება, ხელფასი და სამუშაო პირობები, ბავშვებისა და ზრდასრულის თანაფარდობა).
- პროცესის ინდიკატორებია (ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა იდენტიფიცირება და სტანდარტიზება ყველაზე რთულია):
  - ზრუნვის სტილი (ზრდასრულთა ყურადღება, თანმიმდევრულობა და ა.შ.);
  - ბავშვების გამოცდილება (მრავალფეროვნება, ორგანიზება, არჩევანი, აქტივობების ტიპები, კვება, დასვენება, თამაში და ა.შ.);
  - სწავლისა და სწავლებისადმი მიდგომა (ზრდასრულთა როლი, ინდივიდუალური საჭიროებებისადმი სენსიტიურობა და ა.შ.);
  - ქცევის მართვა და დისციპლინა (წესები, ჯგუფის მართვის სტრატეგიები და ა.შ.);
  - ზრდასრულებს შორის ურთიერთობები (თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ა.შ.);
  - ურთიერთობები მშობლებს, აღმზრდელებსა და სხვა ჩართულ პირებს შორის (ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა, განსხვავებების მიღება და ა.შ.).
- შედეგის ინდიკატორებია (ასახავს მიღწეულ შედეგებს და მნიშვნელოვანია ეფექტიანობის შეფასებისთვის):
  - ბავშვების ჯანმრთელობა (ზრდის მონიტორინგი, ავადობა და ა.შ.);
  - ბავშვების უნარები (მოტორიკის, მეტყველების, კოგნიტური, სოციალურ-ემოციური განვითარება, საწყისი წიგნიერება და მათემატიკა);
  - ბავშვების სწავლისა და სკოლისადმი მიდგომა (ტრანზიციასთან დაკავშირებული საკითხები, მიღწევები, მოტივაცია და ა.შ.);
  - ოჯახის დამოკიდებულებები (მშობელთა კომპეტენციები, ბავშვების მხარდაჭერა და ა.შ.).

ვუდჰედის მიერ წარმოდგენილი მოდელი, დაგროვებული სამეცნიერო ცოდნის საფუძველზე, მოიცავს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადრეული განათლების ხარისხზე. ამ ფაქტორების იდენტიფიცირებასთან ერთად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ისინი, რომლებიც კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია. კვლევების მიხედვით, სტანდარტიზებული შეფასების საფუძველზე ყველაზე მაღალი ხარისხის მაჩვენებელები ჰქონდათ იმ სკოლამდელ დაწესებულებებს, სადაც პროგრამის ფოკუსი თავისუფალ თამაშსა და დამოუკი-

დებლობის ხელშეწყობაზე იყო, ბავშვებს ხშირად ეძლეოდათ მცირე ჯგუფებში მუშაობის საშუალება და მასწავლებლისა და ბავშვების თანაფარდობა დაბალი იყო (Peralta, 2008).

კვლევები მუდმივად ადასტურებს, რომ ფიზიკური გარემო, ძვირად ღირებული მასალები და ა.შ. ნაკლებად მნიშვნელოვანია ხარისხიანი ადრეული განათლების უზრუნველყოფისთვის. შეზღუდული რესურსების პირობებში მკვლევარები პრიორიტეტულად მიიჩნევენ ინვესტირებას მასწავლებელთა პროფესიულ მომზადებასა და მასწავლებელი-ბავშვის თანაფარდობის გაუმჯობესებაში[5]. საქართველოს სკოლამდელი განათლების სისტემაში, სწორედ ამ ორი მიმართულებით, მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში მომუშავე აღმზრდელთა 32%-ს და აღმზრდელთა თანაშემწეების 80%-ს არ აქვს მიღებული განათლება სკოლამდელი განათლების სფეროში (პროფესიულ ან უმაღლეს საფეხურზე)[6]. ზემოაღნიშნული რეფორმები აღმზრდელთა კვალიფიკაციის გაუმჯობესებასა და ჯგუფის ზომების შემცირებასთან დაკავშირებით ძვირად ღირებული და ხანგრძლივი პროცესია და შესაძლოა სწორედ ამიტომ მიმართავს სახელმწიფო ხარისხის გაუმჯობესების სხვა სტრატეგიებს. ერთ-ერთი ასეთი მიდგომა ადრეული განათლების პროცესის სტანდარტიზებას ეხება. მაგალითად, თბილისში რამდენიმე წლის წინ დაინერგა პროგრამა, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის განსაზღვრავს კონკრეტულ თემებს და თემის ფარგლებში იდენტიფიცირებულ აქტივობებს თითოეული დღისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინიციატივასა და მსგავს ტენდენციებს საფუძვლად საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მყისიერი გაუმჯობესების მოტივაცია უდევს, მეტად გაგვიჭირდება სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, რომელიც ასეთი რწმენის საფუძველს მოგვცემს. პროცესის ამგვარი სტანდარტიზების დროს შეუძლებელია იმ ძირეული პრინციპების რეალიზება, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი და ეფექტიანი ადრეული განათლებისთვის:

- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ბავშვის შესაძლებლობებიდან და არსებული ცოდნიდან გამომდინარე;
- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე;
- ადგილობრივი კონტექსტის, საბავშვო ბაღის თემის კულტურის და წარმოდგენილი მრავალფეროვნების გათვალისწინება სააღმზრდელო პროცესში;
- შემოქმედებითობის, სპონტანურობისა და სწავლისთვის ხელსაყრელი მომენტების გამოყენება უკეთესი შედეგების მიღწევისთვის.

სტანდარტიზებული პროგრამები წინასწარ იდენტიფიცირებული მიდგომებით, თემებითა და აქტივობებით ზღუდავს აღმზრდელს, იმოქმედოს ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე. აღმზრდელს, რომელიც თავად არ არის შემოქმედებითი და კრიტიკული, სავარაუდოდ, გაუჭირდება ბავშვებში შემოქმედებითობისა და აზროვნების უნარების სათანადოდ ხელშეწყობა. აქედან გამომდინარე, ხარისხის მყისიერად გაუმჯობესების ექსპერიმენტული სტრატეგიების დანერგვის ნაცვლად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ადრეული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას სისტემურად მიუდგეს, პირველ რიგში – აღმზრდელთა პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებითა და მათთვის მისაღები და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნით.

შენიშვნები:

1 Woodhead, M. In search of the rainbow. Early Childhood Development: Practice and Reflection, No 10. The Hague: Bernard van Leer Foundation. 1996.

2 Harvard University Center on the Developing Child. Five numbers to remember about early childhood development. 2014.

3 Katz, L. What is basic for young children. In Key Issues in Early Years Education, 2nd edition. ed. Sandra Smidt. Oxon: Routledge. 2010 (pp. 4-8).

4 Peralta, M. V. Quality: Children's right to appropriate and relevant education. In Early Childhood Matters. Early Childhood Education: Questions of Quality. The Hague: Bernard van Leer Foundation. 2008.

5 Penn, H. Quality in early childhood services. An international perspective. Berkshire: Open University Press. 2011.

6 გაეროს ბავშვთა ფონდი. საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები. თბილისი. 2013.

სტატისტიკის ელემენტები, რომლებიც პრაქტიკაში გამოგვადგება

ზაქარია გიუნაშვილი

შესავალი

ტრადიციულად, სასკოლო მათემატიკის კურსში ძირითადი ყურადღება ეექცევა **აღწერითი სტატისტიკის** მიმართულებას, რომლის ძირითადი მიზანია ამა თუ იმ ვითარებასთან დაკავშირებული მონაცემების რიცხვითი მახასიათებლების დადგენა. მაგალითად: მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე, საშუალო ხელფასი, ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი, ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი (რაოდენობრივი მონაცემების მოდა).

აღწერითი სტატისტიკის დანიშნულება, პირველ რიგში, არის ის, რომ იგი იძლევა შემჭიდროებულ და კონცენტრირებულ ინფორმაციას შესასწავლი მოვლენის შესახებ. მაგალითად, ქვეყნის მოსახლეობის აღწერის მონაცემები შეიცავს სრულ ინფორმაციას მოსახლეობის შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში მონაცემების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ თითქმის უსარგებლოა მხოლოდ მონაცემთა შეგროვების ეტაპით შემოფარგვლა. მონაცემთა შეგროვების შემდეგ მნიშვნელოვანია ისეთი აღწერითი შინაარსის მონაცემები, როგორიცაა მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე სხვადასხვა რეგიონში, განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და სხვა. ამ სახის მახასიათებლების დადგენა თავისთავად მოითხოვს იმ პროცედურების შესრულებას, რომლებიც აქტუალურია სასკოლო მათემატიკის კურსში. ამდენად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ აღწერითი სტატისტიკის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება ამ პროცედურული ცოდნის განმტკიცებაა. მიუხედავად ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღება მიექცეს სტატისტიკის მეორე მიმართულებას, რომელსაც ეწოდება **ინფერენციალური (დასკვნებზე ორიენტირებული)** სტატისტიკა. მისი ძირითადი მიზანია იმ მეთოდების შემუშავება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, გამოვიტანოთ დასკვნები სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, განვაზოგადოთ შერჩევითი მონაცემების ანალიზის შედეგები. ყოველივე ამას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ შერჩევითი დაკვირვების შედეგების მიხედვით მიღებული დასკვნები შეიძლება განვავრცოთ მთლიან ერთობლიობაზე. ამასთან, ალბათობის თეორიის მეთოდების გამოყენება საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ ამ დასკვნების სანდოობა. აქედან გამომდინარე, ინფერენციალური სტატისტიკის ამოცანებს შორისაა ისეთი შერჩევითი დაკვირვების ხერხების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს მათ საფუძველზე მიღებული დასკვნების სანდოობას.

შემთხვევითი სიდიდეები

მეცნიერულ კვლევაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, წარმოებაში და ადამიანის სხვა საქმიანობაში მუდმივად ვაწყდებით ისეთ ვითარებას, როდესაც ჩვენთვის საინტერესო სიდიდე იღებს სხვადასხვა მნიშვნელობებს, რომლებიც შემთხვევით გარემოებებზეა დამოკიდებული. რამდენი წუნდებული საქონელი აღმოჩნდება საქონლის პარტიის შერჩევითი შემოწმების შემდეგ? რისი ტოლი იქნება ექსპერიმენტის დროს რომელიმე სიდიდის გაზომვის შედეგი? რისი ტოლი იქნება მრიცხველის მიერ რეგისტრირებული კოსმოსური ნაწილაკების რაოდენობა? ასეთი სიდიდეების წინასწარი ცოდნა შეუძლებელია. მართალია, თითოეული დაკვირვების შედეგად მიიღება სრულიად გარკვეული, კონკრეტული რიცხვი, მაგრამ ეს რიცხვი შესაძლოა შეიცვალოს ექსპერიმენტის გამეორების შედეგად. მაგალითად, თუ საქონლის პარტიიდან, რომელიც შეიცავს 100 ერთეულს, შემთხვევით ვირჩევთ 10 ერთეულს და მათ შორის წუნდებული აღმოჩნდა 2 ერთეული, 10 ერთეულის შემთხვევითი შერჩევის გამეორების შედეგად წუნდებული შეიძლება აღმოჩნდეს 1 ცალი. რიცხვით მნიშვნელობას, რომელიც მიიღება შემთხვევითი ექსპერიმენტის შედეგად, უწოდებენ **შემთხვევით სიდიდეს**. იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ამ ცნების შესახებ, განვიხილოთ ასეთი მაგალითი: მონეტის აგდება შემთხვევითი ექსპერიმენტია; ამ ექსპერიმენტის შედეგია ორი შესაძლო ხდომილება (მნიშვნელობა) – გერბი ან ცხაური; ეს ორი მნიშვნელობა არ არის რიცხვითი, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს შემთხვევით სიდიდესთან. მაგრამ თუ ამ ხდომილებებს რიცხვებს შევუსაბამებთ, მაგალითად: გერბი – 0, ცხაური – 1, მივიღებთ შემთხვევით სიდიდეს, რომლის მნიშვნელობათა სიმრავლეა ელემენტიანი რიცხვითი სიმრავლე – $\{0,1\}$. შემთხვევითი სიდიდის კიდევ ერთი გავრცელებული მაგალითია კამათლების წყვილის გაგორება. ამ შემთხვევითი ექსპერიმენტის ხდომილებათა სივრცეა (m, n) სახის წყვილების სიმრავლე, სადაც m და n ღებულობს მნიშვ-

ნელობებს 1-დან 6-ის ჩათვლით. ეს თავისთავად არ არის შემთხვევითი სიდიდე, მაგრამ ზოგჯერ სინამდვილეში მნიშვნელობა აქვს არა კამათლებზე „მოსული“ რიცხვების წყვილს, არამედ მათ ჯამს, m + n-ს. ეს უკანასკნელი კი შემთხვევითი სიდიდეა: **კამათლების წყვილის გაგორების შედეგად მიღებული რიცხვების ჯამი**. რომ შევაჯამოთ, ჩამოვაყალიბოთ შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური განმარტება. როგორც ცნობილია, შემთხვევითი ექსპერიმენტის ალბათური მოდელის საყრდენს წარმოადგენს ელემენტარული ხდომილებების სივრცე, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, წარმოადგენს ექსპერიმენტის (დაკვირვების) შესაძლო შედეგების სიმრავლეს. შემთხვევითი სიდიდე განიმარტება როგორც **რიცხვითი ფუნქცია შემთხვევითი ექსპერიმენტის ელემენტარული ხდომილებების სივრცეზე**. მონაცემთა ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია შემთხვევითი სიდიდის სხვადასხვა მახასიათებლის გამოთვლა და მათ საფუძველზე შემთხვევითი მოვლენების შესახებ კანონზომიერებების დადგენა.

შემთხვევითი სიდიდე შეიძლება იყოს **დისკრეტული ან უწყვეტი**. დისკრეტულია ისეთი შემთხვევითი სიდიდე, რომლის შესაძლო მნიშვნელობების ჩამოთვლა შესაძლებელია, ხოლო უწყვეტია ისეთი შემთხვევითი სიდიდე, რომელმაც შესაძლოა მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელობა რომელიმე რიცხვით ინტერვალში. ამ განსხვავების უკეთ გასააზრებლად განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

ტბაზე ბადით თევზაობისას შემთხვევითი ექსპერიმენტის ხდომილება შეიძლება განვიხილოთ როგორც ბადის ყოველი ამოღების შემდეგ მასში მოხვედრილი თევზების ერთობლიობა; ამ ხდომილებას შეიძლება დავუკავშიროთ ორი სიდიდე:

I – ბადეში მოხვედრილი თევზების რაოდენობა;
II – ბადეში მოხვედრილი თევზების მთლიანი მასა.

ამ სიდიდეებიდან პირველი დისკრეტული სიდიდეა, რადგან მან შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთელრიცხოვანი მნიშვნელობები: 0, 1, 2, 3..., ხოლო მეორე შეიძლება ჩავთვალოთ უწყვეტად, რადგან მასამ შეიძლება (თეორიულად) მიიღოს არა მხოლოდ მთელრიცხოვანი მნიშვნელობები, არამედ ნებისმიერი მნიშვნელობა 0-დან თევზების იმ მაქსიმალურ მასამდე, რომლის დაჭერაც შესაძლებელია.

რა უნდა ვიცოდეთ შემთხვევითი სიდიდის შესახებ მის შესასწავლად? პირველი მახასიათებელია მისი შესაძლო მნიშვნელობების სიმრავლე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საკმარისი არ არის. მაგალითად, კლასში მოსწავლეთა შემაჯამებელი შეფასების ქულა შეიძლება განვიხილოთ როგორც შემთხვევითი სიდიდე, რომლის შესაძლო მნიშვნელობებია რიცხვები 0-დან 10-მდე, მაგრამ ეს ინფორმაცია არაფერს გვეუბნება მოცემული კლასის მიღწევის დონის შესახებ. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რა სიხშირით იღებს შემთხვევითი სიდიდე სხვადასხვა მნიშვნელობას მისი ცვლილების დიაპაზონში. შესაბამისობას, რომელიც შემთხვევითი სიდიდის თითოეულ მნიშვნელობას შეუსაბამებს ამ მნიშვნელობის სიხშირეს, ეწოდება შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონი. როდესაც შემთხვევითი ექსპერიმენტის ხდომილებათა სივრცე სასრული სიმრავლეა, შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონის აღსაწერად შესაძლებელია ცხრილის გამოყენება. მაგალითად, შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია კლასში მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულების განაწილება:

ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სიხშირე	0	2	0	2	5	2	3	5	2	3	1

ამ ცხრილიდან შეუძლებელია იმის დადგენა, კლასის რომელმა მოსწავლემ რამდენი ქულა მიიღო. განაწილების კანონი ინფორმაციას გვაძლევს იმის შესახებ, რა სიხშირით იღებს შემთხვევითი სიდიდე ამა თუ იმ მნიშვნელობას. მაგალითად, ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ 9-ქულიანი შეფასება მიიღო სამმა მოსწავლემ. როგორც წესი, შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონის მოცემისას იყენებენ არა სიხშირეების აბსოლუტურ მნიშვნელობას, არამედ **ფარდობით სიხშირეებს**. ფარდობითი სიხშირე არის შემთხვევითი სიდიდის მოცემული მნიშვნელობის შესაბამისი აბსოლუტური სიხშირის შეფარდება ხდომილებათა სივრცის ელემენტების რაოდენობასთან. მაგალითად, ზემოაღნიშნული ცხრილის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ტესტირებაში მონაწილეობდა 25 მოსწავლე (აბსოლუტური სიხშირეების ჯამი), ხოლო (ფარდობითი) სიხშირეების ცხრილს ექნება ასეთი სახე:

ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სიხშირე	0	0.08	0	0.08	0.2	0.08	0.12	0.2	0.08	0.12	0.04

მონაცემთა სტრუქტურირებული შენახვა გულისხმობს როგორც მათ შენახვას ისეთი სახით, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს დამუშავება და ანალიზი, ასევე იმას, რომ თითოეული ჩანაწერი ინახავდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საქმიანობასთან.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ცხრილი გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რა ალბათობით იღებს შემთხვევითი სიდიდე ამა თუ იმ მნიშვნელობას: ალბათობა იმისა, რომ ამ კლასში შემთხვევით შერჩეულმა მოსწავლემ ტესტირებაში მიიღო 6 ქულა, ტოლია $3/25=0.12$-ის. ეს ფაქტი შეიძლება ასე ჩაიწეროს: $P(X=6)=12$. სადაც X არის შემთხვევითი სიდიდე, რომელიც სიტყვიერად ასე აღიწერება: *„კლასში შემთხვევით შერჩეული მოსწავლის მიერ მიღებული ქულა“*. ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ დისკრეტული შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონი აღიწერება ასეთი ცხრილით:

შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობა	x_1,	x_2,	...	x_n
ალბათობა	p_1,	p_2,	...	p_n

ამ ცხრილში $x_1, x_2, ..., x_n$ არის x შემთხვევითი სიდიდის ყველა შესაძლო განსხვავებული მნიშვნელობა, ხოლო $p_1=P(X=x_1)$, $p_2=P(X=x_2)$, ..., $p_n=P(X=x_n)$, არის ის ალბათობები, რომლებითაც ეს შემთხვევითი სიდიდე იღებს შესაბამის მნიშვნელობას. რადგან შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონის შესაბამისი ცხრილის მეორე სტრიქონში წარმოდგენილია ალბათობები, ადვილი მისახვედრია, რომ მათი ჯამი უნდა იყოს 1-ის ტოლი. შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონის განსაზღვრა შესაძლებელია ექსპერიმენტის

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

წიგნები სკოლაში მიდიან

თამთა დოლიძე

დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა მშობლები ხშირად ჩივიან, რომ მათი შვილი გამოუსწორებელი მატყუარაა, თან, თავისივე სიცრუის ქსელში გაბმულს, ყველაფრის სჯერა, რასაც ე.წ. მესამე თვალით ხედავს.

ბატონ ერლომს აქვს ძალიან საინტერესო მოთხრობა – „მელია და ტყუილი“, სადაც ცბიერი ტყუილი მელიას გულუბრყვილობით ისარგებლებს, სხეულში შეუძვრება და დაიმონებს. ამ მოთხრობის გარდა, სხვაგან არსად შემხვედრია ტყუილისა და სიმართლის, ანუ თვისებების ადამიანისგან გამოყოფის, განსხეულების მაგალითი. არადა, რომ დავფიქრდეთ, ალბათ ყველას გაგვიმიჯნავს ერთმანეთისგან ადამიანი და მისი საქციელი. სხვისი არ ვიცი და მე კი ხშირად მითქვამს მოსწავლისთვის (შვილისთვის), რომ მას ასეთი საქციელი (ენამწარეობა, ბუტიაობა, თანატოლის ჩაგვრა და სხვა) არ შეეფერება... თითქოს თვისებები, ერლომის ტყუილივით, ადამიანის შემადგენელი ნაწილი კი არა, თავისთავადი, ცალკე მდგომი არსება იყოს.

დიდები უმეტესად გამიზნულად ცრუობენ; მათი ტყუილი წინასწარ განსაზღვრული და შედეგზე ორიენტირებულია. ბავშვებთან საქმე სხვაგვარადაა. ამ თითქმის უცნობ სამყაროში „პირველად წაკითხვის ბედნიერებით“ დაჯილდოებულებს ყველაზე ცხადად შეუძლიათ დაინახონ სპილო მახრჩობელა გველის მუცელში. ამიტომ მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემეცნებითი მხედველობის გავარჯიშება.

ხშირი გარდაქმნა, სახეცვლილება ჩვეულებრივი ამბავია პატარებისთვის. მათ ასაკში საკუთარი თავის ძიება უმეტესად იმიტაციის ხარჯზე ხდება. ბავშვები ირგებენ ყველა ნაცნობ სახეს, წიგნის საყვარელი პერსონაჟებით დაწყებული, ავტორიტეტული ნაცნობებით დამთავრებული. ამიტომაც დაწყებით კლასებში სიტუაციური თამაშების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ფანტაზიის გაკვეთილები

შემეცნებითი თამაშები ჩემს ბავშვობაში დროის ფუჭ ფლანგვად ითვლებოდა, ბევრს ალბათ არც გაეგონა ამგვარი სასწავლო მეთოდები, თუმცა ხელოვნების სფეროში მოღვაწე ზოგი პედაგოგი ხანდახან იყენებდა ყურმოკრულ თუ მათ მიერვე მოფიქრებულ წარმოსახვის გასაშალაშინებელ სავარჯიშოებს.

პირველი ასეთი გაკვეთილი ძნელ და უღიმღამო ბავშვობაში, ჭერჩამორღვეულ და გაყინულ საკლასო ოთახში ჩამიტარდა. ახლაც ცხადად მახსოვს, როგორ დავხუჭე თვალები და მივენდე ხმას, რომელიც ჩემს ნაცვლად ხედავდა, მე კი, სიტყვების ანკესს გამობმული, დიდხანს მივყვებოდი ჰორიზონტისკენ.

მერე ხმა გადამფრენი ჩიტივით გაელვებულ ამბავთან შედგა და ჩვენც სასურველი დასასრულის საძებნელად ნებით შევედით წარმოსახვის უსიერ ტყეში. მას შემდეგ თითქმის ყველა შეხვედრაზე ვიტოვებდით „გასასეირნებელ“ დროს: ვაგრძელებდით და ვასრულებდით ამბებს, ვიცავდით ან ვაკრიტიკებდით პერსონაჟებს... მოკლედ, საინტერესოდ ვცრუპენტელობდით. ფანტაზია, როგორც საგაკვეთილო რესურსი, სასწავლო მასალის სხვადასხვა კუთხით გააზრებასა და მორგებაში გვეხმარებოდა.

დღეს „ვირტუოზი ცრუპენტელების“ ყველაზე იდუმალი ფანტაზიაც კი ვიზუალიზებულია. შეიძლება ითქვას, რომ ვიზუალიზაციის მწვერვალზე ვდგავართ და წარმოსადგენი იმდენად ცოტა დარჩა, ხანდახან მეშინია, ფანტაზია არ მოგვიკვდეს.

სამწუხაროდ, ბავშვების უმეტესობას ეზარება კითხვა. მათ ურჩევნიათ, წიგნის ეკრანიზებულ ვერსიას დაუთმონ რამდენიმე საათი, ვიდრე მის ლიტერატურულ პირველწყაროს რამდენიმე დღე ან კვირა შესწირონ. მესმის, ძნელია ასეთი ეფექტური კონკურენციის პირობებში წიგნის უპირატესობაზე საუბარი, თუმცა სკოლას ჯერ კიდევ შეუძლია, პოპულარიზაცია გაუწიოს მას აქტიურ კითხვასთან დაკავშირებული მეთოდების დახმარებით.

***

პირველკლასელებისთვის წიგნთან პირველი შეხვედრა ანბანით იწყება. ამ მხრივ ძალიან კარგი აქტივობაა მოძრავი ანბანით თამაში – ასოების გროვაში სასურველის მოძიება, სიტყვებისა და წინადადებების შექმნა, რაც მათი სწორად ჩაწერის წინაპირობაა. ამიტომ არ უნდა დაგვენანოს საგაკვეთილო დრო მოძრავი ანბანით გათვალისწინებული აქტივობების სისტემატურად შესრულებისთვის.

ბავშვებს ძალიან უყვართ ისეთი შემეცნებითი თამაშები, როგორიცაა „ცხელი სკამი“, „კითხვა სხვადასხვა ინტერპრეტაციით“ და სხვა. ამ აქტივობების დახმარებით მოსწავლე მხოლოდ საჭირო ინფორმაციას კი არ იმახსოვრებს, არამედ ითავისებს ამა თუ იმ პერსონაჟის ამბავს, თვისებებს, თავგადასავალს... უპირველესად, ეხვეწება აქტიური

გაგრძელება ▶

მასწავლებლის საქმიანობის ფა
და ეპიზოდური წინსვლის სქემის

ივნისი 2015

- ✓ დაიწყება განაცხადების და დოკუმენტაციის წარმოდგენა 2011-2014 წლებში სქემაში ჩართული მასწავლებლების მიერ
- ✓ დამტკიცდება შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები

ივლისი 2015

- ✓ გამოიცემა სქემის გზამკვლევი;
- ✓ შეიქმნება მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა;
- ✓ სისტემის საშუალებით მასწავლებლები განაწილდებიან სქემაში და განხორციელდება მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა

ივლისი-სექტემბერი 2015 სკოლებში

- მოქმედი მასწავლებლები სქემაში განაწილდებიან

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

მომავლის ქმნი

...ნყების, პროფესიული განვითარების ...ამოქმედების ძირითადი ეტაპები

სექტემბერი 2015

ამოქმედდება სკოლების დაფინანსების ახალი წესი, რომელიც გულისხმობს სახელფასო ზრდას

ოქტომბერი 2015

სკოლის ბაზაზე შეიქმნება მასწავლებლის შეფასების ჯგუფი

დეკემბერი 2015

დასრულდება ძველ სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასება მათ პორტფოლიოში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე

წიგნები სკოლაში მიდიან

27-ე გვერდიდან

მოსმენის უნარ-ჩვევა, მობილიზებული მსმენელი ხდება, უკეთ გაიაზრებს ტექსტს, ყველაზე მეტად კი ის მოსწონს, რომ შეუძლია, საკუთარი ინტერპრეტაციით შეცვალოს სიუჟეტი, შეავსოს ან დაასრულოს თავგადასავალი, ანუ წიგნის თანაავტორად იქცეს.

იმპროვიზაცია ყველაზე ეფექტური „ტრანსპორტია“ წიგნის სამყაროში სამოგზაუროდ. პატარა მსახიობებმა მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირების შედეგად უნდა მოახერხონ პერსონაჟის ბუნების გახსნა. ტექსტის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს ისეთი ლიტერატურული ნიმუში, სადაც დინამიკური სიუჟეტი და ერთმანეთისგან განსხვავებული პერსონაჟები არიან. ვინაიდან ყველა მოსწავლე ვერ მოხვდება „პერსონაჟის ტყავში“, შეგვიძლია, აქტივობას შეჯიბრების სახე მივცეთ, მაგალითად, საუკეთესო კითხვის ავტორებს გადავულოცოთ სასურველი როლი (ასე კითხვის დასმის მოტივაციასაც გავზრდით და საგაკვეთილო პროცესს აზარტულობასაც შევმატებთ). თუ გულისტკენის თავიდან აცილება გვინდა, მარტივი კენჭისყრითაც შეგვიძლია მონაწილეთა არჩევა.

ამავე მიზანს ემსახურება აქტივობა „თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით“. აქ მთხრობელი მაქსიმალურად ირგებს პერსონაჟის თავგადასავალს: პირველ პირში გადმოსცემს გმირის თავს გადახდენილ ამბავს, ჰყვება სიტუაციის შესაბამისი ემოციით, მწირი ინფორმაციის შემთხვევაში ამბავს ვარაუდებით ამდიდრებს. საუკეთესო შემთხვევაში მოსწავლე იყენებს ტექსტში გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულებს, აღწერს ამბავს ხატოვანი ან აღწერითი ენით, იცავს სიუჟეტის თანმიმდევრულობას. თხრობის პროცესში მნიშვნელოვანია ადეკვატური ჟესტებისა და მიმიკის ჩართვაც. ამგვარ აქტივობათა მთავარი მიზანი ხომ ისაა, რაც შეიძლება მეტი განსხვავებული ინტერპრეტაციით მოხდეს მოსმენილი/წაკითხული ტექსტის დამუშავება. თქვენ შეგიძლიათ, მოსწავლეებს სთხოვოთ: მოკლე შინაარსის თხრობა, დეტალური თხრობა, ეპიზოდის თხრობა და, რაც მთავარია, თხრობა პერსონაჟის პოზიციიდან.

მოკლე შინაარსის თხრობა სიუჟეტის თანმიმდევრულად აღდგენაში ავარჯიშებს ახალბედა მკითხველს, ცალკეული ეპიზოდის დეტალურად თხრობა კი ნაწილის მთელისაგან გამოყოფასა და საფუძვლიანად შესწავლას აჩვევს. დეტალური თხრობის დროს მოსწავლეს ევალება არა მარტო სიუჟეტის დეტალების აღდგენა, არამედ ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი ლექსიკის გამოყენებაც. საავტორო სკამის ყველაზე საინტერესო დავალებად პატარების უმეტესობა პერსონაჟის პოზიციიდან თხრობას მიიჩნევს.

თქვენს მოსწავლეებს ამ ხერხით შესწავლილ ტექსტთან დაკავშირებული წერითი დავალების შესრულებაც აღარ დაეზარებათ. ისინი სიამოვნებით დახატავენ კლასში უკვე მრავალი ინტერპრეტაციით წაკითხულ ამბავს და აღარც თხზულების მოკლე შინაარსის დაწერაზე იწუწუნებენ, რადგან წიგნის გაცოცხლება ყველაზე უკეთ სიტყვებს ეხერხება.

მიუხედავად იმისა, რომ შემეცნებითი თამაშები ძალიან მნიშვნელოვანი სასწავლო ბერკეტია ტექსტის სიღრმისეული გააზრების, ფანტაზიის განვითარებისა თუ წიგნის პოპულარიზაციისთვის, ის მაინც არ უნდა იქცეს მოსწავლეთა ყოველდღიურ (მოსაბეზრებელ) საქმიანობად.

დასასრული იხილეთ
www.mastsavlebeli.ge

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

ჩემი ქართულის მასწავლებელი

ეს ის ხალხია, ხან მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლები რომ ერქვათ, ხან – ენისა და ლიტერატურის, ხან – ქართული ენისა და ლიტერატურის და ა.შ. ჩვენთვის, ბავშვებისთვის, უბრალოდ ქართულის მასწავლებლები რომ იყვნენ, უფრო კი ასე რომ მოვიხსენიებდით: „ქართულის მასწი“. ეს ბლოგიც ჩემს სამ მასწავლებელს ეძღვნება, ჩემს სამ ცხოვრებისეულ ეტაპს, სამ შთაგონებას და სამ სტიმულს: სკოლას, კოლეჯს და უნივერსიტეტს, ანუ:

ნინო

რბილად რომ ვთქვა, რთულად დასამორჩილებელი კლასი ვიყავით, სკოლაში თუ რაიმე ახალი ონავრობა და მაიმუნობა გამოჩნდებოდა, პირველ ეჭვს ჩემს კლასზე იღებდნენ და ასე იწყებოდა ხოლმე გამოძიება. და თუ ნინოს სადამრიგებლო არა, მაშინ რთულად იყო საქმე, მაშინ მთელ სკოლაში უნდა გეძებნათ დამნაშავე, თუმცა პრობლემის ეპიცენტრს, ძირითადად, ჩვენთანვე პოულობდნენ. არაფერი გამანადგურებელი, უბრალო ბავშვური სიცელქეები, რომლებმაც ერთხელ ნინო მასწს ათქმევინა, 7 წელი უნდა გავატარო თქვენთან და დარწმუნებული ვარ, 5 წელიწადში გავჭაღარავდებიო. შეცდა, გაჭაღარავებას 4 წელი დასჭირდა, ჩვენც საკმაოდ მოვინდომეთ. ნინო მასწავლებელი დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ ჩემი ცხოვრება და მისწრაფება დიდი აფეთქების თეორიასავითაა, ნინო ტყემელაშვილისგან მოცემული ბიძგით ჩემი შინაგანი სამყაროც ნელ-ნელა ფართოვდება. არ ვიცი, რატომაა ქართულის მასწავლებელი ასეთი გამორჩეული ყველა ბავშვისთვის. ალბათ იმიტომ, რომ სალაპარაკო ენას გასწავლის, ან იმიტომ, რომ ლიტერატურა, რომელზეც ის გესაუბრება, ყველაზე ახლობელია შენთვის, ყველაზე ნაცნობი, იმიტომაც, რომ მეტი სიყვარულია შენი ქვეყნისადმი, შენი ხალხისადმი და ა.შ. თუმცა კიდევ სხვანაირი შეგრძნებები მახსოვს.. განსაკუთრებით – ისეთ დღეებში, როცა გაკვეთილების შემდეგ ცოტა ხნით დარჩენას ვთხოვდით ნინო მასწს და ისიც კლასგარეშე თემებზე გვესაუბრებოდა ხოლმე, იმაზე, რაც პროგრამით არ იყო გათვალისწინებული, რაც წიგნში არ, თუ ვერ შევიდა და რაც ჩვენ უფრო გვაინტერესებდა, ლეგენდები და სინამდვილე. ნინოც დაუზარლად გვიყვებოდა, როგორ იბრძოდა გრიგოლ ორბელიანი შამილის წინააღმდეგ და როგორ არ მიაქცია ყურადღება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს, როგორ მიიღო ილიამ ვაჟა, როცა ეს უკანასკნელი პირველად ჩამოვიდა მთიდან და როგორი კარგი მოჭიდავე იყო აღნიშნული მთიელი, როგორ გაუძლო გალაკტიონმა 1937 წელს, როგორ ძმაკაცობდნენ გურამ რჩეულიშვილი და გურამ თიკანაძე და ა.შ. ეს უფრო ჯადოსნური ამბები იყო, უფრო განსხვავებული იმ საზეპირო მშრალი ტექსტებისგან, რომლებიც ხშირად ეწერა ხოლმე სახელმძღვანელოებში. არ აქვს მნიშვნელობა, რა იყო სიმართლე და რა – დროის ქარტეხილებში გამონაგონი ლეგენდა, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენ ქართული ენა და ლიტერატურა გვიყვარდებოდა, ჩვენ მთელი ეს ლეგენდარული ლაბირინთები მოგვწონდა და თავბრუს გვახვევდა. სკოლა 9 კლასის დასრულების შემდეგ დავტოვე და მას შემდეგ ერთხელღა ვნახე ნინო მასწავლებელი, უკვე გაჭაღარავებული, მაგრამ მაინც შეუცვლელი. ყოველთვის ვამსგავსებდი დედაჩემს, ერთხელ შემეშალა კიდეც და „ნინო მასწის“ ნაცვლად „დეე“ დავუძახე. მთელმა კლასმა დამცინა, მე ყურებამდე გავწითლდი, თვითონ კი სასიამოვნოდ ჩაეღიმა, ალბათ, იგრძნო ჩემი დამოკიდებულება.

სულ ვამბობ, რომ სკოლაში უნდა შევიარო და ვინახულო, მაგრამ წლები გადის და ვერ. იქნებ ამ ბლოგმა მაინც გადამალახვინოს რაღაც უცნაური მორიდება ჩემი წარსულის, ლეგენდების და ნინო მასწავლებლის მიმართ.

გაგრძელება იხილეთ
www.mastsavlebeli.ge

შედეგებზე დაკვირვებით, თუმცა როდესაც ზოგიერთი ხდომილების ალბათობა წინასწარ ცნობილია, განაწილების კანონის დასადგენად გამოიყენება ალბათობის გამოთვლის ხერხები.

მაგალითი

შევადგინოთ იმ შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონი, რომელიც შეესაბამება ბურთის ორჯერ სროლის შედეგად კალათში ჩავარდნის რაოდენობას, თუ თითოეული სროლისას ჩავარდნის ალბათობა 0.7-ის ტოლია.

ამ ექსპერიმენტისას X შემთხვევითი სიდიდის შესაძლო მნიშვნელობების სიმრავლეა $\{0, 1, 2\}$ – **ორჯერ სროლის შედეგად ბურთი კალათში საერთოდ არ ჩავარდა, ჩავარდა მხოლოდ ერთხელ** ან **ჩავარდა ორივეჯერ**. იმისათვის, რომ შევადგინოთ ამ შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონის ცხრილი, საჭიროა გამოვთვალოთ თითოეული მნიშვნელობის შესაბამისი ალბათობა. თუ მივყვებით ალბათური მოდელის აგების სტანდარტულ სქემას, ჯერ უნდა დავადგინოთ ელემენტარული ხდომილებების სივრცე. ეს სივრცე შედგება 4 ელემენტისაგან: A – ბურთი საერთოდ არ ჩავარდნილა კალათში, B – პირველი ბურთი ჩავარდა, ხოლო მეორე – არა, C – პირველი არ ჩავარდა, მეორე ჩავარდა, C – ორივე ბურთი ჩავარდა კალათში. გამოვთვალოთ თითოეული ამ ხდომილების ალბათობა. როგორც აღვნიშნეთ, ამისათვის გამოვიყენოთ ალბათობის გამოთვლის ხერხები. თუ ბურთის ჩავარდნის ალბათობა 0.7-ის ტოლია, მაშინ არჩავარდნის ალბათობა იქნება 1 – 0.7 = 0.3. რადგან ბურთის სროლები დამოუკიდებელი ხდომილებებია, ამიტომ წყვილი სროლის შედეგის ალბათობა ტოლია თითოეული სროლის შედეგების ალბათობების ნამრავლისა:

$$P(A)=0.3\cdot 0.3=0.09$$
$$P(B)=0.3\cdot 0.7=0.21$$
$$P(C)=0.7\cdot 0.3=0.21$$
$$P(D)=0.7\cdot 0.7=0.49$$

შემთხვევითი სიდიდე, რომელიც შეესაბამება ბურთების ჩავარდნის რაოდენობას, არის ფუნქცია ელემენტარული ხდომილებების სივრცეზე: $X(A)=0, X(B)=X(C)=1, X(D)=2$. ამ შედეგებზე დაყრდნობით მიიღება შემთხვევითი სიდიდის განაწილების შემდეგი კანონი:

კალათში ჩავარდნის რაოდენობა	0	1	2
ალბათობა	0.09	0.21+0.21=0.42	0.49

მათემატიკური ლოდინი

A კლასი

ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სიხშირე	0	0.04	0.04	0.12	0.16	0.08	0.12	0.12	0.2	0.08	0.04

B კლასი

ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სიხშირე	0	0.1	0.2	0.05	0.1	0.2	0	0.05	0.1	0.15	0.05

რა თქმა უნდა, შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონი იძლევა სრულ ინფორმაციას ამ შემთხვევითი სიდიდის შესახებ, მაგრამ ხშირად შემთხვევითი სიდიდის თვისებების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მისი ზოგიერთი ცალკეული მახასიათებელი. ასეთ მახასიათებლებს შორისაა შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი. განვიხილოთ ასეთი მაგალითი: ორ პარალელურ კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა, რომელთა შედეგების (ქულების) განაწილების კანონები მოცემულია ცხრილებად.

ისმის კითხვა: **როგორ შევადაროთ ამ ორი კლასის შედეგები ერთმანეთს? რომელ მათგანშია მთლიანობაში უკეთესი შედეგი?**

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, B კლასში 9 და 10-ქულიანი შედეგების სიხშირეები უფრო მაღალია, თუმცა A კლასში უფრო მაღალია 7 და 8-ქულიანი შედეგების სიხშირეები. ასეთი განსხვავებები სხვა შედეგებისთვისაც შეიძლება შევამჩნიოთ. გარდა ამისა, არ ვიცით კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა. შესაძლოა, ეს რაოდენობები განსხვავებული იყოს. ასეთ შემთხვევებში მონაცემების შესადარებლად იყენებენ სიდიდეს, რომელსაც ეწოდება შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი. იგი ტოლია შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობებისა და შესაბამისი სიხშირეების (ალბათობების) ნამრავლის ჯამისა: $MX=p_1x_1+p_2x_2+\ldots+p_nx_n$. ზემოაღნიშნულ მაგალითში მათემატიკური ლოდინი A კლასისათვის იქნება $MA=5.8$ ხოლო B კლასისათვის – $MB=5.05$. თუ გავიხსენებთ (ფარდობითი) სიხშირის განსაზღვრებას, ადვილი მისახვედრია, რომ მათემატიკური ლოდინი, ფაქტობრივად, შემთხვევითი სიდიდის საშუალო მნიშვნელობის ტოლია. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ A კლასში საშუალო ქულა უფრო მაღალია, ვიდრე B კლასში. მათემატიკურ ლოდინს ხშირად **შემთხვევითი სიდიდის საშუალო მნიშვნელობას** ან **მოსალოდნელ მნიშვნელობას** უწოდებენ. ტერმინი **მათემატიკური ლოდინი** მომდინარეობს აზარტული თამაშების სფეროდან (რომელმაც ასევე დასაბამი დაუდო ალბათობის თეორიას) და იგი გამოხატავს იმას, რომ ამ დროს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმას, თუ როგორია მოგების ალბათობა, არამედ იმას, თუ როგორია მოსალოდნელი სიდიდე მოგების შემთხვევაში. განვიხილოთ ასეთი მაგალითი: დავუშვათ გამოშვებულია 1000000 ცალი ლატარიის ბილეთი. მათ შორის მომგებიანი ბილეთების განაწილება ასეთია: 200 ბილეთი იგებს 100 ლარს, 100 ბილეთი – 1000 ლარს, ხოლო 2 ბილეთი – 1000000 ლარს. ერთი ბილეთის ღირებულებაა 5 ლარი.

ამ ვითარების გასაანალიზებლად შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი მსჯელობა: თუ ვიყიდით 1 ბილეთს, 1000000 ლარის მოგების ალბათობა 0.000002-ის ტოლი იქნება; ზუსტად 1000 ლარის მოგების ალბათობა – 0.0001-ის ტოლი და ა.შ. მაგრამ არსებობს მეორე მიდგომა, რომელიც იყენებს შემთხვევითი სიდიდის მოსალოდნელი მნიშვნელობის (მათემატიკური ლოდინის) ცნებას. ამ შემთხვევაში კითხვა შეიძლება დაისვას ასე: როგორია მოგების მოსალოდნელი სიდიდე 1 ბილეთის შეძენისას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დავადგინოთ შემთხვევითი სიდიდის განაწილების კანონი. აქ შემთხვევითი სიდიდე ასე განისაზღვრება: X არის შესაძლო მოგებული თანხა 1 ბილეთის შეძენისას. მისი განაწილების კანონი ასეთია:

$1000000-5=999995$ ლარი – 2 ბილეთი
$1000-5=995$ ლარი – 100 ბილეთი
$100-5=95$ ლარი – 200 ბილეთი
-5 ლარი – 999698 (დანარჩენი) ბილეთი

აქედან გამომდინარე, განაწილების კანონი, რომელიც აღწერს სიდიდეებს და მათ შესაბამის ფარდობით სიხშირეებს, გამოისახება ასეთი ცხრილით:

შესაძლო მოგება	-5	95	995	999995
ალბათობა	0.999698	0.0002	0.0001	0.000002

უშუალო გამოთვლებით ადვილი შესამოწმებელია, რომ ამ შემთხვევითი სიდიდის მოსალოდნელი მნიშვნელობა არის

$$MX = -5 \cdot 0.999698 + 95 \cdot 0.0002 + 995 \cdot 0.0001 + 999995 \cdot 0.0000002 = -2.88$$

ე.ი. ერთი ბილეთის შეძენის შემთხვევაში მოგების მოსალოდნელი მნიშვნელობა უარყოფითი რიცხვია (წაგება). თუ გავაგრძელებთ ლატარიის ბილეთებთან დაკავშირებული მაგალითების შესწავლას და განვიხილავთ ერთზე მეტი ბილეთის ყიდვის შემთხვევებს, ვნახავთ, რომ სხვადასხვა რაოდენობის ბილეთების შემთხვევაში მოგების მოსალოდნელი მნიშვნელობა სხვადასხვაა. თუ აღმოჩნდა, რომ შეძენილი ბილეთების რომელიღაც რაოდენობისათვის მოსალოდნელი მნიშვნელობა დადებითი რიცხვია, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ შევიძინოთ ბილეთების ეს რაოდენობა. მაგალითად, რა მოხდება, თუ ყველა ბილეთს შევიძენთ? შევნიშნავთ, რომ ლატარიის კომპანიები წინასწარ თვითონვე ატარებენ ამ სახის ანალიზს (სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით) და ისე არჩევენ მოგებების განაწილებას, რომ ბილეთების ნებისმიერი რაოდენობისათვის მოგების მათემატიკური ლოდინი უარყოფითი რიცხვია.



როგორც აღვნიშნეთ, სტატისტიკის მიზანი არის არა მხოლოდ მონაცემების მახასიათებლების დადგენა, არამედ ამ მონაცემების საფუძველზე სხვადასხვა სახის დასკვნების ჩამოყალიბება. შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად გამოიყენება.

გადაწყვეტილების მიღება მონაცემების საფუძველზე

როგორც აღვნიშნეთ, სტატისტიკის მიზანი არის არა მხოლოდ მონაცემების მახასიათებლების დადგენა, არამედ ამ მონაცემების საფუძველზე სხვადასხვა სახის დასკვნების ჩამოყალიბება. შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად გამოიყენება. იმის სადემონსტრაციოდ, როგორ შეიძლება გადაწყვეტილების მიღება შემთხვევითი სიდიდის მოსალოდნელი მნიშვნელობის გამოყენებით, განვიხილოთ მარტივი მაგალითი.

დავუშვათქ მაღაზიაში იყიდება ორი სახეობის ნაყინი – შოკოლადიანი და ხილისა. გამყიდველს სურს მიიღოს გადაწყვეტილება, ღირს თუ არა რომელიმე მათგანზე გამოაცხადოს ფასდაკლება, რათა გაზარდოს ნაყინის გაყიდვით მიღებული მოგება. ამისათვის მან, პირველ რიგში, შეადგინა ცხრილი, რომელიც გამოსახავს ნაყინის თითოეული სახეობის ერთი ერთეულის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს ფასდაკლების გარეშე და ფასდაკლებით.

I. ნაყინის ერთი ერთეულის გაყიდვით მიღებული შემოსავალი სხვადასხვა შემთხვევაში

ნაყინის სახეობა	ფასდაკლების გარეშე	ფასდაკლება შოკოლადისაზე	ფასდაკლება ხილისაზე
შოკოლადის ნაყინი	3 ლარი	2 ლარი	3 ლარი
ხილის ნაყინი	2 ლარი	2 ლარი	1 ლარი
არც ერთი	0 ლარი	0 ლარი	0 ლარი

ამასთან, გამყიდველი განსაზღვრული ხნის განმავლობაში აგროვებდა მონაცემებს იმის შესახებ, როგორი სიხშირით იყიდება თითოეული ნაყინი სხვადასხვა ფასდაკლების შემთხვევაში და შეადგინა ცხრილი, რომელიც გამოსახავს განაწილების შესაბამის კანონებს.

II. სიხშირეთა ცხრილი, რომელიც გამოსახავს მყიდველის არჩევანს სხვადასხვა შემთხვევაში

მყიდველის არჩევანი	ფასდაკლების გარეშე	ფასდაკლება შოკოლადისაზე	ფასდაკლება ხილისაზე
შოკოლადის	0.2	0.4	0.2
ხილის	0.3	0.3	0.5
არც ერთი	0.5	0.3	0.3

ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია გამოვითვალოთ საშუალო მნიშვნელობები, რომლებიც არის ნაყინის ერთი ერთეულით მიღებული საშუალო შემოსავალი თითოეულ შემთხვევაში.

მყიდველის არჩევანი	ფასდაკლების გარეშე	ფასდაკლება შოკოლადისაზე	ფასდაკლება ხილისაზე
საშუალო მნიშვნელობა	1.2	1.4	1.1

რომ შევაჯამოთ, გვაქვს ასეთი სურათი: შემთხვევითია მაღაზიაში შემოსული მყიდველის არჩევანი; შესაბამის ხდომილებებს მიეწერება ალბათობები (სიხშირეები) სხვადასხვა შემთხვევაში (იხ. ცხრილი II); სხვადასხვა შემთხვევაში შემთხვევითი სიდიდეები რომელიმე სახის ნაყინის გაყიდვით მიღებული თანხაა (იხ. ცხრილი I); ამ შემთხვევითი სიდიდეების მოსალოდნელი მნიშვნელობებია შესაბამისი სიხშირეებისა და შემოსავლების ნამრავლების ჯამი. მათი შედარების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ყველაზე ხელსაყრელია ფასდაკლება შოკოლადის ნაყინზე, რადგან ამ დროს შემოსავლის საშუალო მნიშვნელობა ყველაზე მეტია.

როგორც ეს მაგალითი გვიჩვენებს, სხვადასხვა საქმიანობისას ძალზე მნიშვნელოვანია მონაცემების შეგროვება და მათი შენახვა სტრუქტურირებული სახით. მონაცემთა სტრუქტურირებული შენახვა გულისხმობს როგორც მათ შენახვას ისეთი სახით, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს დამუშავება და ანალიზი, ასევე იმას, რომ თითოეული ჩანაწერი ინახავდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საქმიანობასთან.

როგორ შევუნარჩუნოთ ბავშვს სკოლისა და სწავლისადმი ინტერესი

ქეთევან ოსიაშვილი

მას შემდეგ, რაც ადამიანმა მოზარდი თაობის სწავლა-განათლებაზე დაიწყო ზრუნვა, სასწავლო პროცესით ბავშვის დაინტერესება კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ საფეხურზე ერთ-ერთი აქტუალური საკითხი უნდა ყოფილიყო. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს სწავლის როგორც ქცევის საკმაოდ რთული ბუნება. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, სწავლა ქცევის სპეციფიკური ფორმაა. ის არც თამაშია და არც შრომა, თუმცა მოიცავს როგორც ერთის, ისე მეორის ელემენტებს. ამასთან ერთად, სწავლის პროცესი ყველაზე მაღალი დონის მოთხოვნილებათა (შემეცნების, თვითაქტუალიზაციის) დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. თუმცა, როგორც მასლოუ მიგვანიშნებს, იმისთვის, რომ ადამიანს თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება გაუჩნდეს, მან ჯერ გაცილებით დაბალი დონის მოთხოვნილებები უნდა დაიკმაყოფილოს. ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე რომ არაფერი ვთქვათ, უსაფრთხოების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სწავლის სურვილი და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების მოთხოვნილება ბავშვს ვერ გაუჩნდება. უსაფრთხოების მოთხოვნილება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნილებასაც მოიაზრებს. სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნილება მოზარდისთვის ხშირად უფრო მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე ფიზიკური უსაფრთხოებისა. რამდენიმე წლის წინ ვიცნობდი პატარა ბიჭუნას, სახელად გიოს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური განვითარებით არათუ არ ჩამორჩებოდა თანაკლასელებს, არამედ მრავალ მათგანზე მაღლაც კი იდგა, ვერასოდეს ამჟღავნებდა კლასში საკუთარ შესაძლებლობებს და ერთ-ერთ სუსტ მოსწავლედ ითვლებოდა. ამას ერთვოდა სასკოლო წესებისადმი დაუმორჩილებლობა, რაც მასწავლებელს ბავშვის ხშირად გაკიცხვის საფუძველს აძლევდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ უმცროს სასკოლო ასაკში ჯგუფში ბავშვის ადგილს და მისდამი თანაკლასელების დამოკიდებულებას თითქმის მთლიანად მასწავლებლის დამოკიდებულება განსაზღვრავს, ადვილი წარმოსადგენია, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო გიოს მდგომარეობა. ის ხშირად ხდებოდა თანაკლასელთა დაცინვის ობიექტი და ისიც, გაღიზიანებული, თავის დასაცავად ისე იქცეოდა, რომ უფრო მეტ საყვედურსა და სასჯელს იმსახურებდა. ასეთ ვითარებაში გიო, ბუნებრივია, სწავლაზე ვერ იფიქრებდა. საბედნიეროდ, სიტუაციის გაანალიზების შემდეგ პედაგოგმა სრულიად შეცვალა მასთან ურთიერთობა - ორიენტაცია აიღო არა შენიშვნებსა და საყვედურებზე, არამედ ქებაზე თუნდაც მცირე წარმატებისთვის. პედაგოგის მიერ დადებითის და არა უარყოფითის ხაზგასმამ ბავშვისადმი თანაკლასელების დამოკიდებულებაც შეცვალა – გაცილებით კეთილგანწყობილნი გახდნენ მის მიმართ, მათ თვალებში აღარ ჩანდა დაცინვა, რომელიც ასე აღიზიანებდა გიოს. მას სოციალური კომფორტის განცდა დაეუფლა და სწავლაში თავის გამოჩენასა და წარმატებაზე დაიწყო ფიქრი. შედეგმაც არ დააყოვნა და მალე გიო კლასში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე გახდა.

> **თუ გვსურს, მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და სკოლამ მისთვის მიმზიდველობა არ დაკარგოს, უნდა ვეცადოთ, შევუქმნათ მას სოციალურად კომფორტული გარემო, დავეხმაროთ იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, რომლებიც მნიშვნელოვანია სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების გამოსამუშავებლად.**

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ უსაფრთხოების მოთხოვნილების დაკმაყოფილების

მას შემდეგ, რაც ადამიანმა მოზარდი თაობის სწავლა-განათლებაზე დაიწყო ზრუნვა, სასწავლო პროცესით ბავშვის დაინტერესება კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ საფეხურზე ერთ-ერთი აქტუალური საკითხი უნდა ყოფილიყო. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს სწავლის როგორც ქცევის საკმაოდ რთული ბუნება.

შემდეგ ბავშვისთვის სხვა, უფრო მაღალი დონის, ე.წ. სოციალური მოთხოვნილებების: ყურადღების, პატივისცემის, აღიარების მოთხოვნილებათა, - დაკმაყოფილება ხდება აქტუალური. მათი დაუკმაყოფილებლობა შესაძლოა არანაკლები პრობლემების წყაროდ იქცეს. ერთ დილით, სამსახურში მიმავალი, ტრანსპორტში საყურადღებო დიალოგს შევესწარი. როცა ერთ-ერთი სკოლის შენობას გავცდით, ჩემ გვერდით მჯდომმა ქალბატონმა გაოცება ვერ დაფარა და იქვე მდგომ 12-13 წლის ბიჭუნას მიმართა: „დათუნა, რატომ არ ჩახვედი? შენ ხომ ამ სკოლაში სწავლობ, გაკვეთილებს აცდენ?“ მოზარდმა დაირცხვინა, მაგრამ სიმართლე არ დაუმალავს: „ამ სკოლაში კი ვსწავლობ, მაგრამ ახლა შატალოზე მივდივარ“. „როგორ, მარტო მიდიხარ შატალოზე?“ – არ ეშვებოდა ქალბატონი, რომელიც მისი მეზობელი აღმოჩნდა. „მარტო არა, სხვა სკოლის ბავშვებს უნდა შევხვდე, ჩემს სკოლაში მეგობარი არ მყავს“, – სინანულით მიუგო დათუნამ. ალბათ დამეთანხმებით, რომ ძნელია იმ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც ვერ გვამჩნევენ, ყურადღებას არ გვაქცევენ, პატივს არ გვცემენ. კიდევ უფრო მტკივნეულია ეს 12-13 წლის მოზარდისთვის, ვინაიდან ამ ასაკში თანატოლებთან ურთიერთობა, მათი აღიარება გაცილებით ფასეულია, ვიდრე უფროსებთან ურთიერთობა. ერთხელ ერთ მეშვიდეკლასელს, რომელსაც რამდენიმე წელი იყო ვიცნობდი, ვკითხე, რა შეიცვალა მასში ბოლო ხანს. მან გულახდილად მიპასუხა: „სანამ პატარა ვიყავი, ვცდილობდი ისე მოვქცეულიყავი, როგორც მშობლებს და მასწავლებლებს მოეწონებოდათ, ახლა კი იმაზე ვფიქრობ, რა მოეწონებათ ჩემს თანაკლასელებს და ვცდილობ ისე მოვიქცე, რომ მათ მაღიარონ, მათთვის მისაღები გავხდე, თუნდაც ჩემი ქცევა უფროსებისთვის მოსაწონი არ იყოს“. თანატოლთა აღიარების მოსაპოვებლად მოზარდი ყოველგვარ ხერხს მიმართავს, ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე ხშირად არც უფროსების (მშობლებისა და მასწავლებლების) განაწყენებას ერიდება და არც მათ საყვედურებს უფრთხის. ცალკეულ შემთხვევებში უფროსებისთვის მიუღებელი ქცევით მოზარდები ახერხებენ თანატოლთა წრეში თვითდამკვიდრებას. ერთმა მეექვსეკლასელმა ბიჭუნამ, რომელსაც გამუდმებით საყვედურობდნენ მოსწავლისთვის „შეუფერებელი“ საქციელის გამო და მშობლებსაც იბარებდნენ, რომ საქმის კურსში ჩაეყენებინათ მათი შვილის „უსაქციელობის“ შესახებ, თავისი ქცევის მიზეზები ასე ამიხსნა: „იცით, ამით ძალიან პოპულარული გავხდი სკოლაში. ადრე თანაკლასელებიც ვერ მამჩნევდნენ, ახლა კი მეათეკლასელებსაც სურთ ჩემთან მეგობრობა და როცა დერეფანში ჩავივლი, სიხარულით მხვდებიან“.



მოზარდი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ყოველთვის ვერ ახერხებს გარშემო მყოფთა ყურადღების, პატივისცემის, აღიარების მოპოვებას. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მე-6, მე-7 გაკვეთილზე მასწავლებელი რომელიმე ბავშვის სკოლაში ყოფნის, წინა გაკვეთილებზე მისი დასწრების შესახებ მისი თანაკლასელებისგან ცდილობს ინფორმაციის მიღებას, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ იხსენებს, იყო თუ არა ეს მოსწავლე პირველ ან მეორე გაკვეთილზე. მოზარდს ძალიან უჭირს იმ საზოგადოებაში თავის დამკვიდრება, სადაც მის ყოფნა-არყოფნასაც კი ვერ ამჩნევენ. ამიტომაც გაურბის სკოლას და ეძებს ისეთ წრეს, სადაც მას აღიარებენ და პატივს სცემენ. ამ წრეს ის ხშირად ქუჩაში პოულობს.

ამრიგად, თუ გვსურს, მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და სკოლამ მისთვის მიმზიდველობა არ დაკარგოს, უნდა ვეცადოთ, შევუქმნათ მას სოციალურად კომფორტული გარემო, დავეხმაროთ იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, რომლებიც მნიშვნელოვანია სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების გამოსამუშავებლად. მართალია, ადვილი არ არის, მაგრამ სავსებით შესაძლებელია. ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესი ბავშვისთვისაც და ჩვენთვისაც გაცილებით საინტერესო და მიმზიდველი გახდება.

მულტიკულტურული განათლების რაობა

ნინო ჭიაბრიშვილი

> მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია, დაეხმაროს განათლების მუშაკებს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებასა და მრავალფეროვნების შესაძლებლობების გაზრდაში.

მსოფლიო მასშტაბით მზარდი იმიგრაციისა და გლობალიზაციის გამო მრავალფეროვნება და მისი აღიარება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მთელ მსოფლიოში.

მრავალფეროვნება გამოწვევაც არის და შესაძლებლობაც ქვეყნისთვის, სკოლისთვის და მასწავლებლისთვის. მულტიკულტურული განათლების მნიშვნელოვანი მიზანია, დაეხმაროს განათლების მუშაკებს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებასა და მრავალფეროვნების შესაძლებლობების გაზრდაში. მრავალფეროვნებას შემოქმედებითად და ეფექტურად რომ უპასუხოს, განათლების მუშაკმა აუცილებლად უნდა იცოდეს მულტიკულტურული განათლების კონცეფციები, პრინციპები, თეორია და პრაქტიკა. მან ასევე უნდა განსაზღვროს საკუთარი რასობრივი და ეთნიკური დამოკიდებულებები და შეიძინოს ისეთი პედაგოგიური ცოდნა და უნარები, რომლებიც სხვადასხვა რასის, ეთნოსის, კულტურის, სქესის, სოციალური კლასისა და რელიგიის მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს.

მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი ჯეიმს ბენკსი თავის ნაშრომში „შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში“ განმარტავს მულტიკულტურულ განათლებას: „ეს არის იდეა, კონცეფცია, საგანმანათლებლო რეფორმა და პროცესი”. მულტიკულტურული განათლების იდეა ის გახლავთ, რომ ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური კლასისა და ეთნიკური, რასობრივი თუ კულტურული მახასიათებლებისა, სკოლაში სწავლის თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს.

მულტიკულტურული განათლების შესწავლის საგანია, რა გავლენას ახდენს რასა, ეთნოსი, კლასი, სქესი, რელიგია, ენა, სქესობრივი ორიენტაცია მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. ის ამ ფაქტორებზე ეფექტური ზემოქმედების გზებსაც სწავლობს. მულტიკულტურული განათლების მკვლევრები ტერმინ „ინტერსექციურობასაც“ კი იყენებენ იმის აღსანიშნავად, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ეს ცვლადები მოსწავლის ქცევაზე ზემოქმედებისას. ავტორი სქემის სახით წარმოგვიდგენს მრავალფეროვნების ცვლადების გადაკვეთასა და ურთიერთქმედებას (იხ. სქემა 1).

წიგნში აღწერილია ის ძირითადი მიზნები, რომლებსაც მულტიკულტურული განათლება ემსახურება:

- ეხმარება ინდივიდებს საკუთარი თავის შეცნობაში სხვა კულტურის პერსპექტივიდან საკუთარი თავის განხილვით;
- უზრუნველყოფს ინდივიდებს კულტურული, ეთნიკური და ენობრივი ალტერნატივებით;
- ინდივიდებს უვითარებს იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც საჭიროა საკუთარი საზოგადოების კულტურის, უმრავლესობის კულტურისა და სხვა კულტურების ფარგლებში ფუნქციონირებისათვის;
- ამცირებს დისკრიმინაციას, რომელსაც ზოგიერთი ჯგუფი განიცდის საკუთარი რასის, რელიგიის და კულტურის თავისებურებების გამო;

- ხელს უწყობს გლობალური და „ბრტყელი“ ტექნოლოგიების სამყაროში ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო წიგნიერების უნარების დაუფლებას.



სქემა 1. მრავალფეროვნების ცვლადების ურთიერთკვეთა

დემოკრატიული განათლება, საერთო მიზნის მქონე სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და შენარჩუნებაზე ზრუნვით, ეხმარება ინდივიდებს ისეთი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში, რომლებიც საჭიროა სამოქალაქო ჩართულობისათვის უფრო თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად.

მულტიკულტურულ განათლებაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს დებატების მნიშვნელობა, რადგან მულტიკულტურული განათლება არის განათლება თავისუფლებისთვის, რომელიც ასე არსებითია თანამედროვე პოლარიზებულ სამყაროში. სიმართლე მისი განვითარებისა და მიღწევების შესახებ მეცნიერული ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით უნდა დავიცვათ.

ავტორი გვთავაზობს იმ შეხედულებებს მულტიკულტურული განათლების შესახებ, რომლებიც შორს არის რეალობისაგან:

- მულტიკულტურული განათლება სხვებისთვისაა, კერძოდ, აფროამერიკელებისთვის, ლათინოამერიკელებისთვის, სოციალურად დაუცველებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფებისთვის;
- მულტიკულტურული განათლება ეწინააღმდეგება დასავლეთის ინტერესებს;
- მულტიკულტურული განათლება ანაწევრებს ქვეყანას.

არასწორად გაგებულმა და აგებულმა მულტიკულტურულმა განათლებამ შესაძლოა მოგვარების ნაცვლად კიდევ უფრო გაამწვავოს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემები.

მიუხედავად იმისა, რომ მულტიკულტურული განათლება ჯერ კიდევ არ არის მრავალი სკოლის, კოლეჯისა თუ უნივერსიტეტის კურიკულუმის არსებითი ნაწილი, უკანასკნელი ხუთი ათწლეულის მანძილზე ის მნიშვნელოვნად განვითარდა. ცვლილებები განიცადა სახელმძღვანელოების ბაზარმაც, რომელიც იძულებულია უპასუხოს სულ უფრო მზარდ მრავალფეროვნებას. სწორედ სახელმძღვანელო (როგორც კურიკულუმის ამსახველი) რჩება მულტიკულტურული განათლების რეფორმატორთა მნიშვნელოვან სამიზნედ.

მიუხედავად წარსული და აწმყო გამოწვევებისა, უნდა ვაღიაროთ ის მიღწევები, რომელებიც მულტიკულტურულ განათლებას 1960-იანი და 70-იანი წლების სამოქალაქო უფლებების დაცვის მოძრაობებიდან მოყოლებული აქვს. ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების, მასწავლებელთა გადამზადების კურსების რაოდენობა მულტიკულტურული განათლების წარმატებისა და მზარდი მნიშვნელობის მაჩვენებელია. ის სულ უფრო ინსტიტუციონალიზებული ხდება ისეთი ქვეყნების საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, როგორიცაა შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია, ჩინეთი, კორეა. რაკი ეთნიკური სტრუქტურა ამ ქვეყნებში სულ უფრო ღრმავდება, უნდა შეიქმნას და განვითარდეს ეთნიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამებიც. პლურალისტურ დემოკრატიულ საზოგადოებებში გაჩნდება ახალი გამოწვევებიც. ამ გამოწვევების შესაძლებლობებად გადაქცევა დამოკიდებული იქნება ცალკეული ქვეყნის განათლების მუშაკთა ხედვაზე, ცოდნასა და თავდადებაზე.

სამყარო ტრანსფორმაციას განიცდის, „ბრტყელი“ (ფრიდმანი, 2005) ხდება – აზიურ ქვეყნებში განათლებამიღებული მეცნიერები და ტექნოლოგიური მუშაკები წარმატებით უწევენ კონკურენციას და ხშირად სჯობნიან კიდეც დასავლელ კოლეგებს.

მულტიკულტურული საზოგადოება პრობლემის წინაშეა: შექმნას სახელმწიფო, რომელიც ასახავს

და გააერთიანებს მოქალაქეთა მრავალფეროვნებას და იმავდროულად ექნება საერთო და ყოვლისმომცველი ღირებულებები, იდეალები და მიზნები, რომლებიც სავალდებულო იქნება ყველა მოქალაქისთვის.

იცვლება მოქალაქეობის განმარტება მულტიკულტურულ საზოგადოებაში: დემოკრატიული მულტიკულტურული ქვეყნის მოქალაქე ისეთი ყოვლისმომცველი იდეალების მომხრეა, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა და პასუხისმგებელია ამ იდეალების შენარჩუნებასა და დაცვაზე, მზად არის იმოქმედოს ამ იდეალების შებღალვის შემთხვევაში (ბენკსი, 2004). ამრიგად, დემოკრატიულ მულტიკულტურულ საზოგადოებაში სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა, დაეხმაროს მოსწავლეებს, შეიძინონ ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომლებიც საჭიროა გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და აქტიური მოქმედებისათვის, რათა საკუთარი ქვეყანა კიდევ უფრო დემოკრატიული და სამართლიანი გახადონ (ბენკსი, 2011).

დემოკრატიული მულტიკულტურული საზოგადოება ხასიათდება სამოქალაქო თანასწორობით, ტოლერანტობითა და აღიარებით (გუტმენის 2004). მოქალაქედ ჩამოყალიბება პროცესია და მასში განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მოსწავლეებმა მოქალაქეობის პრაქტიკა სკოლაშივე უნდა გაიარონ.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მოქალაქეობა და სამოქალაქო აღზრდა განსხვავებულად აღიქმება და ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში და განსხვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში.

გლობალურ საუკუნეში მოქალაქეთა აღზრდის პრინციპები და კონცეფციები ცხრილის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ.

პრინციპები:

I ნაწილი: მრავალფეროვნება, ერთობა, გლობალური ურთიერთკავშირები და ადამიანის უფლებები

1. მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ადგილობრივ საზოგადოებაში, ქვეყანასა და მსოფლიოში ერთობასა და მრავალფეროვნებას შორის არსებული რთული ურთიერთკავშირები.
2. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, რომ მათი საზოგადოების, ქვეყნისა და რეგიონის მაცხოვრებლები სულ უფრო მეტად დამოკიდებულნი ხდებიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებზე და იმ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ასევე გარემოს ცვლილებებზე, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით ხდება.
3. მულტიკულტურულ ქვეყნებში სამოქალაქო განათლებას საფუძვლად უნდა ედოს ადამიანის უფლებათა სწავლება.

II ნაწილი: გამოცდილება და მონაწილეობა

4. მოსწავლეებმა უნდა მიიღონ განათლება დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ. უნდა მიეცეთ დემოკრატიაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

კონცეფციები

1. დემოკრატია;
2. მრავალფეროვნება;
3. გლობალიზაცია;
4. მდგრადი განვითარება;
5. იმპერია, იმპერიალიზმი, ძალაუფლება;
6. ცრურწმენა, დისკრიმინაცია, რასიზმი;
7. მიგრაცია;
8. იდენტობა/მრავალფეროვნება;
9. მრავალმხრივი პერსპექტივა;
10. პარტიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი.

სათანადოდ წარმართული სამოქალაქო განათლების საფუძველზე მოსწავლეს კულტურულ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ იდენტობებს შორის ერთგვარი ფაქიზი წონასწორობა უნდა ჩამოუყალიბდეს.

მულტიკულტურული განათლება რთული და მრავალშრიანია. ჯეიმს ბენკსი მულტიკულტურული განათლების ხუთ განზომილებას გვთავაზობს: 1) შინაარსის ინტეგრაცია, 2) ცოდნის აგების პროცესი, 3) ცრურწმენის შემცირება, 4) თანასწორობის პედაგოგიკა და 5) სკოლისა და სოციალური სტრუქტურის მხარდაჭერა (იხ. სქემა 2).

> **დემოკრატიული მულტიკულტურული ქვეყნის მოქალაქე ისეთი ყოვლისმომცველი იდეალების მომხრეა, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა და პასუხისმგებელია ამ იდეალების შენარჩუნებასა და დაცვაზე, მზად არის იმოქმედოს ამ იდეალების შებღალვის შემთხვევაში.**



სქემა 2. მულტიკულტურული განათლების განზომილებები

მულტიკულტურული განათლების სფეროს მუშაკები ვარაუდობენ, რომ თუ სკოლაში წარმატებით დავნერგავთ მულტიკულტურული განათლების განზომილებებს, სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეები შეძლებენ მაღალი აკადემიური მაჩვენებელების მიღწევას და ჯგუფთაშორისი დამოკიდებულებები, შეხედულებები და ქცევა უფრო დემოკრატული გახდება.

ბენკსი ერთმანეთთან აკავშირებს მულტიკულტურულ განათლებასა და ეროვნულ თვითგადარჩენას და ასკვნის, რომ ფერადკანიანი მოსახლეობის სწრაფი ზრდის, არათეთრკანიანთა (ჩინეთი, ინდოეთი) მნიშვნელოვნების ზრდისა და ღარიბთა და მდიდართა შორის უფსკრულის გაღრმავების გამო მომავალი მოქალაქეებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდება მულტიკულტურული წიგნიერება და კროსკულტურული უნარები.

განათლების რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, როგორ იქმნება ცოდნა და როგორ ასახავს ის მის შემქმნელ ისტორიკოსთა, სოციალური მეცნიერების მკვლევართა და განათლების მუშაკთა ბიოგრაფიას, კულტურას, პერსპექტივებსა და ფასეულობებს. ბენკსი აღწერს ცოდნის ხუთ ტიპს და ცოდნის შემქმნელთა გავლენას ცოდნაზე. მოსწავლეებმაც სხვათა მსგავსად უნდა იცოდნენ, როგორ შექმნან ცოდნა და რა გავლენას უნდა ახდენდეს მათი ფასეულობები, პერსპექტივა და ბიოგრაფია მათ მიერვე შექმნილ ცოდნაზე.

ცოდნის ხუთ კატეგორიას – (1) პერსონალური/კულტურული ცოდნა; (2) პოპულარული ცოდნა; (3) ძირითადი აკადემიური ცოდნა; (4) ტრანსფორმაციული აკადემიური ცოდნა; და (5) პედაგოგიური ცოდნა – შორის კავშირი ინტერაქტიურია და არა სტატიკური (იხ. სქემა 3).



სქემა 3. ცოდნის ტიპები და მათი ურთიერთკავშირი

ტრანსფორმაციული კურიკულუმის მთავარი მიზანია, რომ მოსწავლეებმა იცოდნენ, იზრუნონ და იმოქმედონ ისეთი დემოკრატიული და სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად და ხელშეწყობად, რომელშიც ყველა ჯგუფი შეძლებს კულტურული დემოკრატიით ტკბობას. ცოდნა, ზრუნვა და მოქმედება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ცნებებია.

სწორედ მათი ურთიერთკავშირით შეძლებენ მასწავლებლები გლობალური საზოგადოებისათვის მოსწავლეთა მომზადებას (იხ. სქემა 4).



სქემა 4. ცოდნის, ზრუნვისა და ქმედების ურთიერთდამოკიდებულება

ბენკსს აღწერილი აქვს ის ცოდნა, რომელიც წარმატებულ მულტიკულტურულ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

1. ცოდნა მულტიკულტურული განათლების ძირითადი პარადიგმების შესახებ;
2. ცოდნა მულტიკულტურული განათლების ძირითადი კონცეფციების შესახებ;
3. ცოდნა ძირითადი ეთნიკური ჯგუფების ისტორიისა და კულტურის შესახებ;
4. პედაგოგიური ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოარგოს კურიკულუმი და სწავლება განსხვავებული კულტურული, ეთნიკური, ლინგვისტური და სოციალური კლასის ჯგუფის მოსწავლეთა უნიკალურ მოთხოვნებს.

ცოდნის შექმნის სურვილი და უნარი ერთ-ერთი ძირითადი იარაღია მულტიკულტურულ (და ზოგადად) განათლებაში, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია ახალი აქტივობებისა და სასწავლო სტრატეგიების შემუშავება, რაც მოსწავლეებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს.

როგორც წესი, ადამიანები უფრო მნიშვნელოვან იდეებს იმახსოვრებენ, ვიდრე ფაქტობრივ დეტალებს. ეს მათ არა მხოლოდ ხანგრძლივ დამახსოვრებაში ეხმარება, არამედ მოვლენისა თუ ფენომენის შესახებ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის, უადვილებს კატეგორიზაციას, დაკვირვებათა კლასიფიკაციას და ცოდნის ერთი სიტუაციიდან მეორეში გადატანას. ასეთ მნიშვნელოვან იდეებს, რომლებსაც ვიმახსოვრებთ და რომლებიც ცოდნის გაგებასა და გადატანაში გვეხმარება, ბენკსი კონცეფციებსა და განზოგადებას უწოდებს. სწავლებისადმი ამგვარი კონცეპტუალური მიდგომისას კურიკულუმი, ისევე როგორც თემები და გაკვეთილები, ითვალისწინებს სხვადასხვა დისციპლინის საკვანძო კონცეფციებსა და განზოგადებებს. ეს მოსწავლეებს ეხმარება დიდი მოცულობის მონაცემთა და ინფორმაციათა ორგანიზებასა და სინთეზში და საგნის, საკითხის არსის წვდომაში, რასაც ჯერომ ბრუნერი „სტრუქტურას“ უწოდებს თავის კლასიკად ქცეულ წიგნში „განათლების პროცესი“.

კონცეპტუალურ მულტიკულტურულ კურიკულუმში საკვანძო კონცეფციები და განზოგადებები ასაკთან ერთად თანდათანობითი რთულდება და სიღრმისეულად ისწავლება. ავტორი კურიკულუმის აგების რამდენიმე პრაქტიკულ მაგალითსაც გვთავაზობს.

სკოლის რესტრუქტურიზაცია აუცილებელია 21-ე საუკუნისთვის საჭირო სამუშაო ძალის მოსამზადებლად და ამ პროცესში მულტიკულტურული განათლების მიმართულებით ჩასატარებელ რეფორმას მნიშვნელოვანი წილი აქვს. ეს არსებითია იმ მასწავლებელთა და ადმინისტრატორთა მოსამზადებლად, რომლებსაც კულტურული, რასობრივი და ლინგვისტური მრავალფეროვნების გარემოში მოუწევთ საქმიანობა.

მულტიკულტურულ ორიენტირებზე საუბრისას ავტორი აჯამებს და ხაზს უსვამს მულტიკულტურული განათლების ძირითად კომპონენტებს, აღწერს იმ ძირითად ნიშნულებს, რომლების გამოყენებაც მკითხველს შეუძლია, რათა განსაზღვროს, რა ზომით არის სკოლა მულტიკულტურული; ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადაიდგას კულტურული მრავალფეროვნების შესახებ რეფლექსიისათვის; სკოლის მულტიკულტურული გარემოს მუდმივი ხელშეწყობის გზებს.

მულტიკულტურული სკოლის ორიენტირები მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

- მულტიკულტურული განათლების პოლიტიკა;
- სკოლის პერსონალის დამოკიდებულება;
- ტრანსფორმაციული კურიკულუმი;
- სწავლების სტრატეგიები;
- სკოლის პერსონალის მრავალფეროვნება;
- მშობლების მონაწილეობა;
- სასწავლო მასალები;
- მუდმივი მონიტორინგი.

წიგნი სრულდება შემდეგი დანართებით: „სწავლება მულტიკულტურულ გარემოში, სკოლასა და მის გარეთ“, „საინფორმაციო მასალის შეფასების ფურცელი“, „მულტიკულტურული განათლების შეფასების ფურცელი“, „მულტიკულტურული განათლების საბაზისო ლიტერატურა“.

ნინო ლომიძე

განათლების მიზნები და დანიშნულება

ვფიქრობ, კოლეგები (სხვადასხვა საგნის მასწავლებლები) არ გამინაწყენდებიან, თუ წერილს ერთი ზოგადი განაცხადით დავიწყებ: ქართული ენისა და ლიტერატურის საგანი ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესასწავლ საგნებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან „ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაცაა – ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალება (იხ. საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში) და, იმავდროულად, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორედ ის ქმნის ბაზისს ადამიანის მსოფლხედვის, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებისა და პიროვნული ზრდისთვის.

საგნის სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელოს. მასში აუცილებლად უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო საპროგრამო ნაწარმოებები. აქვეა მოცემული ამ ტექსტების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო შინაარსობრივი თუ საანალიზო-სამსჯელო ტიპის კითხვები, მითითებები, მასალა, დავალების/სავარჯიშოს ინსტრუქციები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები დეტალურადაა გაწერილი საგნობრივი პროგრამის დოკუმენტში. ამ მიზნებსა და ამოცანებს შორის არის სწორედ ის პუნქტები, რომლებზეც წერილის ფარგლებში მინდა ყურადღების გამახვილება. პროგრამაში აღნიშნულია, რომ, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. სხვათა შორის, ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- შეაყვაროს [მოსწავლეს] კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარი;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრება.

კოლეგები დამეთანხმებიან, რომ სწავლების პროცესში კითხვები – რა საჭიროა ამ ტექსტის სწავლა? რაში დამჭირდება ამის ცოდნა? რატომ უნდა წავიკითხო და ვისწავლო ის, რაც არ მომწონს? აღარ შემიძლია ძველი ქართულით დაწერილი ტექსტების კითხვა და წვალება... – ხშირად გაისმის და ამ კითხვების ავტორები მოსწავლეები არიან, ადრესატები კი – ჩვენ, მასწავლებლები.

აქვე მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციტატა ფორუმიდან, სადაც აბიტურიენტები, რომლებმაც 2014 წელს უკვე ჩააბარეს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, გამალებული ითვლიდნენ პარალელებს, აჯერებდნენ, რომელ პარალელში შეიძლებოდა „მოეხსნათ“ ქულა, დებდნენ ესეების ნიმუშებს, რომლებიც სავსე იყო შაბლონური, გაზეპირებული ფრაზებით და ვიშვიშებდნენ: „გადავკარგავ ქართულის წიგნებს“, „წიგნი აღარ იქნება ჩემს ხელში აწი...“ „ამოვისუნთქე. მორჩა წამება. იმედი მაქვს, ოდესმე დამიბრუნდება წიგნის გადაშლის სურვილი და ხალისი“, „ჰაგიოგრაფია არ გამაგონოთ. მარტივი წინადადების იქით არაფრის აღქმის უნარი აღარ შემრჩა.

ჩემი ნება რომ იყოს, სმაილებით შემოვიფარგლებოდი...“

ცხადია, ამ რამდენიმე გამოხმაურების განზოგადება და მათ მიხედვით რაიმე დასკვნის გამოტანა არავალიდური და უმართებულოა, მაგრამ ამ ყველაფერს პირად გამოცდილებასაც დავამატებ და იმ მოცემულობასაც, რომ კვლევა ამ მიმართულებით სკოლებში, სამწუხაროდ, არ ჩატარებულა. ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამგვარი ნეგატიური განწყობებისა და დამოკიდებულებების მიღმა, საბედნიეროდ, არიან ისეთებიც, ვისთვისაც მშობლიური ლიტერატურა და მხატვრული ლიტერატურის სამყარო, ზოგადად, ფასდაუდებელი განძი და საბადო იქნება მთელი ცხოვრების განმავლობაში. თუმცა, მოდი, ამჯერად პრობლემა დავსახოთ და მასზე ავაგოთ მსჯელობა:

რა იწვევს უკუეფექტს ისეთი საინტერესო და მრავალფეროვანი დარგის შესწავლისას, როგორიც ლიტერატურაა? ერთი მხრივ, სტანდარტის და პროგრამის და, მეორე მხრივ, ამ სტანდარტისა და პროგრამის „სამიზნე აუდიტორიის“, მოსწავლეების გამოხმაურებების გაცნობისას რატომ ჩნდება იმის განცდა, რომ „საშუალება“ (სწავლების პროცესი) არსებითად სცდება მიზანს (ზემომოყვანილს, მაგალითად)? რამდენად ხერხდება არსებული სახელმძღვანელოების და პროგრამის ფარგლებში ამ მიზნების (შეაყვაროს კითხვა, გამოუმუშაოს ლიტერატურის აღქმის და გაცნობიერების უნარი, უზრუნველყოს ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური თემების ურთიერთკავშირის გააზრება...) განხორციელება? სად არის საძიებელი პრობლემის სათავე და რა შეიძლება გაკეთდეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ცხადია, ერთი სტატიის ფარგლებში ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იქნება. ამიტომ სტატიის მიზნად დისკუსიის წამოჭრას, დასმულ საკითხებზე მსჯელობას და კოლეგების გამოცდილების გაზიარების სურვილს დავსახავ. საკუთარი დაკვირვების შედეგებს კი მოკლედ, თეზისების სახით ჩამოვაყალიბებ:

საშუალო საფეხურზე (X-XII კლასებში) მოსწავლეების მთავარი მიზანი და მამოტივირებელი სწავლის პროცესში საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაა (კითხვა – „ეს გამოცდაზე იქნება?“ – ყველაზე ხშირად დასმული კითხვაა ამ პერიოდში. არადა, რამდენი ამაზე მეტად საინტერესო კითხვის და საკითხის წამოჭრა შეიძლება ასეთ დროს...).

მცირე დროში მოსწავლეებს საკმაოდ დიდი მოცულობის პროგრამის ათვისება და „დამუშავება“ უწევთ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საატესტატო გამოცდების ტესტები ლიტერატურის ნაწილში, ძირითადად, ფაქტობრივ, შინაარსობრივ ცოდნაზეა ორიენტირებული და რეალურად, იმას ამოწმებს, რამდენად ახსოვს მოსწავლეს შესწავლილი ნაწარმოების დეტალები. შედეგიც არ აყოვნებს. გამოცდების ჩაბარებისთანავე მათი უმრავლესობა სწორედ იმ განწყობას და დამოკიდებულებას ავლენს, რაზეც ზევით ვისაუბრეთ. რამდენად მოსალოდნელია, რომ ლიტერატურისადმი ამ დამოკიდებულებით განსმჭვალული ადამიანი „შეიყვარებს კითხვას“ ან „გამოიუმუშავებს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, აღქმისა და გაცნობიერების უნარს“?

საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილი მთლიანი შინაარსის სავალდებულო ნაწილი (60 პროცენტი) იმდენადაა დატვირთული საკმაოდ მოცულობითი ტექსტებით, რომ მასწავლებლის (ან სახელმძღვანელოს ავტორების) სურვილით, გემოვნებით ან კონკრეტული საჭიროებების მიხედვით შესარჩევი მხატვრული ტექსტებისთვის დრო და ენერგია არც მასწავლებლებს და არც მოსწავლეებს, უბრალოდ, არ რჩებათ. საინტერესოა მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება – როდის შეიტანეთ თქვენთვის სასურველი მხატვრული ტექსტი კლასში დასამუშავებლად, რა ტექსტი იყო ეს და რამდენი დრო დაუთმეთ მის შესწავლას?

ტექსტების უმრავლესობა, მათი თანამდევი დავალებები, სავარჯიშოები, მეთოდური მითითებები, თეორიული ნაწილი, სადაც სხვადასხვა ცნობაა მოწოდებული შესასწავლი საკითხის ირგვლივ, არაერთ უხერხულობას ქმნის სწავლების პროცესში მაშინ, როცა კლასში ეთნიკური უმცირესობის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ან სხვა-

> **საგნის სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელოს. მასში აუცილებლად უნდა იყოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო საპროგრამო ნაწარმოებები. აქვეა მოცემული ამ ტექსტების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო შინაარსობრივი თუ საანალიზო-სამსჯელო ტიპის კითხვები, მითითებები, მასალა, დავალების/სავარჯიშოს ინსტრუქციები.**

> **„კოლეგები დამეთანხმებიან, რომ სწავლების პროცესში კითხვები – რა საჭიროა ამ ტექსტის სწავლა? რაში დამჭირდება ამის ცოდნა? რატომ უნდა წავიკითხო და ვისწავლო ის, რაც არ მომწონს? აღარ შემიძლია ძველი ქართულით დაწერილი ტექსტების კითხვა და წვალება... – ხშირად გაისმის და ამ კითხვების ავტორები მოსწავლეები არიან, ადრესატები კი – ჩვენ, მასწავლებლები.“**

დასხვა აღმსარებლობის მქონე მოსწავლეები არიან. ლიტერატურის შესწავლა, გააზრება, მსჯელობა ჩაკეტილ, მონოკულტურულ, წინასწარ განსაზღვრულ ჭრილში ხდება.

უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, რელიგიური თემატიკა და ტექსტები, რითაც განსაკუთრებით გაჯერებულია, მაგალითად, მეათე კლასის პროგრამა (შეისწავლება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები) რელიგიური ინდოქტრინაციის მექანიზმად გამოიყენება, რაც პრობლემურია განსხვავებული აღმსარებლობის მოსწავლეებისთვის. ჰაგიოგრაფიული ტექსტები შეისწავლება არა როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ როგორც რელიგიური ტექსტი (ამ კონტექსტში სახასიათოა, მაგალითად, ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოების, „შუშანიკის წამების“ შესწავლის თანამდევი პატერნები. შუშანიკი განიხილება როგორც წმინდანი და არა როგორც პერსონაჟი, მისი ქცევის, ხასიათის, გადაწყვეტილებების განხილვის დროს ამოსავალი წერტილი არის ის, რომ შუშანიკი წმინდანადაა შერაცხული და მასზე როგორც ქალზე, საინტერესო პერსონაჟზე საუბარი დაუშვებლადაა მიჩნეული).

ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების შესწავლისას საკმაოდ დიდ სირთულეს ქმნის ძველი ქართული ენით დაწერილი ტექსტების გაგება. ტექსტის ლექსიკურ დონეზე დამუშავებას, შინაარსის გაცნობას იმდენად დიდი დრო მიაქვს, რომ მსჯელობა, ტექსტის გააზრება და განხილვა სათანადოდ ვერ ხერხდება. ჩნდება კითხვა – რამდენად მიზანშეწონილია ძველი ტექსტების ამ მოცულობით შესწავლა? რა მიზანი აქვს ისეთი ტექსტების დიდი ხნის განმავლობაში დამუშავებას, რომელთა ლექსიკურ დონეზე ანალიზიც საკმაოდ რთული და შრომატევადია? ხომ არ აფერხებს ტექსტის გაგების ბარიერი პროცესის სწორად წარმართვას და ხომ არ რჩება ყურადღების მიღმა უამრავი მნიშნელოვანი თემა, საკითხი, პრობლემა, რაზეც თავად ამ ტექსტებშივეა ყურადღება გამახვილებული?

მისაღწევ მიზანთაგან ერთ-ერთი მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირების გააზრებაა. საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში კი მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები ძალზე შეზღუდულადაა წარმოდგენილი. ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა ქართული კულტურის კუთვნილებაა, სხვადასხვა ეთნიკური თუ ნაციონალური კუთვნილებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და მულტიკულტურულ განათლებას კი ეს ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს. მცირე გამონაკლისების გარდა, შერჩეული ტექსტები და სავარჯიშოები არ იძლევა განსხვავებული ეთნიკური თუ ეროვნული ჯგუფებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შექმნის შესაძლებლობას, სხვა ქვეყნების ლიტერატურული თუ კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებით დაინტერესების საშუალებას.

სტატიას კი ნოამ ჩომსკის ციტატით დავასრულებ. ეს საინტერესო მოაზროვნე განათლების ორგვარ დანიშნულებაზე მსჯელობისას აღნიშნავს:

„პირველი კონცეფცია განათლების დანიშნულების შესახებ მოდის განმანათლებლობის ეპოქიდან, რომელიც ამბობს, რომ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის წარსული მიღწევების კვლევა-ძიება, იმის შეთვისება, რაც შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შემდეგ კითხვების დასმა და შემოქმედებითობა. ამ კონცეფციის მიხედვით, განათლების მიზანია, დაეხმაროს მსწავლელს ისწავლოს, როგორ ისწავლოს დამოუკიდებლად. ეს შენ, მსწავლელი, წყვეტ, როგორ, რა მეთოდებით ისწავლი, როგორ შექმნი რაიმე ახალს. მნიშვნელოვანი ასპექტები ამ სახის განათლების იმპულსების გაძლიერებაა, რომელიც ყველანაირ ავტორიტეტს, მოძღვარს, სისტემას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ფიქრობს კრიტიკულად და ქმნის კარგად ნაცადი მოდელების ალტერნატივებს.

მეორე დანიშნულება განათლების სისტემისა არის ინდოქტრინაცია, რაც გულისხმობს, რომ ბავშვობიდან ახალგაზრდები მოქცეული უნდა იყვნენ გარკვეულ ჩარჩოებში, სადაც ისინი დაემორჩილებიან ბრძანებებს, მიიღებენ მოცემულ ჩარჩოებს, არ დასვამენ კითხვებს, იქნებიან პასიურები და კონფორმისტები... ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება იმას, რასაც ტრადიციული განათლება ეწოდება...“

სწავლა – მოგზაურობა აღმოჩენების სამყაროში

მაია ჯალიაშვილი

მრავალმხრივი სასკოლო განათლების მიზანი ისიც უნდა იყოს, რომ ბავშვებს არ გაუფერმკრთალდეთ აღმოჩენის სიხარული, ის ვნება, რომელიც ადამიანს სამყაროსთან პირველი შეხვედრისას უჩნდება და სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაჰყვეს. მაშინ სწავლა მისთვის არასოდეს იქცევა მომაბეზრებლად, რადგან სავსე იქნება მიგნების, გამორკვევის, ახსნის, განმარტების, შეგრძნებისა თუ გააზრებისადმი დაუსრულებელი მისწრაფებებით. სკოლამ და მასწავლებელმა იმგვარი გარემო უნდა შექმნან, რომ სწავლების პროცესი იქცეს თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობად აღმოჩენების სამყაროში.

რა თქმა უნდა, სამყარო დიდი ხანია ახსნილ-განმარტებულია მეცნიერთა თუ ხელოვანთა მიერ, მაგრამ ყოველი სიცოცხლე ხომ უნიკალურია და ნებისმიერი ადამიანის გამოცდილება მხოლოდ იმ გზით გროვდება, რომელსაც მხოლოდ თვითონ, ინდივიდუალურად გაივლის. ამიტომაც ნებისმიერი საგნის სწავლებისას მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, მოსწავლეს კი არ ჩაუკლას, არამედ გაუღვივოს შემეცნების წყურვილი.

პოლ ვალერი წერს: „წარმოიდგინეთ ერთი ციცქნა ბავშვი. ეს პატარა არსება, როგორიც ჩვენ ყველანი ვიყავით, იმთავითვე იმარხავს ათასნაირ შესაძლებლობას. დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მან ერთდროულად, ან თითქმის ერთდროულად აიდგა ფეხიც და ენაც. მან აითვისა მოქმედების ორი სახე, რომელთაგანაც შემთხვევითი გარემოებები ყოველ წამს გამოავლენენ იმას, რის გამოვლენასაც შეძლებენ, მისი მოთხოვნილებებისა თუ ათასგვარი ჟინის პასუხად. ფეხების ფლობას რომ ისწავლის, ის აღმოაჩენს, რომ არა მარტო სიარული შესძლებია, არამედ სირბილიც, და არა მარტო სიარული და სირბილი, არამედ ცეკვაც. ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ. მან აღმოაჩინა და გამოავლინა თავისი კიდურების ერთგვარი წარმოებული ფუნქცია, თავისი მამოძრავებელი საწყისის ერთგვარი განზოგადებული ფორმულა. და მართლაც, თუ სიარული, არსებითად, საკმაოდ ერთფეროვანი მოქმედებაა, რომელსაც ნაკლებად შესწევს იმის უნარი, რომ სრულყოფას მიაღწიოს, ეს ახალი მოქმედება, ცეკვა, ჩვენ გვთავაზობს წარმოსახვითი ქმნილებებისა და ვარიაციების, ანუ ფიგურების უსასრულო სიმრავლის შესაძლებლობას“.

პოლ ვალერი იმასაც აღნიშნავს, რომ ბავშვი ამგვარივე ტრანსფორმაციას განიცდის სიტყვიერების სფეროში: „ის განივითარებს მეტყველების უნარს და აღმოაჩენს, რომ შეუძლია, ეს უნარი გაცილებით მნიშვნელოვან რამეს მოახმაროს, ვიდრე მურაბის თხოვნა, ანდა თავისი პატარა შეცოდებების უარყოფაა. ის დაეუფლება მსჯელობის მექანიკას; ის აჰყვება წარმოსახვის ჟინიან თამაშს, რათა თავი შეიქციოს და გაერთოს. როდესაც მარტო დარჩება, ის ხშირ-ხშირად გაიმეორებს სიტყვებს, რომლებსაც შეიყვარებს მათი უჩვეულობისა და იდუმალების გამო“.

ცნობილ ადამიანთა ცხოვრებას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ დიდი აღმოჩენები ხშირად ბავშვურ გულწრფელობასთან, გულუბრყვილო აღტაცებასა თუ დაეჭვებასთან არის დაკავშირებული.

„განათლება ისაა, რაც გრჩება სკოლაში ნასწავლის დავიწყების შემდეგ. 30 წლის შემდეგ საერ-

ნებისმიერი განათლების უპირველესი მიზანია, აღზარდოს შემოქმედებითი ადამიანი – გონებამახვილი, ცნობისმოყვარე, გამომგონებელი და მკვლევარი. მხოლოდ ასე აღზრდილი და განათლებული ადამიანი შეძლებს იმ დაბრკოლებების გადალახვას, რომლებიც ნამდვილ ცხოვრებაში მოგზაურობისას მოელის.

თოდ დაგავიწყდებათ ყველაფერი, რასაც სკოლაში გასწავლიდნენ. დაგამახსოვრდებათ მხოლოდ ის, რაც თავად ისწავლეთ“, – წერს ალბერტ აინშტაინი, რომლის აზრითაც, სწორხაზობრივი აზროვნება ადამიანში აჩლუნგებს თანდაყოლილ შემოქმედებითობას. ამიტომაც ლოგიკა მიგიყვანს A-დან B-მდე, წარმოსახვით კი ყველაფრის მიღწევა შეიძლება. იგი წარმოსახვას ცოდნაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს: „მე არ მაქვს რაღაც გასაოცარი ტალანტი. მე უბრალოდ ცნობისმოყვარე ვარ“, „წარმოსახვა ცოდნაზე მნიშვნელოვანია“, „როცა ხვდები, რა გზა გაიარა კაცობრიობამ გამოქვაბულიდან დღემდე, წარმოსახვის ძალასაც სრული მასშტაბით გრძნობ. ის, რაც ახლა გვაქვს, ჩვენი წინაპრების წარმოსახვითაა მიღწეული. ის, რაც მომავალში გვექნება, ჩვენი წარმოსახვის დახმარებით აშენდება“.

მისი აზრით, სიახლისკენ სწრაფვა გულისხმობდა შეცდომებსაც. შეცდომის შიშმა ადამიანს ხელი არ უნდა ააღებინოს ექსპერიმენტებისკენ სწრაფვაზე. საგულისხმო ისიცაა, რომ ხშირად სწავლება გულისხმობს ინფორმაციათა სიმრავლეს, მაგრამ „ინფორმაცია ცოდნას კი არ ნიშნავს“, არამედ მიღებული ცოდნის გააზრებას, გაანალიზებასა და ინტერპრეტაციას.

„პირდაპირ თუ იარე, შორს ვერ წახვალ“, – წერს ეგზიუპერი. შორს წასასვლელად, სამყაროს შესაცნობად, მრავალი გზის მოსინჯვაა საჭირო. სკოლა სწორედ ამ გზების ძიების წყურვილს უნდა აღვიძებდეს.

„ცხოვრება შეცნობაა, აღმოჩენაა, თავისუფლებაა“ და „ერთადერთი ჭეშმარიტი კანონი ისაა, რომელსაც თავისუფლებისკენ მივყავართ“ (რიჩარდ ბახი). ეს კანონი არც ერთ კონკრეტულ გაკვეთილზე არ ისწავლება. ზოგადად, ნებისმიერი საგნის სწავლებისას მასწავლებელი უნდა ცდილობდეს სიახლეების გაცნობასა და შემოქმედებითად განხორციელებას, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, არსებული სასწავლო მოდელების ვარიაციების შექმნას. მან შაბლონებისა და კლიშეებისაგან თავისუფალ აზროვნებას უნდა მიაჩვიოს მოსწავლე, რათა ამ უკანასკნელმა ჰოლდენ კოლფილდივით არ დაახასიათოს სკოლა: „სწორედ იმ დღიდან მინდა დავიწყო ჩემი ამბავი, როცა პენსიდან წამოვედი. პენსი ეგერსტაუნის მოსამზადებელი სკოლა გახლავთ, პენსილვანიის შტატში. ალბათ, გაგეგონებათ. რეკლამები მაინც გექნებათ ნანახი. ბეჭდავენ და ბეჭდავენ ათასობით ჟურნალში რეკლამებს – შემჯდარა ცხენზე ვიღაც გაჯგიმული ბიჭი და მესერზე უნდა გადაახტუნოს. ასე გეგონება, პოლოს თამაშის მეტს არაფერს აკეთებდნენ პენსიში. სკოლაში კი არა და, იმ არემარეზე თვალიც არ მომიკრავს ცხენისთვის. ბიჭის სურათის ქვეშ კი წარწერაა: „ჩვენი სკოლა აყალიბებს მამაცსა და საღად მოაზროვნე ჭაბუკებს“. დაბოლებაც ამას ჰქვია! ერთი სხვა სკოლებში აყალიბებენ და მეორე – იქ! არც მამაცი მინახავს იქ ვინმე და არც საღად მოაზროვნე. დიდი-დიდი ერთიორი კაცი და ისინიც ალბათ უკვე მამაცები მივიდნენ სკოლაში“ (სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში“).

მასწავლებელს არ უნდა ეხამუშოს ისეთი ალოგიკური და აბსურდული კითხვები, რომელთა მზა პასუხები არც ერთ სახელმძღვანელოში არ წერია. შეიძლება სწორედ ამგვარ კითხვებზე პასუხების ძიებამ აღმოაჩენინოს მოსწავლეს მისთვის უცნობი რამ, გაუჩინოს მოტივაცია მეტის გასაგებად და გასააზრებლად. „რას ეუბნება კედელი კედელს?“ – ამ კითხვაზე პასუხი სელინჯერის მოთხრობაშია („წერილი ესმეს“). ბავშვები თვითონვე მოიფიქრებენ პასუხებს, რომლებიც მატერიალური სამყაროს კანონების შეუსაბამონი კი იქნებიან, მაგრამ წარმოსახვას გაამდიდრებენ და ბიძგს მისცემენ ფანტაზიას. როგორც ცნობილია, „ყოველი ადამიანი თავისებურად შეიცნობს სამყაროს და ქმნის მასთან თავის ურთიერთობებს“ (ბერნარდ შოუ).

მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ იმას, რომ მხოლოდ შემოქმედებითად აზროვნებისას ჩნდება ახალი იდეები, რომლებიც შეიძლება წარმატებით განახორციელონ. იდეების დაბადება კი დაუგეგმავი და იმპულსურია, როგორც ამას ცნობილ ხელოვანთა ცხოვრების არაერთი მაგალითი ცხადყოფს.

იაკობ ნიკოლაძის ნამუშევართაგან გამორჩეულია ჩახრუხაძის ქანდაკება. პოეტის თავსაბურავის ფორმას ხელოვანმა სრულიად შემთხვევით მიაგნო. ერთ დღეს, მუშაობა რომ დაასრულა, ხელები

ტილოზე გაიწშინდა და ის ჯერ კიდევ დაუსრულებელი ქანდაკების თავზე დადო. ნიკოლაძეს მაშინვე თვალი მოსტაცა ტილოს სრულიად შემთხვევითმა ფორმამ, რომელიც მისმა წარმოსახვამ უცნაურ „ქუდად" აქცია, ასე რომ ხიბლავს მნახველს.

იოსიფ ბროდსკიმ 1989 წლის ივნისში დარტმუთ კოლეჯის კურსდამთავრებულების წინაშე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე დააბოლოვა: „არაფერს გისურვებთ სხვას, ბედნიერების გარდა. თუმცა ალბათ ბნელი და, რაც ამაზე უარესია, მოჟამული საათიც ბევრი იქნება; და როგორც გარე სამყარო, ისე თქვენივე გონებაც იქნება ამის მიზეზი. მათთან გასამკლავებლად რაღაცნაირად თავი უნდა მოიმძლავროთ. თქვენს დახმარებას ჩემი მცირე ძალით დღეს აქ ვცდილობდი, თუმცა სრულიად აშკარაა, რომ ეს ვერ იქნება საკმარისი, რადგან ის, რაც წინ მოგელით, წარმტაცი, მაგრამ ქანცის გამწყვეტი მოგზაურობა იქნება. დღეს ისეთ მატარებელში სხდებით, რომელიც გზას უგანრიგოდ უნდა გაუდგეს. ვერავინ გეტყვით, რა მოგელით. ვერც ისინი, ვისაც ზურგს უკან იტოვებთ. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ დაბეჯითებით გითხრან, ისაა, რომ მგზავრობა ცალმხრივი იქნება, ამიტომ შეეცადეთ, მცირე სარგებელი მაინც მიიღოთ აზრისგან, რომ რაგინდ უამურიც იყოს ესა თუ ის სადგური, იქ დახანება დიდხანს არ მოგიწევთ. ამიტომ ნურსად გაეხირებით – მაშინაც კი, თუ მოგეჩვენათ, რომ გზა მოგეჭრათ; ეს ადგილი დღეს თქვენი წარსული ხდება. ამიერიდან აქაურობა თქვენთვის დაპატარავებას დაიწყებს, რადგან ეს მატარებელი გაუჩერებლად ივლის. დაპატარავებას განაგრძობს მაშინაც, როცა მოგეჩვენებათ, რომ გზა მოგეჭრათ... ამიტომ უკანასკნელად მოავლეთ თვალი, სანამ ჯერ კიდევ თავდაპირველი სიდიდით ხედავთ, სანამ ეს ყველაფერი ფოტოსურათად არ ქცეულა. ისეთი სინაზით მოავლეთ თვალი, როგორის შემძლენიც ხართ, რადგან საკუთარ წარსულს უყურებთ. მოდი, ასე ვთქვათ: თვალი გაუსწორეთ იმას, რაც საუკეთესო იყო თქვენს ცხოვრებაში. რადგან ეჭვი მეპარება, ოდესმე იმაზე ბედნიერები იყოთ, ვიდრე აქ იყავით".

ბედნიერება კი, ბევრ სხვა რამესთან ერთად, აღმოჩენის ვნებასაც მოაქვს. ადამიანი კი აღმოჩენისკენ, უპირველესად, ცნობისმოყვარეობას მიჰყავს. შემოქმედებითი წარმოსახვის განვითარებისთვის საუკეთესო ხანა მოსწავლეობაა. სწორედ ამ დროს აქტიურად მიმდინარეობს ის ბაზისური ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებიც წარმოსახვასთან არის დაკავშირებული: აზროვნება, აღქმა, მეხსიერება, მეტყველება. როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ფსიქიკური ფუნქციები განსაკუთრებით კარგად ვითარდება თამაშის, შრომის, სწავლისა და ურთიერთობისას. შემოქმედებითობა სკოლაში უნდა გულისხმობდეს მოსწავლეთა წინაშე გარკვეული ამოცანების დაყენებას, რომლებიც მათ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტონ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მასწავლებელი სხვადასხვა პროექტზე ამუშავებს მოსწავლეებს. სასურველია, რომ, თუ თავდაპირველად მასწავლებელი თვითონ სთავაზობს მოსწავლეებს პროექტის თემას, შემდგომ მათ უკვე დამოუკიდებლად მოიფიქრონ და განახორციელონ შექმნილი პროექტიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით.

გამოკვლეულია, რომ შემოქმედებითი საქმიანობა ხელს უწყობს და ავითარებს წარმოსახვას. შემოქმედებითი წარმოსახვის მარტივ შემთხვევაში ხდება ერთგვაროვანი ელემენტების დაკავშირება, სინამდვილის გარკვეული ფორმების გადიდება ან შემცირება, განსხვავებულ მხარეთა დაკავშირება ან რეალური ერთიანის დაცალკევება, უფრო რთულ შემთხვევაში – ფართო აზრობრივი განზოგადება, კონკრეტული ფაქტების, ვითარებების, თვალსაჩინო მოდელებისა და მხატვრული კონსტრუქციების ძიება, რომლებიც ირეკლავენ ზოგად კანონზომიერებებსა და საერთო იდეებს.

ფსიქოლოგები მოსწავლეთა წარმოსახვის განვითარების სხვადასხვა გზას გვთავაზობენ: საგანთა თუ მოვლენათა ჰიპერბოლიზაციას, ემოციების ხატვას, საგნის რომელიმე დეტალსა თუ თავისებურებაზე ყურადღების გამახვილებას, საგნისა თუ მოვლენის ერთი თვისების მეორეზე გადატანას – ერთი სიტყვით, რეალობის ფენომენების წარმოსახვით გარდაქმნას.

მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. თვითონ მასწავლებელი ყოველ გაკვეთილს უნდა გეგმავდეს შემოქმედებითად, მაშინ გაკვეთილზე შეიქმნება იმგვარი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეულ მოსწავლეს, თავი იგრძნოს მიმდინარე საინტერესო პროცესის მონაწილედ, გაიგოს ახალი, სხვებს გაუზიაროს მიღებული გამოცდილება. აღმოჩენის სიხარულს ამძაფრებს და აძლიერებს სხვათა აღიარება. ეს სხვები, რა თქმა უნდა, მასწავლებელი და თანაკლასელები არიან, რომელთაც მოსწავლე თავისი აღმოჩენის თანამონაწილედ აქცევს.

აღმოჩენა შეიძლება იყოს სრულიად უმნიშვნელო, მაგრამ, რადგან მოსწავლე თვითონ

ბავშვებმა უნდა ისწავლონ საკუთარი გამოცდილებით. მასწავლებელმა მხოლოდ ზეპირი გზით კი არ უნდა გადასცეს სათანადო ინფორმაციები მოსწავლეებს, არამედ უნდა შექმნას შესაფერისი გარემო, მოამარაგოს კლასი სათანადო მასალებით და მოსწავლეებს მისცეს თავისუფალი არჩევანი.

მიაგნებს, გააანალიზებს, გამოიკვლევს, ის ღირებული იქნება ბავშვისთვისაც და მთელი კლასისთვისაც. ამიტომ ყოველ მოსწავლეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დატკბეს პატარა აღმოჩენით, რათა შემდგომ უფრო მნიშვნელოვნის გაგებისა და შემეცნების სურვილი და მისწრაფება გაუჩნდეს.

კარგია, თუ მასწავლებელი საგნის სწავლებისას მიმართავს სხვადასხვა გამოფენის მონახულებას, მუზეუმის დათვალიერებას, ექსკურსიას, ან გამოიყენებს თავის მოძიებულ ფოტო-, აუდიო- თუ ვიდეო- მასალას. თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა თვითონაც გადაიღონ და დაამონტაჟონ 5-წუთიანი ფილმები (ფოტოკოლაჟები), რომლებშიც წარმოაჩენენ რაიმე პროექტზე მუშაობის პროცესს. შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება.

სხვადასხვა სფეროს შემოქმედ ადამიანებთან შეხვედრების მოწყობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოსწავლეებს გაუჩნდეთ ან გაუმძაფრდეთ მოტივაცია ამა თუ იმ პროექტის წარმატებით განსახორციელებლად.

მოსწავლეებს უნდა მიეცეთ თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ ამოცანის შერჩევაში (თუმცა შეიძლება ესეც თვითონ შეარჩიონ), მოსწავლეებმა კი მასწავლებელთან ერთად, ამოხსნილი ამოცანის მაგალითის გამოყენებით, თვითონ უნდა მოძებნონ ახალი გზები პრობლემის გადასაჭრელად. ჯობს, ამოცანა იყოს მრავალმნიშვნელოვანი, რათა მოსწავლემ (ან მოსწავლეთა ჯგუფმა) შეძლოს სხვადასხვა რაკურსით მისი ანალიზი. რეალობა, თავისთავად, არ არის სტატიკური მოცემულობა, ის გამუდმებით იცვლება, მასთან ერთად ტრანსფორმირდება ჩვენი წარმოდგენებიც რეალობაზე, ამიტომაც ერთი და იგივე საკითხი თუ პრობლემა შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად გაანალიზდეს საგანმანათლებლო დრო-სივრცის შესაბამისად.

2005 წელს სტივ ჯობსმა სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებთან სიტყვა წარმოთქვა, რომელიც შემდეგი რჩევით დაასრულა – გვერდი აევლოთ დოგმათა მახეებისთვის, არ ეცხოვრათ მხოლოდ სხვისი ნააზრევის მიხედვით, ყური დაეგდოთ შინაგანი ხმისთვის და, რაც მთავარია, ჰქონოდათ საკუთარი გულისთქმისა და ინტუიციის ბოლომდე მიყოლის გამბედაობა. ამიტომაც იყო „ეფლის“ სარეკლამო სლოგანი: „იფიქრე განსხვავებულად“. განსხვავებულად ფიქრს კი, უპირველესად, მხატვრული ლიტერატურის კითხვა ავითარებს. ამას აღნიშნავდა სტივ ჯობსიც, რომელიც შექსპირის „მეფე ლირს“, ჰერმან მელვილის „მობი დიკსა“ თუ პლატონის დიალოგებს თავის საყვარელ წიგნებს შორის ასახელებდა.

აღმოჩენის მეშვეობით სწავლება ჟან პიაჟეს ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც ეფუძნება თვალსაზრისს, რომ ბავშვებმა უნდა ისწავლონ საკუთარი გამოცდილებით. მასწავლებელმა მხოლოდ ზეპირი გზით კი არ უნდა გადასცეს სათანადო ინფორმაციები მოსწავლეებს, არამედ უნდა შექმნას შესაფერისი გარემო, მოამარაგოს კლასი სათანადო მასალებით და მოსწავლეებს მისცეს თავისუფალი არჩევანი. ბავშვები განიცდიან შინაგან კმაყოფილებას, როცა დამოუკიდებლად აღმოაჩენენ რაიმე ახალს. პიაჟე მიიჩნევდა, რომ განათლებას, რომელიც დამოუკიდებელ აღმოჩენებს ეფუძნება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი განათლების უპირველესი მიზანია აღზარდოს შემოქმედებითი ადამიანი – გონებამახვილი, ცნობისმოყვარე, გამომგონებელი და მკვლევარი.

მხოლოდ ასე აღზრდილი და განათლებული ადამიანი შეძლებს იმ დაბრკოლებების გადალახვას, რომლებიც ნამდვილ ცხოვრებაში მოგზაურობისას მოელის.

ჰიპერაქტიური და ყურადღების დეფიციტის მქონე მოსწავლეები

ცვატა ბერძენიშვილი

ალბათ გაგიგონიათ და გამოგიყენებიათ კიდეც სიტყვა „ჰიპერაქტიურობა". 50-60 წლის წინ ჰიპერაქტიური ბავშვები არ არსებობდნენ. მარკ ტვენის გმირის, ჰეკლბერი ფინის, ტიპის ბავშვები მეამბოხეებად, ზარმაცებად ან „მოუსვენრებად" მიიჩნეოდნენ. დღეს ასეთ ბავშვებს ჰიპერაქტიურებს უწოდებენ და ეს ტერმინი მეტისმეტად ხშირად და მეტისმეტად ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. ბევრ მასწავლებელს ჰყავს კლასში რამდენიმე „ჰიპერაქტიური" მოსწავლე. ფაქტობრივად, ჰიპერაქტიურობა არ არის ერთი განსაკუთრებული მდგომარეობა, ეს ორი სხვადასხვა პრობლემაა, რომლებიც ერთად ან ცალ-ცალკე გვხვდება: ყურადღების დარღვევები და იმპულსურ-ჰიპერაქტიური პრობლემები.

დღეს ფსიქოლოგთა უმეტესობა თანხმდება, რომ ჰიპერაქტიურ მოსწავლეთა უმთავრესი პრობლემა მათ მიერ არა უბრალოდ ფიზიკური აქტიურობის კონტროლს, არამედ ყურადღების მართვასა და შენარჩუნებას უკავშირდება. ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ ამ პრობლემის მქონე ბავშვების გამოსავლენად შეიმუშავა დიაგნოსტიკური კატეგორია ADHD – „ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი" (attention deficit/hyperactivity disorder).

ჰიპერაქტიური ბავშვები სხვებთან შედარებით არა მხოლოდ ფიზიკურად აქტიურნი, უყურადღებონი და დაუდევარნი არიან, არამედ აქვთ შესაბამისი პასუხის გაცემასა და მიზნის (საკუთარი მიზნისაც) მისაღწევად საჭირო მუშაობის არცოდნასთან დაკავშირებული სირთულეებიც. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მითითების შემთხვევაში, მცირე პერიოდშიც კი, მათ არ შეუძლიათ საკუთარი ქცევის კონტროლი. საზოგადოდ, ქცევითი პრობლემები აშკარაა თითოეულ მასწავლებელთან და ნებისმიერ სიტუაციაში. ძნელია იმის განსაზღვრა, რამდენი ბავშვი შეიძლება იყოს კლასიფიცირებული ჰიპერაქტიურად. დაწყებით სკოლაში ასეთი ბავშვი 3-დან 5%-მდეა. აქედან ნახევარზე მეტს როგორც ყურადღების, ასევე ჰიპერაქტიურობის დარღვევა აღენიშნება. გოგონებზე დაახლოებით 3-4-ჯერ მეტი ჰიპერაქტიური ბიჭია გამოვლენილი, მაგრამ განსხვავება თანდათანობით მცირდება. ცოტა ხნის წინ ფსიქოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ეს სინდრომი მოზარდ ასაკამდე იკლებდა, მაგრამ დღეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ პრობლემები ადამიანს შეიძლება ზრდასრულ ასაკშიც გაჰყვეს.

მოზარდობა, დაკავშირებული პუბერტაციის თანმხლებ მზარდ სტრესებთან, საშუალო ან მაღალ კლასებში გადასვლასთან, მეტად მომთხოვნ აკადემიურ მუშაობასთან და შთამნთქმელ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, ADHD-ის მქონე მოსწავლეებისთვის შესაძლოა განსაკუთრებით რთული პერიოდი იყოს.

ADHD-ის მქონე მოსწავლეთა სწავლება. ამჟამად ADHD-ის სამკურნალოდ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ პრეპარატებით თერაპიას. ფაქტობრივად, 1990-დან 1998 წლამდე აშშ-ში რიტალინის წარმოება 700%-ით გაიზარდა. რიტალინი და ექიმების მიერ გამოწერილი ადერალისა და კილერტის ტიპის მედიკამენტები ერთგვარი სტიმულატო-

> **მიზანი ისაა, რომ მიღწევების გასაუმჯობესებლად დავეხმაროთ მოსწავლეებს უნარისა და ნებისყოფის განვითარებაში. მათ ასევე უნდა შევასწავლოთ საკუთარი ქცევის მონიტორინგი, რათა არ იყვნენ მერყევნი და შეძლონ საკუთარი თავის გაკონტროლება.**

რებია, ოღონდ განსაზღვრული დოზით; ADHD-ის მქონე ბავშვებთან მათ შესაძლოა პარადოქსული ეფექტი ჰქონდეთ. მცირე პერიოდის ეფექტი საზოგადოებრივი ქცევის – კოოპერაციის, ყურადღებიანობის გაუმჯობესებას მოიცავს. კვლევათა შედეგები გვიჩვენებს, რომ ADHD-ის მქონე ბავშვების 70-80% მკურნალობის დროს ადვილად მართვადია, მაგრამ არსებობს უარყოფითი თანამოვლენებიც – გულის აჩქარება და წნევის მომატება, ზრდის შეფერხება, უძილობა, წონის კლება და ღებინება. მედიკამენტური თერაპიის ხანგრძლივი გამოყენების შესახებ კი ცოტა რამაა ცნობილი, ასე რომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ. მრავალი მკვლევარი ასკვნის, რომ მედიკამენტებით მკურნალობის შედეგად გაუმჯობესებული ქცევა იშვიათად ახდენს დადებით გავლენას როგორც აკადემიურ სწავლაზე, ისე თანატოლებთან ურთიერთობაზეც ორ სფეროში, სადაც ADHD-ის მქონე ბავშვებს დიდი სირთულეები ექმნებათ. ვინაიდან მოსწავლეთა ყოფაქცევა უმჯობესდება, მშობლები და მასწავლებლები მშვიდდებიან და შესაძლოა იფიქრონ, რომ პრობლემა მოგვარებულია. სინამდვილეში ასე არ არის – მოსწავლეებს სწავლაში კვლავ განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ.

ავსტრალიაში ჩატარებული ერთი დიდი კვლევა ასკვნის: ხანგრძლივი ცვლილების მისაღწევად ყველაზე ეფექტურია ჩარევისადმი მრავალმოდალური მიდგომა. უმრავლესობასთან, მაგრამ არა ყველა ბავშვსა და მოზარდთან, ფსიქოსტიმულატორებით მკურნალობას დადებითი შედეგი მოაქვს, თანაც ეს მიღებულია მშობლებისა და მასწავლებლების მიერ შემუშავებული მკურნალობის, მსჯელობისა და ბავშვის ქცევის მართვის შედეგად. ასე რომ, განსხვავებული პროფესიის მქონე პირთა დახმარება აუცილებელია.

რა შეუძლიათ მასწავლებლებს? ბევრმა დავალებამ შესაძლოა ავნოს ყურადღების დეფიციტის მქონე მოსწავლეებს, ამიტომ თავს ნუ მოახვევთ ბევრ პრობლემას, მასალის ბოლომდე დასაუფლებლად ადვილად გასაგები და დასასწავლი პატარა-პატარა დავალებები მიეცით. კიდევ ერთი ეფექტიანი მიდგომაა სწავლის ინსტრუქციებისა და მეხსიერების სტრატეგიების კომბინაცია, რასაც მოტივაციური ვარჯიში ერთვის. მიზანი ისაა, რომ მიღწევების გასაუმჯობესებლად დავეხმაროთ მოსწავლეებს უნარისა და ნებისყოფის განვითარებაში. მათ ასევე უნდა შევასწავლოთ საკუთარი ქცევის მონიტორინგი, რათა არ იყვნენ მერყევნი და შეძლონ საკუთარი თავის გაკონტროლება.

კონტროლის ქვეშ ყოფნა იმ ახალი თერაპიული სტრატეგიის ნაწილია, რომელსაც საქმე აქვს

„მაშინაც კი, როდესაც თქვენი მოსწავლეები უკვე მედიკამენტებით მკურნალობენ, აუცილებელია, შეისწავლონ ის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგებათ. ეს მაშინაც კი არ ხდება, როდესაც ქცევა მედიკამენტების მეშვეობით უმჯობესდება.“

ADHD-თან და ხაზს უსვამს პიროვნულ აქტივობას. დევიდ ნაილუნდის მოსაზრებით, ბავშვის პრობლემის მკურნალობაზე მთავარი მისივე პრობლემების დასამარცხებლად მისი ძლიერი მხარეების აღრიცხვაა – აკონტროლეთ ბავშვი. ნაილუნდი ცდილობს, გაჭირვება, მოწყენილობა და სხვა უარყოფითი ემოციები შინაგან პრობლემებზე მეტად ბავშვის გარე სამყაროდან გამომდინარე დაგვანახვოს – ეშმაკებისა და მოჩვენებების დამარცხება ბავშვის სურვილებს ასახავს. მთავარია გადაწყვეტილებები.

SMART მიდგომის სტადიებია:

- ADHD-ს პრობლემის ბავშვისგან გამოყოფა, გამოცალკევება;
- ბავშვსა და ოჯახზე ADHD-ს ზეგავლენის განსაზღვრა;
- ADHD-სთან დაკავშირებულ გამონაკლისებზე ყურადღების გამახვილება;
- ADHD-ს დიაგნოზის მქონე ბავშვების განსაკუთრებული შესაძლებლობების გამოყენება;
- ახალი ამბის მოყოლა და ყოველი წარმატების სიხარულით აღნიშვნა.

დაუკვირდით შემთხვევებს, როდესაც მოსწავლე დაინტერესებულია, თუნდაც მცირე ხნით. რა არის განსხვავებული ასეთ შემთხვევებში? გამოავლინეთ ბავშვის ძლიერი მხარეები და აჰყევით, თითქოს მათ ჩაგითრიეს. სწავლების მეთოდში შეიტანეთ ისეთი ცვლილებები, რომლებიც მოსწავლეს რამის კეთების სურვილს გაუღვიძებს. ნაილუნდს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ცხრა წლის კრისმა და მისმა მასწავლებელმა მისის ბეიკერმა კრისის უყურადღებობის დასაძლევად ერთად გადაწყვიტეს მუშაობა. მისის ბეიკერმა კრისი კლასში წინა მერხზე დასვა. მათ შეიმუშავეს კრისის ყურადღების სამობილიზაციო ნიშანი და კრისმაც მოაწესრიგა თავისი არეულ-დარეული მერხი. კრისის კონცენტრაციის გაუმჯობესების აღსანიშნავად ბიჭუნას წვეულება მოუწყვეს. კრისმა აღწერა, როგორ ისწავლა მან მოსმენა კლასში: „ამ დროს უნდა იყო ძალიან მობილიზებული და ADHD-სა და მოწყენილობას უთხრა, რომ არ შეგაწუხონ“.

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები მედიკამენტურ ჩარევამდე საფუძვლიანად არის შესწავლილი. მაშინაც კი, როდესაც თქვენი მოსწავლეები უკვე მედიკამენტებით მკურნალობენ, აუცილებელია, შეისწავლონ ის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგებათ. ეს მაშინაც კი არ ხდება, როდესაც ქცევა მედიკამენტების მეშვეობით უმჯობესდება.

დავით ბოლქვაძე

ალტერნატიული შეფასება სასწავლო პროცესში

ალტერნატიული შეფასება ქმნის უკეთეს შესაძლებლობებს მოსწავლესა და მასწავლებლის ეფექტური უკუკავშირისათვის, ადგენს სასწავლო მეთოდების ეფექტურობის ხარისხს, გამოკვეთს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური ენის მასწავლებლები ნამდვილად არ უჩივიან საინტერესო და სასარგებლო ტრენინგებისა და სემინარების ნაკლებობას. თბილისის მასწავლებელთა სახლი ხშირად უწევს მათთვის ორგანიზებას მსგავს ღონისძიებებს, რომლებსაც უცხოელი ექსპერტები უძღვებიან. ერთადერთი პრობლემა დროის გამონახვაა, განსაკუთრებით – რეგიონების პედაგოგებისათვის. დღეს მინდა ერთ-ერთი ასეთი სამუშაო შეხვედრიდან მიღებული გამოცდილება გაგიზიაროთ. საუბარი შეეხება არაფორმალური შეფასების მნიშვნელობას ზოგადად და შეფასების საშუალებებს. როგორც მოგახსენეთ, ტრენინგი ინგლისურის მასწავლებლებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ზოგიერთი რეკომენდაცია არა მარტო სხვა უცხოური ენების, არამედ სხვა საგნების, განსაკუთრებით – ჰუმანიტარული მიმართულების, საგნების მასწავლებლებსაც გამოადგებათ.

ფაქტია, რომ ბოლო ორი ათეული წელია, ინგლისური ენის პოპულარობა მთელ მსოფლიოში გაიზარდა. საქართველოს სკოლებში უკვე რამდენიმე წელია ინგლისური პირველი კლასიდან სავალდებულო სახით ისწავლება. ინგლისური ენის მზარდმა პოპულარობამ ყველაზე ნათლად გამოკვეთა ენის მთავარი დანიშნულება – ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების საშუალება. აღნიშნულ გარემოებას ინგლისური ენის პოპულარობის ზრდასთან ერთად მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები სწავლების მეთოდიკაში. სწავლების თანამედროვე ტენდენცია, რომელიც ჰუმანისტურ და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას აღიარებს, უცხო ენის სწავლებისას ყურადღებას კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე ამახვილებს. მნიშვნელოვანი გახდა უცხო ენის სწავლების ისეთი მეთოდები და შეფასების ფორმები, რომლებიც სწავლის პროცესში მაქსიმალურად შეამცირებს მოსწავლის სტრესს და შექმნის კეთილგანწყობილ სასწავლო გარემოს. გარკვეულწილად შეიცვალა დამოკიდებულება სასწავლო პროცესის უცილობელი შემადგენელი ნაწილის – შეცდომის მიმართ. ეჭვქვეშ დადგა ის გარემოება, რომ აუცილებელია შეცდომის მყისიერად დაფიქსირება და გასწორება, რადგანაც მიიჩნევა, რომ ასეთი მიდგომა ზრდის მოსწავლის წარუმატებლობის რისკს. უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული, ე.წ. „კალამი-ფურცლის“ ტესტირება აღარ წარმოადგენს შეფასების ერთადერთ საშუალებას, რაც სავსებით სამართლიანია, რადგანაც იგი არ იძლევა შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენის საშუალებას, თუნდაც მათთვის, ვისაც გამოკვეთილი კომუნიკაციური უნარები აქვს.

შეფასების საშუალებების გამრავალფეროვნება და მისი ე.წ. ალტერნატიული ფორმები გულისხმობს მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, სწავლის სტილის გათვალისწინებას. ის ცდილობს მოახდინოს შეფასების და აქტივობების ერთიან სასწავლო პროცესად ინტეგრირება. ალტერნატიული შეფასება უმეტესად პერფორმანსზეა აგებული და ხაზს უსვამს პოზიტიურ განწყობებს, უპირატესობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას.

ალტერნატიული შეფასება ქმნის უკეთეს შესაძლებლობებს მოსწავლესა და მასწავლებლის ეფექტური უკუკავშირისათვის, ადგენს სასწავლო მეთოდების ეფექტურობის ხარისხს, გამოკვეთს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს. მნიშვნე-

ლოვანია, სწავლების საწყის საფეხურზე მოსწავლეებმა დაინახონ, რომ ისინი თავიანთ ლინგვისტურ კომპეტენციებში წარმატებას აღწევენ, რაც მათ დამატებით მოტივაციას შეუქმნის. ალტერნატიული შეფასება მოსწავლეს უფრო მონდომებულს ხდის, ხოლო მასწავლებელს აძლევს საშუალებას, ყურადღება გაამახვილოს სწავლის არა პროდუქტზე, არამედ პროცესზე.

პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის ადვილი შესამჩნევია, რომ საწყის ეტაპზე დამწყები მოსწავლეები, წესისამებრ, ცუდად ართმევენ თავს ტესტებს. ამასთან, რაც მეტად ვცდილობთ გავზომოთ მათი ცოდნა მკაცრად გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით, შეცდომების რაოდენობა მით უფრო იზრდება. შესაბამისად, იზრდება საფრთხე, რომ მოსწავლეს საბოლოოდ მიეკეროს წარუმატებლის იარლიყი და, რაც ყველაზე სამწუხაროა, თვითონაც შეურიგდეს ასეთ მდგომარეობას. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები შევაფასოთ ნაკლებად სტრესული მეთოდებითაც, რომლებსაც მოსწავლე აღიქვამს როგორც სწავლა-სწავლების პროცესის შემადგენელ ნაწილს და არა როგორც დამოუკიდებელ პროცესს, რომლითაც მასწავლებელი მის ცოდნას თანაკლასელების ცოდნას ადარებს.

რასაკვირველია, ტესტურ შეფასებას მასწავლებელი გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ ექსპერტები აქაც პოულობენ უკეთეს გამოსავალს. მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი მომხრეა, მოსწავლეების მოსაზრება გათვალისწინებულ იქნეს არა მარტო ტესტირების ფორმატზე, არამედ მონაწილეობა მიიღონ მისი კონტენტის შედგენაშიც. უფრო მეტიც, შესაძლებელია ისინი ტესტის გასწორების პროცესშიც ჩავრთოთ. ასეთი მეთოდით მოსწავლეების შეფასების ანალიზი მასწავლებელს კარგად დაანახვებს მოსწავლეების როგორც ერთი მთლიანი ჯგუფის ცოდნის დონეს, ასევე მათ განსხვავებულ წარმოდგენებსაც. ამასთანავე, მოსწავლეები ხდებიან საკუთარი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეები და მასწავლებლის მოკავშირეები.

ტესტირების ზემოთ დასახელებული ფორმებით წარმართვა სირთულეებთან არის დაკავშირებული და გარკვეული წესების დაცვას მოითხოვს. პროცესი დაახლოებით ასე ვითარდება: მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ერთად გადაწყვეტენ, რომელი კითხვები და როგორი ფორმით უნდა შევიდეს ტესტში. რამდენიმე დღის განმავლობაში მოსწავლეები საკუთარ კითხვებს წყვილებში ერთმანეთს დაუსვამენ, ხოლო შეცდომის შემთხვევაში თვითონვე გაუსწორებენ მათ. რამდენიმე მეწყვილის გამოცვლის შემდეგ ტესტირებაც შედგება. როგორც ხედავთ, შეფასების ეს ფორმა მოსწავლეების კომუნიკაციური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს.

მიმოვიხილოთ მოსწავლეთა შეფასების რამდენიმე მეთოდი.

არავერბალური პასუხები: უნდა გამოვიყენოთ სწავლების დაწყებით საფეხურზე. მოსწავლეები უმეტესწილად უნდა შეფასდნენ ფიზიკური მოქმედებების წარმოდგენით. (მაგ; ხელებთან დაკავშირებული სხვადასხვა მოქმედების იმიტირება). ძალზე მნიშვნელოვანია ილუსტრირებული სასწავლო რესურსების ყოველდღიური გამოყენება.

ვერბალური პასუხები (ინტერვიუ): შესაძლებელია მივმართოთ სწავლების დაწყებითი საფეხურის გავლის შემდეგ. მაგ; მოსწავლეები ირჩევენ სურათებს, რომლებზეც სურთ საუბარი, მასწავლებელი ეხმარება კითხვებით. როლური თამაშები: კარგად ცნობილი თანამშრომლობაზე აგებული სახალისო აქტივობა, რომელშიც ნებისმიერი ასაკის მოსწავლე კომფორტულად და მოტივირებულად გრძნობს თავს. როლური თამაშები ძალზე მოხერხებულია ჰუმანიტარულ საგნებში, სადაც მათი გამოყენება მასწავლებლის მხრიდან დიდ გამომგონებლობას არ მოითხოვს, თუმცა შემოქმედებით მასწავლებლებს სხვა მიმართულების საგნებშიც შეუძლიათ მათი გამოყენება (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და სხვ.)

წერილობითი ნარატივი: მოსწავლეების მოტივირება წერითი დავალებების შესრულებისას შესაძლებელია მათთვის ავთენტურთან მიახლოებული ტექსტების შეთავაზებით: მაგ; წერილების და მიწვევების გაგზავნა, საკუთარი ან წაკითხული ისტორიების გადმოცემა და სხვ. მოსმენილი ან წაკითხული ამბების გადმოცემისას მოსწავლეებს შესაძლოა ვთხოვოთ, რომ თუ საჭიროდ ჩათვლიან, შეცვალონ მათი დასასრული თავიანთი შეხედულებისამებრ (მათ შორის – ისტორიული მოვლენებიც).

პრეზენტაციები: პრეზენტაციები მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეების სასაუბრო (გარკვეულწილად წერითი) უნარების განსავითარებლად, არამედ მას შეუძლია მასწავლებელს მისცეს გარკვეული წარმოდგენა მოსწავლის ინტერესების, სამუშაო ჩვევების, საორგანიზაციო უნარების შესახებ. პრეზენტაციები მნიშვნელოვანი აქტივობების ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის – მხატვრულ კითხვას, წარმოდგენებს, როლურ თამაშებს, დრამას, ინტერვიუს და სხვ. ტექნოლოგიების



> ალტერნატიული შეფასება მოსწავლეს უფრო მონდომებულს ხდის, ხოლო მასწავლებელს აძლევს საშუალებას მთავარი ყურადღება გაამახვილოს სწავლის არა პროდუქტზე, არამედ პროცესზე.

განვითარების პარალელურად პრეზენტაციების პოპულარობა სულ უფრო იზრდება, რადგანაც ჩნდება მათი ელექტრონული მასალებით გამრავალფეროვნების საშუალება. გომესი იძლევა რეკომენდაციას, რომ პრეზენტაციის (საზოგადოდ საუბრის) პროცესში შესაძლებელია მოსწავლის შეფასება შვიდ ენობრივ უნარზე დაკვირვებით: სხვების გაგება, მსმენელისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, საუბრისას მერყეობის ხარისხი, საუბარში მონაწილეობის სურვილი, საუბრის წამოწყების სურვილი, აკურატულობა (გრამატიკა, ლექსიკა) და თემის განვრცობა.

თვითშეფასება: სწავლის დაწყებით საფეხურზე მყოფ მოსწავლეს თვითშეფასების უნარი სუსტად აქვს განვითარებული, ამიტომ მას მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როცა გვეცოდინება, რომ მოსწავლეს ძალუძს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. რაც შეეხება ლინგვისტური უნარების შეფასებას ან მათი გაუმჯობესების ხარისხის განსაზღვრას, ეს მოსწავლისთვის რთული ამოცანაა, თუმცა მეტ-ნაკლები წარმატებით ამ ამოცანისთვისაც შეუძლია თავის გართმევა.

სასწავლო ჩანაწერები: მოსწავლის დღიური, რომელიც შეიცავს მოსწავლის ჩანაწერებს ინგლისური ენის სკოლის გარეთ გამოყენების შესახებ. მასში უნდა ეწეროს, სად და როდის მოხდა ენის გამოყენება, რას მიიჩნევს წარმატებულად, რას ვერ გაართვა თავი. ჩანაწერებში შეიძლება იყოს ინფორმაცია კლასში ნასწავლი მასალის შესახებაც, რომელსაც იგი ორ ნაწილად დაყოფს: გავიგე – ვერ გავიგე. ასეთი ჩანაწერები მასწავლებელს აწვდის ინფორმაციას მოსწავლის მიერ მეტაკოგნიტური სასწავლო სტრატეგიების გამოყენების შესახებ.

წყვილების და ჯგუფების შეფასება: თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია სულ უფრო მეტად მოითხოვს მოსწავლეებში ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარებას. სასურველია, დროდადრო, მუშაობის დასასრულს, მოსწავლეებს თანაკლასელების შეფასება ვთხოვოთ. ამასთანავე მივანიშნოთ, რომ შეფასებისას ხაზი გაუსვან პოზიტიურ მხარეს და გამოყონ ამა თუ იმ მოსწავლის წვლილი ჯგუფის საერთო შედეგში. მასწავლებლის როლი მდგომარეობს შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრასა და პროცესის ხელმძღვანელობაში.

მოსწავლის პორტფოლიო: ითვლება რომ სწავლის პროცესში პორტფოლიოს შექმნის იდეა მხატვრების მიბაძვით გაჩნდა, რომლებიც პორტფოლიოს დიდი ხანია იყენებენ თავიანთი საუკეთესო ნამუშევრების სხვების მიერ სწრაფად შესაფასებლად. მოსწავლის პორტფოლიომ უნდა ასახოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ამასთანავე, თვალსაჩინო გახადოს მოსწავლის წერითი, კომუნიკაციური და სხვა უნარების განვითარების პროცესი. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ სავსებით შესაძლებელია, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ პორტფოლიოს შინაარსის განსაზღვრასა და ნამუშევრების ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შედგენაში. პორტფოლიოში მოთავსებული ნამუშევრები შეიძლება ვაჩვენოთ მოსწავლეების მშობლებს, მეგობრებს, სხვა მასწავლებლებს, დაინტერესებულ ადამიანებს. პორტფოლიოს შედგენა მოსწავლე-მასწავლებლის მჭიდრო თანამშრომლობაზეა აგებული. იმისათვის, რომ პორტფოლიომ აჩვენოს მოსწავლის პროგრესი, მნიშვნელოვანია ნამუშევრების დათარიღება. სასურველია, პორტფოლიოს, რამდენადაც შესაძლებელია, მულტიმედიარესურსებით გამრავალფეროვნება. ხარისხიან პორტფოლიოს რამდენიმე უპირატესობა აქვს: იგი ქმნის მოსწავლის მიღწევების ნათელ სურათს განსხვავებულ დავალებებთან მიმართებით, მოსწავლე ხდება უფრო მეტად ორგანიზებული, უჩნდება საკუთარი შესაძლებლობების მიმართ უფრო მაღალი მოლოდინები, გარკვეულწილად პასუხისმგებელია საკუთარი სწავლის პროცესზე.

დასასრულ, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ორ გარემოებაზე. მრავალფეროვანი ალტერნატიული შეფასების ფორმების გამოყენება საკმაოდ რთულად განსახორციელებელია. იგი მასწავლებლებისგან არა მარტო უზარმაზარ დროს და ენერგიას მოითხოვს, არამედ სუბიექტურობის ელემენტებსაც შეიცავს. მაგალითად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსწავლის თვითშეფასება ობიექტური იქნება, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, მოსწავლემ მოინდომოს თავისი შეცდომების პოვნა. სირთულეების მიუხედავად, მასწავლებელმა მათზე უარი არ უნდა თქვას. როგორც ექსპერტები გვირჩევენ, მხოლოდ ალტერნატიულ შეფასებას შეუძლია დააკვირდეს მოსწავლის სწავლის პროცესის დინამიკას, ამასთანავე, ალტერნატიული შეფასების ბევრი ფორმა შესაძლებელია ბუნებრივად შეერწყას ყოველდღიურ საკლასო აქტივობებს. რასაკვირველია, ძალაში რჩება ტრადიციული ზუსტპასუხიანი ტესტებიც (სიმართლე-ტყუილი, წყვილების შერჩევა, არჩევითი პასუხი, ე.წ. დახურული კითხვები და სხვ.). ზუსტ პასუხებზე გათვლილი ტესტები ეხმარება არა მარტო მასწავლებელს მოსწავლის მიმდინარე აკადემიური ცოდნის დონის დადგენაში, არამედ, ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის გამართულად ფუნქციონირებას (საგამოცდო სისტემის მუშაობა, მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის კვლევა, სხვადასხვა სკოლის მონაცემთა კვლევა და სხვ.) არის აუცილებელი.

მშობელთა და ბაღის აღმზრდელთა დამოკიდებულება დაწყებით კლასებში სწავლის დაწყების ასაკისა და სასკოლო მზაობის განმსაზღვრელი ფაქტორებისადმი

ნინო ლაბარტყავა

რეზიუმე

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა მშობლებისა და პედაგოგების შეხედულებების შესწავლა საქართველოში სკოლაში სწავლის დაწყების ასაკის თაობაზე; დადგენა იმისა, თუ რას მოიაზრებდენ მშობლები და პედაგოგები სასკოლო მზაობაში, რა მეთოდებს იყენებდნენ საბავშვო ბაღის აღმზრდელები ბავშვებში სკოლისა და ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი უნარების გასავითარებლად.

კვლევაში მონაწილეობდნენ თბილისის საბავშვო ბაღის აღმზრდელები და თბილისში მაცხოვრებელი მშობლები, რომელთა შვილები დადიან საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფში. კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ მშობლებისა და ბაღის აღმზრდელებისთვის შემუშავებული კითხვარები.

მშობელთა და ბაღის აღმზრდელთა უმრავლესობა სკოლაში სწავლის დაწყების ოპტიმალურ ასაკად 6 წელს მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ 6 წლამდე ასაკის ბავშვებს თამაში მეტად იზიდავთ, ვიდრე სწავლა.

ბაღის აღმზრდელები ბავშვებს, განვითარების ხელშესაწყობად, უკითხავენ წიგნებს, ქმნიან გარემოს სხვადასხვა ტიპის თამაშებისთვის, სთავაზობენ აპლიკაციებსა და გასაფერადებლებს.

აღმზრდელების მოსაზრებით, ბავშვის სასკოლო მზაობაზე მეტყველებს: გამართულად თხრობის, შემეცნებითი აქტივობების განხორციელებისა და სირთულეების დაძლევის, თანატოლებთან თანამშრომლობის უნარები. მშობლები კი, პირველ რიგში, შემეცნებითი აქტივობების შესრულებასა და სირთულეების დაძლევას, ლოგიკურ აზროვნებას ასახელებენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეხებიან გამართული მეტყველების, თანატოლებთან თანამშრომლობის უნარებს. როგორც ჩანს, ბაღის უფროსი ჯგუფის აღსაზრდელთა მშობლები და აღმზრდელები სასკოლო მზაობას კომპლექსურ ფენომენად განიხილავენ.

საკვანძო სიტყვები: სკოლისთვის მზაობა; მოტორული აპარატის მომწიფება; ინტელექტუალური შესაძლებლობების მომწიფება; სოციალურ-პიროვნული მომწიფება, დაწყებით კლასებში სწავლის დაწყების ასაკი.

ნ. ლაბარტყავა , რ. ბადალიანი

შესავალი

სკოლისთვის პირველკლასელთა მზაობის პრობლემაზე 50-60 წელია მუშაობენ ფსიქოლოგები, პედიატრები, პედაგოგები და ჰიგიენისტები.

თანამედროვე განმარტებით, სასკოლო მზაობის ცნება სამ ასპექტს უკავშირდება: ბავშვის მზაობას სკოლისთვის, თავად სკოლის მზაობას ბავშვის მისაღებად და ოჯახის/თემის მზაობას სკოლისათვის. თანამედროვე მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ ბავშვის შესაძლებლობების/მოთხოვნების ურთიერთმიმართებაზე გარემოს შესაძლებლობებთან და მოთხოვნებთან.

იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო სწავლა თავიდანვე გულისხმობს სწავლას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ბავშვებს საკმაოდ დიდ ჯგუფებში უხდებათ მიზანდასახული, მართვადი მუშაობა, პირველკლასელ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს სკოლის მოწაფის მთელი რიგი ნიშნები. იგი მომწიფებული უნდა იყოს როგორც გონებრივი, ემოციური, ისე სოციალური თვალსაზრისით.

> თეორიები, რომლებიც ძირითადად ბავშვის მზაობაზე არიან ორიენტირებულნი, ხაზს უსვამენ სამ ასპექტს:

1. მოტორული აპარატის მომწიფებას;
2. ინტელექტუალური შესაძლებლობების მომწიფებას;
3. სოციალურ-პიროვნულ მომწიფებას.

ქართველი ფსიქოლოგის, შალვა ჩხარტიშვილის მოსაზრებით, ბავშვი სასკოლო სწავლების დაწყებისათვის მაშინაა მზად, როცა მისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-პიროვნული მომწიფების დონე ისეთია, რომ მას შეუძლია უმტკივნეულოდ მიიღოს და აიტანოს ის ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-პიროვნული დატვირთვა, რომელსაც სასკოლო ცხოვრება უყენებს.

დიმიტრი უზნაძის აზრით, სკოლაში სწავლა გულისხმობს ბავშვის ინტელექტუალურ ძალთა აქტივაციას და ცოდნის მიღების სურვილს. ვინაიდან სწავლა ქცევის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც საგანი გარედან არის მიწოდებული, სკოლაში შესვლისთვის ბავშვის ფუნქციები იმდენად უნდა იყოს მომწიფებული, რომ მან საკუთარი ძალების მობილიზება არა იმპულსურად, არამედ აქტიურად შეძლოს. დიმიტრი უზნაძე სკოლაში სწავლის საფუძვლად იმპულსების მოთოკვის უნარსა და მოქმედების ნებელობითი რეგულაციის შესაძლებლობას მოიაზრებდა. აღნიშნული უნარები კი, მეცნიერთა მოსაზრებით (ლურია, კრასნოგორსკი), სწორედ 6-7 წლისთვის არის მომწიფებული.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში სასკოლო სწავლა სწორედ 6 წლის ასაკიდან იწყება[1]. იხ. ცხრილი 1.

ქვეყანა	დაწყებით კლასებში სწავლის დაწყების ასაკი
ბელგია	6
ჩეხეთი	6
დანია	6
გერმანია	6
ირლანდია	6
ესპანეთი	6
ავსტრია	6
რუმინეთი	6
პორტუგალია	6
ბულგარეთი	7
ფინეთი	7
ესტონეთი	7
ინგლისი	5
მალტა	5
საბერძნეთი	6
ხორვატია	6
კვიპროსი	6
ლატვია	7
უნგრეთი	6
ბოსნია-ჰერცოგოვინა	6

კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა მშობლებისა და ბაღის აღმზრდელების შეხედულებების შესწავლა საქართველოს სკოლებში სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით; დადგენა იმისა, თუ რას მოიაზრებდენ მშობლები და ბაღის აღმზრდელები სასკოლო მზაობაში; რა მეთოდებს იყენებდნენ საბავშვო ბაღის აღმზრდელები ბავშვებისთვის სკოლისა და ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი უნარების გასავითარებლად.

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა მშობლებისა და ბაღის აღმზრდელებისთვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარები.

[1] წყარო: The Structure of the European Education Systems 2014/15: Schematic Diagrams November 2014. Education and Training.

> მშობელთა და ბაღის აღმზრდელთა უმრავლესობა სკოლაში სწავლის დაწყების ოპტიმალურ ასაკად 6 წელს მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ 6 წლამდე ასაკის ბავშვებს თამაში მეტად იზიდავთ, ვიდრე სწავლა.

შერჩევა

თბილისის საბავშვო ბაღის აღმზრდელები, რომლებიც ასწავლიან საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფში და თბილისში მაცხოვრებელი მშობლები, რომელთაც 2014 -2015 სასწავლო წელს შეჰყავდათ შვილები სკოლაში (ბავშვების საშუალო ასაკი 2014 წლის მაისის თვეში იყო 5 წ. და 9 თვე).

ბაღის აღმზრდელთა მიერ შევსებულია 102, ხოლო მშობელთა მიერ – 303 ანკეტა. აღმზრდელთა 77% -ს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, 5.7 %-ს – არასრული უმაღლესი, 15.2% -ს – პროფესიული და მხოლოდ 1% -ს აქვს საშუალო განათლება.

ბაღის აღმზრდელთა საშუალო ასაკი არის 43 წელი (Min – 27, Max – 65). მშობლების საშუალო ასაკი 32 წელია (Min – 20, Max – 57).

ბაღის აღმზრდელთა განაწილებას რაიონების მიხედვით წარმოგიდგენთ დიაგრამა 1-ზე.

დიაგრამა 1



მშობელთა განაწილებას რაიონების მიხედვით წარმოგიდგენთ დიაგრამა 2-ზე.

დიაგრამა 2



ბაღის აღმზრდელთა გამოკითხვის შედეგები

გამოკითხულ ბაღის აღმზრდელთა 94,2% მიიჩნევს, რომ ბავშვები სკოლისთვის მზად 6 წლის ასაკში არიან, ხოლო 5,7% თვლის, რომ ისინი მზად არიან 7 წლის ასაკში.

იმ აღმზრდელების 73,8%, რომელთაც მინიმალურ სასკოლო ასაკად 6 წელი მიუთითეს, მიიჩნევს, რომ 6 წლამდე ასაკის ბავშვებს თამაში მეტად იზიდავთ, ვიდრე სწავლა; 13,8 % -ის მოსაზრებით, 6 წლამდე ბავშვებისთვის ფიზიკურად რთულია სასკოლო დატვირთვის ატანა; 7,7% -ის აზრით კი, სკოლა ჯერ არ არის მზად უფრო უმცროსი ასაკის ბავშვების მისაღებად. 4,6%-ის მოსაზრებით, ბავშვებს ჯერ არა აქვთ განვითარებული ის უნარები, რომლებიც საჭიროა სკოლაში წარმატებული სწავლისათვის.

იმ აღმზრდელთაგან, რომელთაც დაწყებით კლასებში სწავლის დაწყების ასაკად 7 წელი მიაჩნიათ, მხოლოდ ორმა განმარტა საკუთარი არჩევანი. მათი მოსაზრებით, „7 წლის ბავშვს აქვს კარგად განვითარებული მეტყველება, კითხვის, წერის, თვლის უნარები, ნატიფი მოტორიკა“; „7 წლის ბავშვს განვითარებული აქვს გონება და მზად არის სკოლაში წასასვლელად“.

შეკითხვაზე, თუ რა უნარები უნდა ჰქონდეს განვითარებული ბავშვს, რომელიც მზად არის სკოლაში სწავლის დასაწყებად, მივიღეთ შემდეგი შედეგები: მიღებული პასუხების 17,8% ეხებოდა გამართულ მეტყველებას, თხრობის უნარს; 14,7% – შემეცნებითი აქტივობების განხორციელების სურვილსა და სირთულეების დაძლევის უნარს; 14,4% – თანატოლებთან ურთიერთობის უნარს; 13,5% ფიზიკურ განვითარებას, გამძლეობას მიუთითებდა, 11,8% – ლოგიკურ აზროვნებას, 7,8% – თითების ზუსტი და სწრაფი მოძრაობის უნარს, თვალისა და ხელის კოორდინაციას, 6,9% – კითხვის, წერის ცოდნას, 6,3% – ადეკვატურ თვითშეფასებას; 3,7% – უფროსებთან ურთიერთობის უნარსა და მხოლოდ 3,9% – ლექსების ცოდნას.

როგორც შედეგებიდან ჩანს, აღმზრდელები სასკოლო მზაობის განმსაზღვრელ ფაქტორად უფრო მეტად ინტელექტუალურ, კერძოდ, სამეტყველო და ემოციურ, ნებელობით სიმწიფეს მიიჩნევენ.

შეკითხვაზე, თუ რა აქტივობებს იყენებენ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ბავშვებს სასკოლო სწავლებისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაში, პასუხების 17,1% უკავშირდება ბავშვებისთვის წიგნების კითხვასა და ილუსტრაციების დათვალიერებას; 15,7% – სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, 14,8% – გასაფერადებლებისა და სახატავი დავალებების შეთავაზებას; 12,2 % – აპლიკაციების შექმნას; 11,4% – განსხვავების შემცველი ნახატების შეთავაზებას; 10,8% – ცეკვისა და სიმღერის სწავლებას; 5,7 % – ასოების სწავლებას და მხოლოდ 2,9% – კითხვის სწავლებას.

> ყველაზე მეტად მშობლები ყურადღებას ამახვილებენ ემოციური მზაობის ერთ-ერთ მახასიათებელზე – ნებელობაზე, შემდეგ – ლოგიკურ აზროვნებაზე, გამართულ მეტყველებაზე, თანატოლებთან თანამშრომლობის უნარზე, ფიზიკურ გამძლეობასა და კითხვის, წერის ბაზისურ უნარებზე.

ვინაიდან მონაცემების შეგროვება ხდებოდა მხოლოდ აღმზრდელთა გამოკითხვით და არა უშუალო დაკვირვებით, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმზრდელები იცნობენ/ ასახელებენ ადეკვატურ სტრატეგიებს 5 წლის ბავშვებთან სამუშაოდ.

მშობელთა გამოკითხვის შედეგები

მშობელთა 92,2% სკოლაში სწავლის დაწყების ასაკად 6 წელს მიიჩნევს, 4,7% – 7 წელს, ხოლო 3,1 % – 5 წელს.

იმ მშობელთაგან, რომლებიც სკოლაში სწავლის დაწყების ოპტიმალურ ასაკად 6 წელს მიიჩნევდნენ, 70,1% თვლიდა, რომ 6 წელზე უმცროსი ბავშვები არ არიან მზად სკოლაში სწავლისთვის, რადგან მათ თამაში უფრო იზიდავთ, ვიდრე სწავლა. მშობელთა 18,6% კი ყურადღებას ფიზიკურ მზაობაზე ამახვილებდა. როგორც შედეგებიდან გამოიკვეთა, იმ მშობლებს და აღმზრდელებს, რომლებიც სკოლაში სწავლის დაწყების ასაკად 6 წელს ასახელებენ, მსგავსი არგუმენტები მოჰყავთ სასკოლო ასაკთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მშობლებს, რომლებიც სასკოლო ასაკად 5 წელს ასახელებენ, მათი 50% ძირითად არგუმენტად ლექსების ცოდნას, თვლასა და ასოების ცნობას ასახელებდა; 22,2 % აღნიშნავდა, რომ ბავშვებმა ბაღის პროგრამა უკვე დაძლიეს; 16.7% ხაზს უსვამდა, რომ ბავშვის ბაღელები, ნაცნობის შვილები მიდიან სკოლაში; 5,6%-ის აზრით, ბავშვებს შედარებით უფროს ასაკში დაეკარგებათ სკოლისადმი ინტერესი.

მშობლები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ბავშვი სწავლისთვის 7 წლის ასაკში არის მზად, აღნიშნავდნენ, რომ ამ ასაკში ბავშვები მეტად არიან ჩამოყალიბებულნი გონებრივი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

კითხვაზე, თუ რა უნდა ახასიათებდეს ბავშვს, რომელიც მზად არის სკოლისათვის, შემდეგი პასუხები მივიღეთ: მშობელთა პასუხების 17,6% ეხება შემეცნებითი აქტივობების შესრულების სურვილსა და სირთულეების დაძლევის უნარს; 15,5% მიუთითებს ლოგიკურ აზროვნებას, მოვლენების მსგავსი, ძირითადი მახასიათებლის შემჩნევის უნარს; 14,8%-ისთვის მეტად მნიშვნელოვანია გამართული მეტყველების, თხრობის უნარი; 13,9% ასახელებს თანატოლებთან ურთიერთობის უნარს, 12,5% კი ყურადღებას ამახვილებს ფიზიკურ უნარებზე, 10,1% – კითხვის, წერის უნარზე, 6,6 % – უფროსებთან ურთიერთობის უნარზე, 3,8% – ადეკვატურ თვითშეფასებასა და შეცდომების დაშვების შიშის არქონაზე; 2,5% – ნატიფ მოტორულ უნარებს და 2,2% ლექსების ცოდნას უსვამს ხაზს.

როგორც შედეგებიდან ჩანს, ყველაზე მეტად მშობლები ყურადღებას ამახვილებენ ემოციური მზაობის ერთ-ერთ მახასიათებელზე – ნებელობაზე, შემდეგ – ლოგიკურ აზროვნებაზე, გამართულ მეტყველებაზე, თანატოლებთან თანამშრომლობის უნარზე, ფიზიკურ გამძლეობასა და კითხვის, წერის ბაზისურ უნარებზე.

დასკვნები

1. მშობელთა 92,2% და ბაღის აღმზრდელთა 94.2% სკოლაში სწავლის დაწყების ოპტიმალურ ასაკად 6 წელს მიიჩნევს;
2. ბაღის აღმზრდელთა 73,8% მიიჩნევს, რომ 6 წლამდე ასაკის ბავშვებს თამაში მეტად იზიდავთ, ვიდრე სწავლა; 13,8%-ის მოსაზრებით, 6 წლამდე ბავშვისთვის ფიზიკურად რთულია სასკოლო დატვირთვის ატანა და თავად სკოლა ჯერჯერობით არ არის მზად 6 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვების მისაღებად;
3. აღმზრდელების მოსაზრებით, ბავშვის სასკოლო მზაობაზე მეტყველებს: თხრობის, შემეცნებითი აქტივობების განხორციელებისა და სირთულეების დაძლევის, თანატოლებთან ურთიერთობის უნარები. როგორც ჩანს, აღმზრდელები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ 5-6 წლის ბავშვებთან, სასკოლო მზაობაში სამეტყველო, ემოციურ და სოციალურ სიმწიფეს მოიაზრებენ.
4. სკოლისა და ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარების სტრატეგიებად ბაღის აღმზრდელები ასახელებდნენ: წიგნების კითხვას და ილუსტრაციების დათვალიერებას; სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, გასაფერადებლებისა და სახატავი საშუალებების, განსხვავებების შემცველი ნახატების შეთავაზებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვინაიდან მიღებული შედეგები, კვლევის მეთოდიდან გამომდინარე, მხოლოდ აღმზრდელებისგან მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმზრდელები იცნობენ/ ასახელებენ ადეკვატურ სტრატეგიებს 5 წლის ბავშვებთან სამუშაოდ.
5. მშობლებს, რომლებიც 6 წელს მიიჩნევდნენ სკოლაში სწავლის ოპტიმალურ ასაკად, მოჰყავდათ არგუმენტად, რომ მანამდე ბავშვებს სწავლაზე მეტად თამაში იზიდავთ (70,1%); ის მშობლები, რომლებიც სკოლაში სწავლის დაწყების ასაკად 5 წელს ასახელებდნენ, ძირითად არგუმენტად ლექსების ცოდნას, თვლასა და ასოების ცნობას ასახელებდნენ (50%); ხოლო ისინი, რომლებიც 7 წელს ანიჭებდნენ უპირატესობას, ყურადღებას ამახვილებდნენ ბავშვის გაზრდილ შესაძლებლობებზე ფიზიკური, კოგნიტური და სოციალური თვალსაზრისით.
6. მშობლების აზრით, სკოლაში შესვლისთვის ბავშვს უნდა ჰქონდეს შემეცნებითი აქტივობების შესრულების სურვილი და სირთულეების დაძლევის უნარი, უნდა ჰქონდეს განვითარებული ლოგიკური აზროვნება, გამართული მეტყველება, შეეძლოს თანატოლებთან თანამშრომლობა. როგორც ჩანს, ბაღის უფროსი ჯგუფის აღსაზრდელთა მშობლები და აღმზრდელები სასკოლო მზაობას კომპლექსურ ფენომენად განიხილავენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Murphey, D.A. Burns, C.A. (2007,1 june) Development of a Comprehensive Community Assessment of School Readiness. http://ecrp.illinois.edu/
2. ჩხარტიშვილი შ. (რედაქტორი). პედაგოგიური ფსიქოლოგია. ტ.1. თბ.: გამომცემლობა განათლება. 1975 გვ. 3-73.
3. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია. თბ.: 2005. გვ. 453-484.
4. Гудкина Н. И. Психологичкская готовность к школе. М. Академический проект, 2000. — 3-е изд. перераб. и доп. — 184 с.